პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- უნგრეთის ციხეებში გრძელდება პოლიტპატიმართა შიმშილობა.
- იტალიის მთავრობა აშენებს ახალ სამხედრო გემებს.
- ინგლისის მუშები დღესვე იებს გზავნიან ოქტომბრის დღესასწაულზე.
- კომუნისტური რაზმების ბრძოლა ჩინეთში.
- საბჭოთა მფრინავების აღფრთოვანებული შეხვედრა შეერთებულ შტატებში.
- ბრანდლერის რენეგატთა ჯგუფის დაშლა.

პარასკევი, 1 ნოემბერი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 253 (2599)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა ნოემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

ფართო გასაქანი მუშა და გლეხ-ქალთა ინიციატივას

(საბჭოთა წევრ ქალების ყრილობის გამო)

საბჭოების წევრ ქალთა სრულიად საქართველოს ყრილობასთან დაკავშირებით, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს, მართებულია კიდევ უფრო ხაზგასმით მოვიყვანოთ აქ ლენინის ანდერძი, რომ ყოველ მზარეულ ქალს უნდა შეეძლოს სახელმწიფოს მმართველობა. რამდენად ვატარებთ ჩვენ ამ დირექტივას? როგორია მუშა და გლეხ ქალთა მონაწილეობა ჩვენს სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში?

კერძოდ, თუ ავიღებთ მშრომელ ქალთა მონაწილეობას საბჭოებში, აქ მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. მაგალითად, მიმდინარე წლის საბჭოთა საარჩევნო კამპანიაში მათი აქტივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1927 წელს ამომრჩეველ ქალთა საერთო რიცხვიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 37,7 პროცენტმა, ხოლო 1929 წ. — 62 პროც. (მატება 24,3 პროც. შეადგენს). 1927 წელს სათემო საბჭოების წევრთა საერთო შემადგენლობიდან ქალების პროცენტი 8,7 პროცენტით განისაზღვრებოდა, ან 2203 წევრ ქალით, ხოლო 1929 წელში მათი ზრდა 16 პროცენტამდე ავიდა, რაც 4235 დეპუტატ-ქალს შეადგენს. 1927 წ. თემსაბჭოთა პრეზიდიუმებში ქალთა რიცხვი 2,2 პროცენტს უდრიდა, 1929 წელს კი ის უკვე 14,3 პროცენტს აღწევს. თუ 1927 წ. თემსაბჭოს თავმჯდომარეთა შორის მხოლოდ ერთი ქალი ერია, ახლა ამ თანამდებობაზე გვყავს 24 ქალი და თემსაბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეებად —11 ქალი.

ეს შედარებითი ცნობები გვეუბნება, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენ საგრძნობ რიცხვობრივ წარმატებას მივაღწიეთ საბჭოებში მუშა და გლეხ ქალთა მოზიდვის მხრივ. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ არის საკმარისი. ზევით მოყვანილი ციფრები ჯერ კიდევ ძალიან მცირეა. შემდეგში ჩვენ უფრო გადამჭრელი გეზი უნდა ავიღოთ, რომ გავადიდოთ საბჭოების წევრ ქალების რიცხვი.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მეტად მცირეა დეპუტატ-ქალთა რაოდენობა ზემდგომ აღმასკომებში და მათ პრეზიდიუმებში. მერმისათვის ამ ნაკლის გამოსწორებას უნდა მიექცეს ყურადღება. არჩეული მუშა და გლეხი ქალები ჩვენ გაცილებით მეტი რაოდენობით უნდა გვყავდეს მთელ სახელმწიფო აპარატში, დაწყებული სასოფლო საბჭოებით და გათავებული უმაღლესი საკანონმდებლო - აღმასრულებელი ორგანოებით.

მშრომელ ქალთა რიცხვის ზრდა საბჭოებში საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. უფრო მნიშვნელოვანია საბჭოების წევრ ქალთა აქტიური ჩაბმა საბჭოთა და საერთოდ სოციალისტურ მშენებლობაში, მაგრამ ამ მხრივ მდგომარეობა სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი. აიღეთ, მაგალითად, სექციები. განა ბევრ ქალს ნახავთ იქ! სექციებში მომუშავე ქალთა რიცხვი თითებზე ჩამოითვლება. მათ გამონაკლისის სახით თუ შეხვდებით სექციათა პასუხისმგებელ მუშაკების როლში. ამავე დროს სექციური მუშაობა საბჭოებში მათი მოღვაწეობის ყველაზე უფრო მასიური ფორმაა. ქალების იქ მიზიდვა არა მარტო ხელს შეუწყობს მათ პოლიტიკურ - საზოგადოებრივ აღზრდას, არამედ საბჭოს დაუკავშირებს მშრომელ ქალთა მოსახლეობას და თვით სექციების და, მაშასადამე, საბჭოს საქმიანობას გამოაცოცხლებს. ქალებს თავისი მითითებებით საგრძნობი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ კერძოდ კომუნალურ, კოოპერატიულ, განათლების და სხვა ისეთ სექციებში, რომელთა მუშაობა მათ უშუალოდ ეხება. შემდეგ: საბჭო ხშირად აწარმოებს თავის განყოფილებათა და საწარმო - დაწესებულებათა გამოკვლევებს, ხოლო ამ საქმიანობაში ქალი დეპუტატები თუ სულ არა, ნაკლებად არიან ჩაბმული. იგივე ითქმის სადეპუტატო მაგიდებზე; საბჭოს მასიურ მუშაობის ამ ფორმაშიც ქალები არ არიან მიზიდული. აგრეთვე ჩვეულებრივ მეტად უხალისოდ აწინაურებენ მუშა და გლეხ-ქალებს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

რა არის ყოველივე ამის მიზეზი? აქ მცირე როლს არ თამაშობს მამაკაცების ყოფა - ცხოვრებითი კონსერვატიზმიც. მართალია, ჩვენ ყველა გავიძახით ქალთა სრულ თანასწორობაზე, მაგრამ როცა ეს ლოზუნგი საქმედ უნდა იქცეს, აქ ბევრს ჩვენთაგანს ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი დახავსებულ შეხედულებებიდან. ზოგი გულში ფარულად იმ აზრს ატარებს, რომ ქალის მიერ გაკეთებული საზოგადოებრივი საქმე ხელმეორედაა გასაკეთებელი. არის შემთხვევები, როცა საზოგადოებრივ მუშაკ - ქალებს თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს ალპაცრად უცქერიან, არ ქმნიან მათ გარშემო ხელსაყრელ ატმოსფერას, არ ეხმარებიან მათ, გულს უცრუებენ. ზოგი ტაშს უკრავს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოღვაწეობის სარბიელზე გამოსულ ქალს, როცა უკანასკნელი მისთვის გარეშეა, ხოლო თუ მისი ცოლი და ან ქალიშვილი გადალახავენ სამზარეულოს და ვიწრო ოჯახურ ფარგლებს და საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაებმებიან, ეს არაფრად ეპრიანება და ამას ყოველნაირად უშლის ხელს.

გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ ამგვარ დამოკიდებულებას ქალებისადმი და ფართო გასაქანი მივსცეთ მათ გამოსვლას სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მუშაობის ასპარეზზე.

მდგომარეობას უფრო ართულებს მუშა და გლეხ ქალთა კულტურული ჩამორჩენილობა. წერა-კითხვის უცოდინარობა მათ შორის, კერძოდ გლეხ ქალთა შორის გაცილებით მეტია, ვიდრე მამაკაცებში. აუცილებლად უნდა მივიღოთ ენერგიული და სასწრაფო ზომები ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად. წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, რის განხორციელება გათვალისწინებულია სამი წლის განმავლობაში, ცხადია, უცოდინარ მუშა და გლეხ-ქალთა მთელ ას პროცენტს უნდა შეეხოს. რა თქმა უნდა, ამის მიღწევა, ქალთა საოჯახო და სხვა განსაკუთრებული პირობების გამო, გაცილებით ძნელია, ვიდრე მამა-კაცებისათვის წერა - კითხვის შესწავლა. მაგრამ ამოცანა სწორედ ამ სიძნელის გადალახვაში მდგომარეობს. ამ მიზნით უნდა გამომუშავებულ იქნას მუშაობის შესაფერი მეთოდები.

მთავარი [illegible], რაც აფერხებს მშრომელ ქალთა ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში, ესაა ძველი დროიდან დარჩენილი მათი ყოფა-ცხოვრება. სანამ ქალი შებოჭილია მარტოოდენ სამზარეულოთი, რეცხვით, ბავშვის მოვლით და სხვა ასეთი საოჯახო საქმეებით, მისი გონების ჰორიზონტიც შეზღუდული იქნება და მას დროც არ დარჩება საზოგადოებრივი მუშაობისთვის. საჭიროა ამ მხრივ რადიკალური გარდატეხა მოხდეს. ქალთა და ბავშვთა საკონსულტაციო პუნქტების, ბავშვთა ბაგების და ბაღების მოწყობა, საზოგადოებრივ სამზარეულოთა და სამრეცხაოების ორგანიზაცია და სხვა — აი საითკენ უნდა იქნას მიმართული ჩვენი საქმიანობა. ამ დარგში მიღწევები გვაქვს, მაგრამ ისინი სრულებითაც არ არიან საკმარისი. საჭიროა იმ დაწესებულებათა ქსელის გაფართოვება, რომელნიც ქალთა ყოფა - ცხოვრების გარდაქმნას ემსახურებიან, და ამ დაწესებულებათა უკეთესი ორგანიზაცია.

ყოველივე ეს შექმნის სათანადო პირობებს ქალთა ნამდვილი, ფაქტიური განთავისუფლებისათვის და ხელფეხს გაუხსნის მათ სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობის მისაღებად. მუშა და გლეხი ქალი უნდა გახდნენ სოციალისტური საზოგადოების ისეთივე მშენებელნი, როგორც მუშა და გლეხი მამაკაცი. ისინი გვერდში უნდა ამოუდგნენ მამაკაცებს და იმ ამოცანათა გადაჭრაში, რომელნიც ამჟამად ჩვენს წინაშე დგანან, ხუთწლიან გეგმას განხორციელების საქმეში მათ ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ. წარმოების რაციონალიზაცია, შრომის ნაყოფიერების გადიდება, საწარმოო დისციპლინის განმტკიცება, პროდუქციის თვითღირებულების დაკლება მუშა ქალებისათვის ისევე უნდა წარმოადგენდნენ საჭირბოროტო საკითხებს, როგორც მუშა მამა-კაცებისათვის. მხოლოდ საერთო ძალ-ღონით შეიძლება ამ ამოცანების გადაჭრა და მით როგორც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარება, ისე მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. სოფლად: კოლმეურნეობათა მოწყობა, გლეხობის კოოპერატიული შეკავშირება, მოსავლიანობის გადიდება და სხვ. მამაკაცებთან ერთად გლეხ ქალთა უპირველეს საზოგადოებრივ მოვალეობას შეადგენს. ქალაქად და სოფლად: დაწესებულებათა ბიუროკრატიზმის აღმოფხვრაში, მათი პირადი შემადგენლობის გამუშურებაში და იქიდან უცხო ელემენტების განდევნაში მუშა და გლეხ-ქალებმა ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ.

სრულიად რესპუბლიკანურ ყრილობაზე შეკრებილი საბჭოების წევრი ქალები მშრომელ ქალთა მოწინავე რაზმს წარმოადგენენ. მათ უნდა მიიღონ ყოველი ზომა, რომ ნამდვილად აღმოჩნდნენ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საპატიო სახელწოდების ღირსნი. საბჭოების წევრ ქალებმა უნდა გააცხოველონ მუშაობა, როგორც თვით საბჭოებში, ისე მათ გარედ. მათ ხელი უნდა შეუწყონ მუშა, მოჯამაგირე, ღარიბ - საშუალო გლეხ-ქალების დარაზმვას საბჭოების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ირგვლივ დიად სამუშაოთა პროგრამის, სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის გასატარებლად. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ამ უდიდესი ამოცანის წარმატებით შესრულების ერთერთ მთავარ პირობას მუშა და გლეხ ქალთა საზოგადოებრივი აქტივობის გაშლა წარმოადგენს

საფრანგეთის მთავრობის შედგენა მიენდო კლემანტელს

განხეთქილება სოციალისტებს შორის მთავრობაში მონაწილეობის საკითხის გამო

აჯანყებულ ჩინელ კომუნისტების რაზმებმა დაიკავეს 20 სოფელი

ოქტომბრის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა ინგლისის მუშათა დელეგაცია

საფრანგეთი მთავრობის ძებნაში

სენატორმა კლემანტელმა მიიღო წინადადება მთავრობის შედგენის შესახებ

პარიზი, 30 ოქტომბერი. დუმერგთან მიწვეულმა სენატორმა კლემანტელმა მიიღო წინადადება მთავრობის შედგენის შესახებ.

კლემანტელი კლემანსოს მთავრობაში იყო ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრად, ერიოს მთავრობაში—ფინანსთა მინისტრად. 1928 წელს „დემოკრატიულმა მემარცხენე“ ფრთამ კლემანტელი აირჩია სენატის საფინანსო კომისიის წევრად (ადს).

კენჭის ყრის შედეგების მიფუჩეჩება

პარიზი, 30 ოქტომბერი. „ლიუმანიტე“-ს ცნობით, სოციალისტური პარტიის ნაციონალურ საბჭოში უმრავლესობამ ხმა მისცა მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობას და არა წინააღმდეგ, მაგრამ პარტიულმა ხელმძღვანელობამ, მუშათა მასების მღელვარებისა და კომპარტიის გავლენის შემდგომი გაძლიერების შიშით, სასწრაფოდ მიაფუჩეჩა კენჭის ყრის შედეგები (ადს).

განხეთქილება სოციალისტურ პარტიაში

პარიზი, 30 ოქტომბერი. სოციალისტური პარტიის ზედაფენაში გაჩაღებული შეხლა - შემოხლა ცენტრალური კომიტეტის იმ გადაწყვეტილების ირგვლივ, რომლითაც უარყოფილ იქნა დალადიეს მთავრობაში მონაწილეობის მიღება, თანდათან უფრო მწვავე ფორმებს ღებულობს. თუმცა არც ერთ მემარჯვენე ლიდერს — არც ბონკურს და არც რენოდელს ჯერ კიდევ არ განუცხადებია, რომ კავშირს სწყვეტს პარტიასთან, ის მზად არის ინდივიდუალურად მიიღოს მონაწილეობა მთავრობის „მემარცხენე“ კომბინაციაში, მაგრამ პარტიის გარეგან მთლიანობას მაინც ლახვარი ჩაეცა (ადს).

პარიზი, სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დახურვისთანავე შესდგა საპარლამენტო ფრაქციის სხდომა. 43 ხმის უმრავლესობით 11-ის წინააღმდეგ მიღებულ რეზოლიუციაში ფრაქცია „მწუხარებას გამოსთქვამს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების გამო, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის წესდებასა და ინტერესებს“; ფრაქცია „მოითხოვს 25 დეკემბრისათვის პარტიული ყრილობის მოწვევას და ადასტურებს, რომ სოციალისტური ფრაქცია ხმას მისცემს ყოველ მთავრობას, რომელიც კი გაატარებს რეფორმებისა და მშვიდობიანობის ისეთ პროგრამას, რაც საერთოა მემარცხენე პარტიებისათვის“.

ფრაქცია აცხადებს, რომ მუდამ მზად არის მჭიდროდ ითანამშრომლოს პარლამენტის მემარცხენე ჯგუფებთან (ადს).

„მემარცხენეებისა“ და ცენტრისტების პოზიცია

პარიზი, 30 ოქტომბერი. სოციალისტური პარტიის პლენუმზე რადიკალების მთავრობაში მონაწილეობის საკითხში მეტად დამახასიათებელი პოზიცია დაიკავეს ეგრედ წოდებულმა „მემარცხენეებმა“, აგრეთვე ცენტრისტებმა. არც „მემარცხენეებს“ და არც ცენტრისტებს პრინციპიალურად არ გაულაშქრიათ ბურჟუაზიულ პარტიებთან კოალიციის წინააღმდეგ, ვინაიდან ეს მათ სავსებით დასაშვებად მიაჩნიათ, თუ ასეთ მთავრობას სათავეში ჩაუდგებიან თუნდაც პოლ ბონკურის ტიპის სოციალისტები.

სოციალ-ფაშისტური არგუმენტაციით აღსავსე კამათის სურათი და იმედგაცრუებულ მემარჯვენეთა აღშფოთებით ფინალური სცენები გადაიშალა ადლერის თვალის წინ. იგი პლენუმზე ჩამოვიდა მეორე ინტერნაციონალის დავალებით.

მუშათა წრეებში აღნიშნავენ, რომ პლენუმმა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ცხადჰყო მთელი სოციალისტური პარტიის გადაგვარება, მისი ზედა ფენის თვალსაჩინო ნაწილის შეხორცება ბურჟუაზიასთან და იმის შესაძლებლობა, რომ პოლ ბონკურის და რენოდელის ტიპის აშკარა სოციალ-ფაშისტები გამოეთიშონ პარტიას. პლენუმმა აგრეთვე გამოააშკარავა „მემარცხენეთა“ პანიკური შიში—არ დაჰკარგონ უკანასკნელი დასაყრდენი მასებში და ამით ხელი არ შეუწყონ მუშების გადასვლას კომპარტიის რიგებში.

ამავე დროს მუშათა წრეებში აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ დღეებში ბურჟუაზიასთან კოალიციის მომხრეთა ბანაკში სოციალისტური პარტიის ბევრი ლიდერი გადავიდა.

„ლიუმანიტე“-ს მხილება

პარიზი, 30 ოქტომბერი. „ლიუმანიტე“ აღნიშნავს, რომ მუშათა აღშფოთებისა და კომპარტიის გავლენის შემდგომი გაძლიერების შიშით სოციალისტების ბელადებმა დაამახინჯეს იმ კენჭის ყრის შედეგები, რომელიც მოხდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მთავრობაში შესვლის საკითხის ირგვლივ. სოციალისტურმა პარტიამ დაადასტურა, რომ იგი მზად არის მონაწილეობა მიიღოს ბურჟუაზიულ მთავრობაში და აიღოს ხელისუფლება დამოუკიდებლად ან რადიკალებთან ერთად.

„ცენტრისტებისა და მემარცხენე სოციალ - დემოკრატების მანევრები, — სწერს „ლიუმანიტე“, — მხოლოდ იმის შედეგებს წარმოადგენენ, რომ გაიზარდა საფრანგეთის მუშათა მასების რევოლიუციონური განწყობილება. სოციალ - ფაშისტებმა დაჰკარგეს ყოველგვარი კონტაქტი მუშათა მასებთან და ისინი ვერ შესძლებენ განახორციელონ თავიანთი მუშაობა მუშათა კლასის გახრწნისა და განიარაღებისათვის, აგრეთვე ბრძოლა კომპარტიის წინააღმდეგ, რაც, როგორც ბლიუმმა აღიარა, სოციალისტებს თავიანთ ძირითად ამოცანად მიაჩნიათ. ცენტრისტებმა და მემარცხენეებმა უმჯობესად სცნეს — უფრო ხელსაყრელი მომენტისათვის გადაედოთ აშკარა კავშირი ბურჟუაზიასთან“ (ადს).

გერმანიის მენშევიკებს იმედები გაუცრუვდათ

ბერლინი, 29 ოქტომბერი. „ფორვერტს“-ი აღნიშნავს, რომ გერმანიის სოციალ - დემოკრატიის ფართო წრეებს იმედი გაუცრუა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ც. კ.-ის გადაწყვეტილებამ — არ მიიღოს მონაწილეობა დალადიეს მთავრობაში. გაზეთი სწერს, რომ საფრანგეთის სოციალ-დემოკრატებმა ცუდი სამსახური გაუწიეს ევროპისა და საფრანგეთის დემოკრატიასო (ადს).

ინგლის-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტმა უზრუნველჰყო საბჭოთა კავშირის კრედიტები

ლონდონი, 29 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტის უფროსმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ საექსპორტო კრედიტების გარანტიის კანონის ძალით, დეპარტამენტმა უზრუნველჰყო ინგლისელ ექსპორტიორების მიერ დადებული ექვსი გარიგება საბჭოთა კავშირში სხვადასხვა საქონლის გატანის შესახებ. ამ გარიგებათა საერთო თანხა 136.270 გირვანქა სტერლინგს შეადგენს. გარიგებანი ეხება სხვადასხვა საქონელს, კერძოდ ქვანახშირს, საფეიქრო საქონელს, მანქანებს და სხვ.

დეპარტამენტმა უზრუნველჰყო საბჭოთა კავშირში გასატან საქონლის ღირებულების 60 პროცენტი (ადს).

კონსერვატორ ბერის შეკითხვა

ლონდონი, 30 ოქტომბერი. თემთა პალატის სხდომაზე კონსერვატორმა ბერიმ შეიტანა შემდეგი შეკითხვა: „ხომ არ ითვალისწინებს კელოგის პაქტი, რომ ყოველი ქვეყანა, რომელიც ომს აწარმოებს მეორე ქვეყანასთან, გამოცხადებულ იქნას კანონ გარეშე. როგორ ფიქრობს საგარეო საქმეთა სამინისტრო ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლებას, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის ომი სწარმოებს“.

ამ შეკითხვაზე ჰენდერსონმა არავითარი პასუხი არ გასცა (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

თათბირი ფინ იუი-სიანთან.

პეიპინი, 30 ოქტომბერი. გოვენის სააგენტოს ცნობით, ფინ იუი-სიანისა და ენ სი-შანის ახლანდელ რეზიდენციაში, ციენანძუნში, თავს იყრიან გომინძუნის და შანსის პროვინციის წარმომადგენელნი. გარდა ამისა, ფინ იუი-სიანისა და ენ სი-შანის სანახავად მრავლად მოდიან ჩინეთის სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფების წარმომადგენელნი. (ადს).

კომუნისტური რაზმების ბრძოლა

შანხაი, 30 ოქტომბერი. გაზეთების ცნობით, **კომუნისტურმა რაზმებმა 1.000 კაცის რაოდენობით მოქმედება განაახლეს ხოიფუნის რაიონში და დაიჭირეს 20-ზე მეტი სოფელი.**

ადგილობრივმა ხელისუფლებამ სთხოვა გუანდუნის პროვინციის მთავრობას, რომ დაუყოვნებლივ იქ გაგზავნოს ჯარი. (ადს).

გერმანიის ნაციონალისტების მარცხი

ბერლინი, 30 ოქტომბერი. უკვე დამთავრდა ხელმოწერა, რომელიც დაიწყეს გერმანიის ნაციონალისტებმა ჰუგენბერგის მეთაურობით, ხელისმოწერა სწარმოებდა იუნგის გეგმის საკითხის შესახებ საყოველთაო კენჭის ყრის ჩასატარებლად.

წინასწარი ცნობებით, **ნაციონალისტებმა ვერ მოახერხეს საარჩევნო ხმის უფლების მქონეთა ხელმოწერის 10 პროცენტის შეგროვება**, რაც საჭიროა საყოველთაო კენჭის ყრის ჩასატარებლად. შეგროვებულ ხელმოწერათა რიცხვი საშუალოდ 5-დან 7 პროცენტს უდრის. (ადს)

საბჭოთა მფრინავების აღფრთოვანებული შეხვედრა ამერიკაში

„საბჭოთა ქვეყანა“ დეტროიტში

ნიუ-იორკი, 30 ოქტომბერი. როგორც დეტროიტიდან იუწყებიან, ამერიკაში მცხოვრებმა მრავალრიცხოვანმა რუსმა მუშამ „საბჭოთა ქვეყანას“ დაავალა გადასცეს სალამი საბჭოთა კავშირს. ყველგან, სადაც კი ხალხი ესალმებოდა საბჭოთა მფრინავებს, ბევრი რუსი მუშებიც ერივნენ ხალხში.

ჰაეროპლანის ფრთები და კორპუსი დაფარულია მრავალი ათასი მისასალმებელი წარწერით რუსულ ენაზე. წარწერები გაკეთებულია გადაფრენის ყოველ პუნქტში.

დირბორნში ჰაეროპლანის ეკიპაჟს სხვათა შორის მიესალმა „ავტოსტროი“-ს 65 საბჭოთა ინჟენერი და ტეხნიკოსი. ისინი პრაქტიკანტებად მუშაობენ ფორდის ქარხანაში, რათა შემდეგ თავიანთი გამოცდილება გამოიყენონ ნიჟნი-ნოვგოროდის საავტომობილო ქარხანაში, რომელიც ამჟამად შენდება.

ქალაქ დეტროიტის მერმა მიიღო საბჭოთა მფრინავები და მოულოცა მათ წარმატებით გადაფრენა.

საპასუხო სიტყვაში შესტაკოვმა აღნიშნა, თუ რა ინტერესს წარმოადგენს „საბჭოთა ქვეყნის“ ეკიპაჟისათვის ამერიკის საავტომობილო და საავიაციო მრეწველობის ცენტრში ყოფნა.

საბჭოთა მფრინავებმა დაათვალიერეს ფორდის საავტომობილო და საავიაციო ქარხნები. (ადს).

მიტინგი საბჭოთა მფრინავების პატივსაცემად

ნიუ - იორკი, 30 ოქტომბერი. როგორც დეტროიტიდან იუწყებიან, 29 ოქტომბერს, საღამოს საბჭოთა მფრინავების პატივსაცემად გაიმართა მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ხუთი ათასმა კაცმა. იმ შენობის მახლობლად, სადაც მიტინგი შესდგა, ღია ცის ქვეშ გაიმართა ორი მიტინგი. **ამ მიტინგებში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა მუშამ, რომლებმაც დარბაზში შესვლა ვერ მოახერხეს და, მიუხედავად წვიმისა, იდგნენ ქუჩაში, რათა მოესმინათ ორატორთა სიტყვები ხმა მაღლა მოლაპარაკე აპარატიდან.**

ამ კრებებისა და მიტინგების მოწყობაში უახლოეს მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოება. **5.000 დოლარზე მეტი იქნა შეგროვილ საბჭოთა კავშირისათვის ტრაქტორების შესაძენად, 85 ორგანიზაციამ „საბჭოთა ქვეყნის“ ეკიპაჟს გადასცა სახსოვარი ჟეტონები, რომლებიც შესანახად უნდა გადაეცეს რევოლიუციის მუზეუმს მოსკოვში.**

მისასალმებელი სიტყვების საპასუხოდ შესტაკოვმა განაცხადა, რომ მასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა იმ აღფრთოვანებულმა შეხვედრამ, რომელიც საბჭოთა მფრინავებს აღმოუჩინეს. მან განაცხადა, **რომ ეს შეხვედრა მიაჩნია არა საბჭოთა მფრინავების დამსახურების დაფასებად, არამედ ამერიკის მუშების მიერ საბჭოთა კავშირისადმი თავიანთი მხურვალე სიმპატიების გამოცხადებათ.**

კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა მოსამართლე ედვარდ ჯეფრისმა, რომელმაც მოითხოვა საბჭოთა კავშირის ცნობა შეერთებული შტატების მიერ. (ადს).

სტუდენტების დაპატიმრება

იაპონიაში

ტოკიო, 30 ოქტომბერი. როგორც პოლიციის წრეებთან დაახლოვებული გაზეთი „იომიური“ იტყობინება, ტოკიოს პოლიციამ ამ დღეებში დააპატიმრა ტოკიოს უნივერსიტეტის სამხატვრო აკადემიის, სასოფლო - სამეურნეო სკოლის და სხვა სასწავლებლების **ბევრი სტუდენტი (ადს).**

ვადამდე უნდა შესრულდეს პურის დამზადების გეგმა

თუმცა ჯერ კიდევ არ გვაქვს სწორი ცნობები პურის დამზადების გეგმის შესრულების შესახებ ოქტომბრის განმავლობაში, მაგრამ ადგილებიდან მოსული ცნობების მიხედვით (განვლილ პერიოდში უკვე დამზადდა 2 მილიონ ტონათი მეტი, ვიდრე წარსული წლის მთელ კამპანიაში) შეიძლება ვსთქვათ, რომ თვიური დავალება მთელ კავშირში საერთოდ შესრულებული იქნება. თუ ნოემბრის პირველ დღეებში გავაძლიერებთ კულაკზე ზეგავლენას და გავასამკეცებთ პურის დამამზადებელი, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ენერგიას, მაშინ, შეიძლება სისრულეში მოვიყვანოთ შემდეგი დავალება: ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავზე შესრულებულ იქნას წლიური გეგმის 80 პროცენტი. ეს იქნება უეჭველად უდიდესი წარმატება და ნათელი დამამტკიცებელი იმისა, რომ ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასები მისდევენ პარტიას და გადაჭრით იბრძვიან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანების შესასრულებლად.

დანაშაული იქნება, თუ სავსებით არ გამოვიყენებთ იმ აღფრთოვანებას, რომელიც მუშათა კლასის და გლეხობის ფართო მასებში გამოწვეულ იქნა გეგმის 80 პროცენტის შესასრულებლად ოქტომბრის რევოლიუციის მე-12 წლის თავისათვის. ეს დაკვრითი დავალება სწორად და უსიტყვოდ უნდა შესრულდეს.

ამის შესრულების შემდეგ დაიწყება კამპანიის უძნელესი ნაწილი. ამას უნდა გაუწიოთ სრული ანგარიში. დღემდე წარმატებებს ვაღწევდით უმთავრესად ღარიბ და საშუალო გლეხთა პურის ხარჯზე, რომელიც მოდიოდა წითელი ქარავნებით და სხვ., აგრეთვე იმ ცალკე რაიონების ხარჯზე, რომლებმაც შესძლეს მასიური მუშაობის გაშლა და ბოლშევიკური ბრძოლის გაჩაღება პარტიის დირექტივის შესასრულებლად. მაგრამ ამ რაიონებმა ნაწილობრივ უკვე შეასრულეს და ნაწილობრივ მახლობელ დღეებში დაამთავრებენ მთელი წლიური გეგმის შესრულებას, რითაც ისინი საქმით ამტკიცებენ არა მარტო იმას, რომ გეგმა შეიძლება შესრულებულ იქნას, არამედ იმისაც, რომ ამ გეგმის შესრულება არ არის ძნელი გლეხობის ძირითადი მასებისათვის.

აქედან ცხადია, რომ ნოემბერში წარმატების მისაღწევად საჭიროა, პირველი, კულაკზე ზეგავლენა, რომელმაც სხვადასხვა ხრიკით შესძლო მტკიცე დავალებათა შესრულების გაჭიანურება და თავის დაძვრენა ან პურის მარაგის ზედმეტი რაოდენობის გადამალვა; მეორე— ჩამორჩენილი რაიონების ამოძრავება. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ციმბირი, რომელმაც ტემპი დაჰკარგა იმის გამო, რომ მთავარი დრო მოანდომა დავას თავისი პურის და საქონლის საკვების ბალანსის აღრიცხვის შესახებ (თითქოს არ შეიძლებოდა ამავე დროს ხელი მოეკიდა პურის დამზადებისათვის?!), ჩრდილოეთი კავკასია, სადაც ცალკე ოლქები განაგრძობენ ერთი ადგილის ტკეპნას, ცენტრალური შავ-მიწიანი ოლქი, სადაც უკანასკნელ ხუთდღიურებში შემცირდა ტემპი და სხვ.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ თუ თანაბარ ზეგავლენას მოვახდენთ ყველა ოლქსა და რაიონზე, პურის დამზადების წლიურ გეგმას თითქმის შევასრულებთ 1 დეკემბრისათვის. ახლა, როცა მხედველობაში ვიღებთ ჩამორჩენილ, უმთავრესად შორეულ რაიონებს, იძულებულნი ვართ გეგმის შესრულების ვადად მათთვის დავნიშნოთ 1 იანვარი, ხოლო სამხრეთის, ცენტრალური, ვოლგის რაიონებისათვის და ეგრედწოდებული მომხმარებელი ზოლისათვის უკანასკნელ ვადას უნდა შეადგენდეს 1 დეკემბერი.

ეს ვადები უკანასკნელია. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, რომ გეგმა შევასრულოთ ამ ვადებზე უფრო ადრე და არა გვიან. როცა პურის დამზადების გეგმას შევასრულებთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დირექტივის თანახმად, მთელი ყურადღება, მთელი ძალები, რომლებიც პურის დამზადებას ხმარდებოდნენ, ასეთივე ინტენსიობით უნდა გამოვიყენოთ მეორე უდიდესი მნიშვნელობის ფრონტზე. ეს ფრონტია კოლექტივიზაცია და ღარიბ და საშუალო მეურნეობებისათვის დახმარება სოფლის მეურნეობის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საქმეში. ძნელია წარმოვიდგინოთ ახლანდელ მომენტში უფრო საჭირო, უფრო კეთილსასურველი ამოცანა, ვიდრე პარტიისა და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ძალების მასიური მობილიზაცია სოფლის მეურნეობის განვითარების და სოციალისტური გარდაქმნის ტემპების გასაძლიერებლად. ძალების გადაყვანა ამ ფრონტზე ახლანდელ მომენტში აუცილებელი და საჭიროა იმის გამო, რომ ყველა რაიონმა ვერ შესძლო პურის დამზადებისათვის წარმოებული მუშაობის შეერთება საწარმოო ამოცანების შესრულებასთან, მაგალითად, თესვის კამპანიის ჩატარებისათვის ხელის შეწყობასთან, როგორც ამას არა ერთხელ მოითხოვდნენ პარტიული დირექტივები. დღემდე კიდევ აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როცა პურის დამზადების ღონისძიებანი, რომლებიც შეიცავენ კულაკთან ბრძოლის ზომებს, მოწყვეტილია იმ ღონისძიებებს, რომლებიც დასახულია კულაკთან საბრძოლველად კოოპერაციაში, აგრეთვე კოლმეურნეობებში, თუმცა ლაპარაკია იმავე სოფელზე, სადაც ეს ღონისძიებანი არსებითად მჭიდროდ უნდა იქნან დაკავშირებულნი ერთმანეთთან.

ამიტომ პურის დამზადების ვადამდე დამთავრებას ამა თუ იმ რაიონში, ვადამდე დამთავრების ყოველ კვირას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. მიმდინარე სამეურნეო წელს უეჭველად შევსძლებთ დეფექტების გამოსწორებას საწარმოო ამოცანებში, სწორად გამოვიყენებთ იმ უდიდეს ენერგიას, რომელიც წარმოიშვა გლეხობის ფართო მასებში, საგრძნობლად განვავითარებთ მასიურ კოლექტივიზაციას და გავაუმჯობესებთ კოლმეურნეობათა ხარისხს. მაგრამ ყოველივე ამისათვის საჭიროა გეგმის ვადამდე შესრულება, ე. ი. დამატებითი დროის მოგება.

ბრძოლა ტემპისათვის, ბრძოლა პურის დამზადების გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, ბრძოლა სასურსათო კულტურებისათვის, —აი, რით უნდა იყოს გამსჭვალული ახლა მთელი მუშაობა პურის დამამზადებელ რაიონებში.

უნდა მოვემზადოთ იმისათვის, რომ მომავალ კვირეებში ბრძოლა კულაკთან მკაცრი და სასტიკი იქნება. ბევრ რაიონში კულაკმა თავი დააძვრინა საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომებს. იგი გვერდს უხვევს ჭვავის და ხორბლის გაყიდვას, რითაც სცდილობს ჩაშალოს სურსათის მომარაგების გეგმები. კულაკი გავლენას ახდენს შეძლებულ ჯგუფებზე, საშუალო გლეხთა მერყევ ელემენტებზე და განაგრძობს ძალების დარაზმვას პურის დამზადების კამპანიის ჩასაშლელად. ამიტომ კულაკის კონტრიერიზები უკუგდებულ უნდა იქნას პროლეტარული დიქტატურის აპარატის მიერ. ამ ბრძოლაში, ისევე, როგორც ყოველგვარ მწვავე კლასობრივ ბრძოლაში, უნდა მოვიშოროთ მოღალატე, მომლოდინე და პასიური ელემენტები. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გადამჭრელი ზომები ბოროტგამზრახველი ელემენტების მიმართ, რომლებიც იმალებიან სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში— საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, რომლებიც თვალთმაქცური გზით ადიდებენ მოხმარების ნორმებს ზედმეტი სასაქონლო პურის ნამდვილი რაოდენობის დასაფარავად, და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, რომლებიც ზედმეტი პურის მარაგს მალავენ და კერძო ვაჭრებზე ჰყიდიან, საჩვენებელი პროცესით უნდა იქნან გასამართლებულნი, როგორც პროლეტარული სახელმწიფოს კანონების და საზოგადოებრიობის ნდობის ბოროტი დამრღვევლნი.

მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ გამოუსწორებელი კონტრაქტანტების მიმართ, რომლებსაც არა სურთ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება და ამით სამაგიერო დახმარება გაუწიონ სახელმწიფოს. ცხადია, ყველაზე მეტი სიმკაცრე საჭიროა შეძლებული ელემენტების მიმართ, რომლებიც სცდილობენ დაუსჯელად განიმეორონ კულაკების მანევრები.

სოფლად მასიური მუშაობის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კლასობრივი პოლიტიკის ყოველგვარ დამახინჯებას პურის დამზადების კამპანიაში. არა მარტო პარტიის წევრებმა, არამედ უპარტიო ფართო მასებმაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ იმაში, რომ აცილებულ იქნას კლასობრივი ხაზის დამახინჯებანი, რომლებიც ხელს უშლიან პურის დამზადების გეგმების შესრულებას. დამამზადებელ ორგანიზაციებს, რომლებიც განაგრძობენ უწყებრივ კინკლაობას, მასიური მუშაობის შეცვლას ბიუროკრატიული ცირკულიარებით, მკაცრი საზოგადოებრივი კონტროლი უნდა გაეწიოს, ხოლო ბიუროკრატები პასუხისგებაში უნდა მივსცეთ და გავაძევოთ აპარატებიდან. პროფკავშირებმა, კოოპერაციამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ყოველი მუშა, მოჯამაგირე, გლეხი, მოსამსახურე, მასწავლებელი, აგრონომი უნდა შეაიარაღოს ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის ცოდნით პურის დამზადებაში, რათა ჩვენი აპარატის ყველა ნაწილმა იმუშაოს წესიერად, მიზანშეწონილად, რათა ნამდვილად დავსძლიოთ კულაკის წინააღმდეგობა და მაქსიმალურად მოვაახლოვოთ გეგმის შესრულების ვადა.

ასეთივე ენერგიით უნდა ავამოძრავოთ მასები, რათა წარმოებულ იქნას ბრძოლა პურის დამზადების კამპანიის ტექნიკურ დეფექტებთან, ვაგონების ზანტად დატვირთვასთან და გადატვირთვასთან, საწყობების ნაკლებობასთან და მარცვლის ცუდად შენახვასთან. ყოველგვარი შეჯიბრება პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის, სკოლებსა, საბინაო კოოპერატივებს შორის უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ არც ერთი კილოგრამი პური არ დაიკარგოს და არ გაფუჭდეს. ჩვენ ვაგროვებთ აუარებელ პურს, რომელიც უზრუნველჰყოფს სასურსათო მომარაგებას და რეზერვების შექმნას. მაგრამ საწყობების ნაკლებობამ და პურის ცუდად შენახვამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ჩვენს მუშაობას. ეს ნაკლი გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ.

ფართოდ უნდა განვავითაროთ საზოგადოებრივი ინიციატივა მასებისა, რომლებიც პარტიის მოწოდებას გამოეხმაურნენ. ეს ინიციატივა უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მარცვალი კარგად იქნას შენახული დამზადების პუნქტებში და დამზადებული პური დაცულ იქნას კულაკის და მის მიერ დაქირავებული ბანდიტებისაგან, პურის ტვირთი დროზე იქნას გადაზიდული და შენახული მოხმარების ადგილას. პურის დამზადების გეგმის შესრულებასთან ერთად ეს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანაა.

გეგმის ვადამდე შესრულება მკაფიო კლასობრივი ხაზის ნიადაგზე, პურის სწრაფად გადაზიდვის უზრუნველყოფა, აგრეთვე პურის კარგად შენახვა—ამ ლოზუნგით უნდა დამთავრდეს პურის დამზადების კამპანია.

„პრავდა“, 31 ოქტომბერი.

ბრანდლერის რენეგატთა ჯგუფის დაშლა

ბერლინი, 30 ოქტომბერი. ბრანდლერის ჯგუფის უკანასკნელი აშკარად სოციალ-დემოკრატიული გამოსვლები ხელს უწყობს ბრანდლერის ჯგუფის დაშლას. ბევრმა ისეთმა პირებმა, რომელნიც დღემდე ბრანდლერის მიმდევრები იყვნენ, გერმანიის კომპარტიას მიმართეს თხოვნით,—რათა ისინი დაბრუნებულ იქნან პარტიაში (ადს).

ახალი სამხედრო გემების აგება

რომი, 30 ოქტომბერი. გამოქვეყნდა იტალიის მთავრობის დეკრეტი, რომლითაც ახალი სამხედრო გემების ასაგებად გადადებული თანხა დიდდება 400-დან 600 მილიონ ლირამდე. ამის გამო „კორიერე დელლასერა“ სწერს:

„გემების ასაგები თანხა დიდდება იმის გამო, რომ ივნისში დაიწყო ოთხი კრეისერის, ოთხი კონტრ-ნაღმოსნის და ოთხი წყალქვეშა ნავის აგება, რაც გათვალისწინებულია სამხედრო გემების საამშენებლო პროგრამით. (ადს).

გერმანიის კომპარტიის მორიგი ამოცანები

ბერლინი, 30 ოქტომბერი. გერმანიის კომპარტიის ც. კ.-ის პლენუმზე ამხ. ტელმანის მიერ გაკეთებული მოხსენება შეეხებოდა იუნგის გეგმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის საკითხს. აგრეთვე პარტიის მორიგ ამოცანებს.

ტელმანმა აღნიშნა, რომ პარტიამ უნდა განავითაროს მუშაობის ახალი ნამდვილი ბოლშევიკური მეთოდები, გასწმინდოს თავისი რიგები სულმოკლე და მერყევი ელემენტებისაგან, შეავსოს ეს რიგები მუშათა ახალი კადრებით და მოემზადოს არალეგალურ მდგომარეობაზე გადასასვლელად, ვინაიდან მმართველი კლასები, სოციალ-დემოკრატების დახმარებით, ცდილობენ კომპარტიის აკრძალვას. (ადს)

ინგლისის მუშების დელეგაცია ოქტომბრის დღესასწაულზე

ლონდონი, 30 ოქტომბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების მდივანმა **ლეო კონდონმა** განაცხადა, რომ **დელეგაციის ყოველი მონაწილე თვით მუშებმა ამოირჩიეს ფაბრიკებსა, ქარხნებსა და მაღაროებში.** დელეგატების ამორჩევის კამპანიამ დიდის წარმატებით ჩაიარა და დაამტკიცა **ინგლისის მუშების სრული სოლიდარობა საბჭოთა კავშირის მუშებთან.** საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებამ უკანასკნელ დროს დიდ წარმატებას მიაღწია და იმედი აქვს, რომ მომავალ წელიწადს მოაწყობს მუშათა სხვადასხვა დელეგაციების გაგზავნას საბჭოთა კავშირში; ეს დელეგაციები უფრო მრავალრიცხოვანი იქნებიან, ვიდრე ის დელეგაციები, რომლებიც აქამდე იგზავნებოდენ. (ადს).

ლონდონი, 30 ოქტომბერი. ინგლისის კომპარტიის ორგანო იუწყება: სამხრეთ უელსში გაიმართა ზანგი მეზღვაურების მიტინგი; მიტინგმა ინგლისის კომპარტიის ც. კ.-ის წევრის როტშტეინის მოხსენებით მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ესალმება **საბჭოთა კავშირში მიმავალ ინგლისელ მუშათა დელეგაციას.** რეზოლიუცია აღნიშნავს **ზანგების სოლიდარობას საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან** და ღრმა სინანულს გამოსთქვამს, რომ, უმუშევრობის გამო, შეუძლებელია ინგლისელ მუშათა დელეგაციასთან ერთად გაიგზავნოს ზანგების დელეგატიც. (ადს).

ლონდონი, 30 ოქტომბერი. ლონდონიდან საბჭოთა გემით „რუძუტაკით“ **საბჭოთა კავშირში გაემგზავრნენ ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად ინგლისისა და ირლანდიის მუშათა დელეგაციები.** პირველი დელეგაცია შესდგება 36 კაცისაგან, მეორე—10 კაცისაგან. გემზე მაშინვე გაიბა ძმური ურთიერთობა დელეგატებსა და ეკიპაჟს შორის; ყველანი ერთად მღეროდნენ „ინტერნაციონალს“ და სხვა რევოლიუციონურ სიმღერებს.

ინგლისის დელეგაციას მეთაურობს მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე **ჯორჯ ეიტკინი.** (ადს).

მენშევიკების მორიგი ღალატი

ბერლინი, 30 ოქტომბერი. ამსტერდამიდან იუწყებიან: ჰოლანდიის დეპუტატთა პალატამ განიხილა შეკითხვა იმ სისხლისმღვრელი შეტაკების შესახებ, რომელიც მოხდა პოლიციასა და ქალაქ მაასტრიხტის ფაბრიკების გაფიცულ მუშებს შორის და რომლის დროსაც ბევრი მუშა მძიმედ დაიჭრა, ხოლო ერთი ჭრილობებისაგან გარდაიცვალა. **შეკითხვის განხილვის დროს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს საერთოდ პოლიციის ძალადობის წინააღმდეგ არ გაულაშქრიათ;** ისინი მხოლოდ ამტკიცებდნენ, რომ პოლიციისათვის საჭირო არ იყო სასროლო იარაღის ხმარება, რადგან მას შეეძლო გამოეყენებია მხოლოდ რეზინის ჯოხები.

კომფრაქციის სახელით გამოვიდა დევისერი; მან დაახასიათა პოლიციის ტერორის პოლიტიკა, რომელსაც ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მთავრობა ადგია, მოითხოვა მაასტრიხტის ამბების გამოძიება და გაფიცვის გამო დათხოვნილი მუშების უკან მიღება.

ეს მოთხოვნები პალატამ ერთხმად უარჰყო წინააღმდეგ კომუნისტებისა. (ადს).

სრული ნდობა კომპარტიას

პარიზი, 30 ოქტომბერი. სენ-დენში კომპარტიამ მოიწვია მასიური მიტინგი, რათა განემარტა მუშათა მასებისათვის კომპარტიიდან მუნიციპალიტეტის კომუნისტ მრჩეველთა ლაპორტასა და ლოზას გამორიცხვის მიზეზი. მათ, ბურჟუაზიულ და სოციალისტურ სხვა მუნიციპალურ მრჩეველებთან ერთად, იმოგზაურეს ფაშისტურ უნგრეთში. მიტინგს 3.000 მუშა დაესწრო. მუშებმა ერთხმად დაჰგმეს ყოფილი კომუნისტი მრჩევლების საქციელი და **სრული ნდობა გამოუცხადეს კომპარტიას.** (ადს)

ნავთის მსოფლიო პროდუქცია

საბჭოთა კავშირს უჭირავს მესამე ადგილი

მოსკოვი, 31 ოქტომბერი. როგორც „ნეფტიანოი ბიულეტენ“-ი იუწყება, გამოჩენილი გეოლოგის გარფიასის ცნობებით ნავთის მსოფლიო ამოღება 1928—29 წელს 1,467 მილიონ ბარელს შეადგენდა, რაც წინა წელთან შედარებით იძლევა ზრდას 145 მილიონი ბარელით. წინა წელს ამოღების ზრდა მხოლოდ 61 მილიონ ბარელს უდრიდა.

ნავთის ამოღებაში პირველი ადგილი უჭირავს შეერთებულ შტატებს, სადაც ნავთის ამოღება წლის განმავლობაში შეადგენს 1.010 მილიონ ბარელს (წინა წელთან შედარებით ზრდა შეადგენს 11 პროცენტს). მეორე ადგილი უჭირავს ვენეცუელას, სადაც ამოღებულ იქნა 135 მილიონი ბარელი, შარშან ამოღებულ 106 მილიონი ბარელის ნაცვლად. საბჭოთა კავშირს უჭირავს მესამე ადგილი.

გარფიასის ცნობებით, 1928—29 წელს საბჭოთა კავშირში ამოღებულია 95,5 მილიონი ბარელი, შარშანდელი 87,8 მილიონ ბარელის ნაცვლად, რაც იძლევა ზრდას 8 პროცენტით. მაგრამ „ნეფტიანოი ბიულეტენ“-ი ფიქრობს, რომ ის ცნობები, რომლებიც ეხება ნავთის ამოღებას საბჭოთა კავშირში, რამდენადმე შემცირებულია. „ნეფტიანოი ბიულეტენ“-ის ცნობებით, საბჭოთა კავშირში ამოღებულია 100 მილიონი ბარელი.

ყველა ქვეყნიდან პროცენტულად უდიდეს ზრდას იძლევა სახალინი, სადაც, გარფიასის ცნობებით, ნავთის ამოღება, რომელიც 1928 წელს 509 ათას ბარელს შეადგენდა, 1929 წელს 880 ათას ბარელამდე გაიზარდა (ადს).

ფაშისტური პარტიის ახალი წესდება

ვენა, 30 ოქტომბერი. როგორც რომიდან იუწყებიან, ფაშისტური პარტიის დირექციამ მიიღო პარტიის ახალი წესდება, რომელიც დიდმა ფაშისტურმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს. ამ წესდებაში არის ისეთი პუნქტები, რომლების მიღებაც პარტიას მთლად დაუკარგავს პოლიტიკურ ხასიათს და გადააქცევს მას კათოლიკეთა ორდენისებურ ორგანიზაციად

300 წლის ციხე

პარიზი, 30 ოქტომბერი. „ლიუმანიტე“-ს ცნობით, ინდო-ჩინეთში საფრანგეთის ადმინისტრაციის უმაღლესმა საბჭომ არ შეიწყნარა 75 ანამიტელი რევოლიუციონერის საკასაციო საჩივარი. **ყველა ამათ საერთოდ სამასი წლის პატიმრობა აქვთ მისჯილი.**

მსჯავრდადებულნი კუნძულზე გაიგზავნენ. (ადს)

უნგრეთის ციხეებში

ვენა, 30 ოქტომბერი. ბუდაპეშტიდან გადმოცემული ცნობით, **პოლიტპატიმართა შიმშილობა გრძელდება.** ბეტლენმა მიიღო პროტესტი, რომელსაც ხელს აწერს ევროპის მრავალი მოღვაწე. მოღვაწენი მოითხოვენ პოლიტ-პატიმართა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. (ადს)

სააბონემენტო წიგნაკები საქონლის შესაძენად

მოსკოვი, 31 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ფინსახკომის კოლეგიამ მიზანშეწონილად სცნო ცდის სახით გამოუშვას მოსკოვში სააბონემენტო წიგნაკები კოოპერაციაში საქონლის შესაძენად. აბონემენტებით შეძენილ საქონელში ანგარიშის გასწორება იწარმოებს უშუალოდ გამყიდველთან, ამრიგად მყიდველს არ დასჭირდება სალაროსთან რიგში დგომა (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გადიდება

მოსკოვი, 31 ოქტომბერი. **საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა საკავშირო სახკომსაბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის 150 მილ. მანეთით გადიდების შესახებ. (ადს)**

მოსკოვი, 31 ოქტომბერი. 20 ოქტომბრისათვის მთელს საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე ხელისმოწერამ 790.293.000 მანეთს მიაღწია. ქალაქში ხელის მოწერა უდრის 664.658.000 მანეთს, რაც 23 პროცენტით აღემატება საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარიატის მიერ წინასწარ ნავარაუდევ რაოდენობას. სოფლად ხელისმოწერა უდრის 125.535.000 მანეთს, ე. ი. ფინანსთა კომისარიატის მიერ გათვალისწინებული რაოდენობის მხოლოდ 63,5 პროცენტს. (ადს)

თურქეთის რესპუბლიკის 6 წლის თავის გამო

მოსკოვი, 31 ოქტომბერი. 29 ოქტომბერს თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადებიდან 6 წლის შესრულების გამო თურქეთის საელჩოში მოხდა მიღება. მიღებას დაესწრნენ ამხ. **ლიტვინოვი, კარახანი, მიქოიანი და უწყებების** სხვა ხელმძღვანელნი და პასუხისმგებელი თანამშრომელნი, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსი. 29 ოქტომბერს დღისით თურქეთის ელჩმა **რაგიბ-ბეიმ** მიიღო თურქეთის კოლონიის წარმომადგენელნი. (ადს)

კრედიტები ღარიბთა მეურნეობებისათვის

მოსკოვი, 31 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ მიიღო სხვადასხვა დადგენილება ღარიბ მეურნეობათათვის კრედიტების მიწოდების შემდგომი გაადვილების შესახებ.

საკავშირო სახკომსაბჭო ყოველწლიურად განსაზღვრავს, რა თანხა უნდა მიეცეს აუცილებლად ღარიბ გლეხთა მეურნეობებს სახსრების იმ საერთო რაოდენობიდან, რომელიც სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემით გადაიდება გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობებისათვის. ამას გარდა, ღარიბ მეურნეობებს მიეცემათ კრედიტი ღარიბ მეურნეობათა საკრედიტო ფონდიდან, რომელიც გათვალისწინებულია სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემაში. მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს განემარტათ, რომ სესხი ღარიბი მეურნეობების საკრედიტო ფონდიდან უნდა გაიცეს იმავე ვადით და პირობით, რა ვადით და პირობითაც სესხი იცემა საერთო კრედიტებიდან. (ადს).

ტყავეულობა ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 31 ოქტომბერი. ამ.-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკა მიიღებს ქალაქის საჭიროებისათვის 4.000 მანეთის, ხოლო სოფლის საჭიროებისათვის 3.000 მანეთის ფეხსაცმელს. ამას გარდა, ამიერ - კავკასია მიიღებს 227.000 მანეთის ტყავის საქონელს, აქედან ქალაქისათვის — 65.000 მან., ხოლო სოფლისათვის — 162,000 მან.. (ადს).

წებელდის კულაკების პროცესი

მოწმეების დაკითხვა

სოხუმი, 31 ოქტომბერი. 30 ოქტომბერს სასამართლოს სხდომა არ მომხდარა. 31 ოქტომბერს პირველად დაკითხეს **სესიანს,** რომელმაც განაცხადა, რომ ფაფაზიანზე თავდასხმამდე ორი თვით ადრე იგი მას შეხვდა სოხუმში. „შევეხეთ საქმეებს,— ამბობს მოწმე— ჩვენთან მოვიდა კანდახჩიანი, რომელმაც გვაცნობა, რომ მარკოზმა მას 1000 მანეთი შეაძლია ფაფაზიანის მოსაკლავად. ეს ჩვენი ლაპარაკი,— სთქვა დასასრულ სესიანმა,— შეიტყო მარკოზმა. როგორც ვიცით, შემდეგში კანდახჩიანი მოკლულ იქნა“.

შემაძრწუნებელია ჩვენება მოწმე **გუშიანისა,** რომელიც შეეხო გელიჩალის და მავროპულოს მოქმედებას 1918 წელს. მათ ბოგატსკის კლდეზე დახვრიტეს შვიდი ყოვლად უდანაშაულო აფხაზი იმისათვის, რომ მათ აღმოაჩნდათ უნაგირები და ალვირები, რომლებიც ძალიან მოეწონათ გელიჩალს და მავროპულოს. აფხაზები გააშიშვლეს და გადააბეს ერთმანეთს. ალვირები და უნაგირები მავროპულომ და გელიჩალმა წაიღეს. იმავე 1918 წელს, როდესაც კოდორში ბოლშევიკების ფრონტი გაიხსნა, გელიჩალი და მავროპულო აგიტაციას ეწეოდნენ ოლგინსკოეს გლეხობაში საბჭოების წინააღმდეგ. აგიტაციით დაშინებულმა გლეხობამ უარი სთქვა მენშევიკების წინააღმდეგ წასვლაზე. ოლგინსკოეში არის წისქვილი, რომელიც მავროპულოს ეკუთვნის. ამ წისქვილს ორი სასწორი აქვს— ერთი ქვემოთ, მეორე ზემოთ. პირველი სასწორი მავროპულოს საშუალებას აძლევს მოჰპაროს გლეხებს სიმინდი მიღების დროს, მეორე სასწორი — ფქვილის გაცემის დროს.

გარდა ამისა, მავროპულო გლეხობისაგან იღებდა კარგ სიმინდს, ხოლო აძლევდა დამპალს. გლეხობა გმინავდა, მაგრამ მშველელი არავინ იყო, ყველგან კულაკები ბატონობდნენ.

„ერთხელ,— განაგრძობს გუშიანი,— ოლგინსკოეს მოჯამაგირეებმა შეადგინეს კედლის გაზეთი და გამოჰკიდეს სოფლის საბჭოში. მთვრალმა მავროპულომ გინებით ჩამოგლიჯა გაზეთი. როდესაც მოჯამაგირემ ფოტიადმა უსაყვედურა, მავროპულომ იძრო ნაგანი, დაადო ფოტიადს გულზე და დაემუქრა: „თუ კიდევ გამოუშვებთ გაზეთს, ყველას დაგხოცავთო“.

— —ერთხელ— ამთავრებს მოწმე გუშიანი, —შევედი წებელდის დუქანში და დავინახე, რომ ოთხ ერთმანეთზე მიდგმულ მაგიდას ეჯდა დიდი კამპანია. იხსდნენ თოფჩიანები, გელიჩალი და სოხუმიდან ჩამოსული კომისიის წევრები. შემოვიდა გლეთა ჯგუფი, რომელსაც კომისიისათვის უნდა გადაეცა საჩივარი თამბაქოს მიმღებთა მოქმედებაზე. საჩივარი შეეხებოდა თამბაქოს ხარისხის დაკლებას. გელიჩალი წამოხტა და კინწის კვრით შეუდგა გლეხების გარეკვას. კომისიის წევრები ისე დაითვრნენ, რომ ერთი მათგანი კიბიდან ჩავარდა და თავი გაიტეხა. იმავე საღამოს კომისია სოხუმს დაბრუნდა“.

— ვისგან შესდგებოდა კომისია? —შეეკითხა თავმჯდომარე.

— გვარები იცის სოხუმის აღმასკომის ტეხნიკოსმა რიაბჩენკომ, —უპასუხა მოწმემ.

— ვინ გადაიხადა ვახშმის ფული?

— გელიჩალმა გადაიხადა 81 მანეთი.

თავმჯდომარე: ბრალდებულო მესროფ თოფჩიანო, ადექით. სასამართლოში ბრალდებულთა ჯგუფმა, რომელმაც თქვენს წინააღმდეგ ჩვენება მისცა, შემოიტანა განცხადება, რომ თქვენ მათ დაემუქრეთ— გაგისწორდებითო. კერძოდ, ტერძიანს თქვენ ჩააშტვრიეთ კბილები. გაფრთხილებთ, რომ მთელი პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ.

შემდეგ სასამართლომ დაჰკითხა მოწმე ღვანესიანს, წებელდის თამბაქოს სარაიონო კოოპერატივის სანერგეს ყოფილ გამგეს.

„ თამბაქოს კოოპერატივის თავმჯდომარემ არზუმანმა,— სთქვა მან,— წინადადება მომცა, მემუშავა 10 საათი, რაზედაც არ დავთანხმდი და დამითხოვა. შემდეგ მე სოფლის ქარხანაში (ათონის მახლობლად) დავიწყე მუშაობა. ერთხელ მარკოზი ჩამოვიდა ამ სოფელში და მივიდა ნათესავ ხინგურქიანის სახლში. თვალყურს ვადევნებდი და დავინახე რომ მარკოზმა ფულის კონა გადასცა მესროფს, რომელიც მაშინ იმალებოდა“. (ადს)

დახმარება დამშეულ რაიონებს

დამშეულთა დამხმარე კომიტეტის სხდომა.

გუშინ საღამოს მთავრობის სასახლეში შესდგა დამშეულთა დამხმარე კომიტეტის სხდომა.

კომიტეტის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ „სოფლის კავშირი“ წელს დამშეულ რაიონებში ანაწილებს სათესლე მასალას და განზრახული აქვს ჩაატაროს ნათესების კონტრაქტაცია, რაც ამ რაიონების მოსახლეობის მდგომარეობის მიხედვით ყოვლად დაუშვებელია. კომიტეტმა დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა სახკომსაბჭოს წინაშე, რათა გლეხებს გაუნაწილდეს სათესლე მასალა და თუ ამ მასალის ღირებულების სხვა გზით დაფარვა ვერ მოხერხდა მოსავლის აკრეფის შემდეგ, მომავალ წელს გლეხობიდან აკრეფილი იქნეს მხოლოდ გაცემული სათესლე მასალა.

ვინაიდან სათესლე მასალის მეტი ნაწილი ჯერ კიდევ ისევ კახეთში იმყოფება დამზადების ადგილებზე, ეთხოვოს სახკომსაბჭოს ამ სათესლე მასალის რკინის გზებზე გადმოსაზიდათ გადაგზავნილი იქნეს კახეთის ოლქში 15 საბარგო ავტომობილი, ვინაიდან კომიტეტის რწმუნებულებს ადგილებზე უხდებათ დამშეულთა და დაავადებულთათვის სხვადასხვა სასწრაფო დახმარების აღმოჩენა (სურსათის მიწოდება, დაავადებულების საავადმყოფოებში გადაგზავნა როგორც მაზრის ცენტრში, ისე თბილისში) საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ რწმუნებულებს ამ მიზნისთვის გადაეგზავნოთ განსაზღვრული თანხები.

კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა სახკომსაბჭოს წინაშე, რომ რკინის გზების სამმართველოს მიეცეს წინადადება დამშეულთათვის დანიშნული ტვირთი გადაზიდოს შეღავათიანი ტარიფით, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციამ დამშეულთა რაიონებში გასანაწილებელ საგნებს დაადოს მხოლოდ ძირითადი ქსელის ზედნადები ხარჯები („ზაკსოიუზი“-ს და ცეკავშირის ზედნადები ხარჯების გამოკლებით).

კომიტეტმა სთხოვა სახკომსაბჭოს, რათა წინა წლებში მიღებული სასურსათო სესხის ვადა გაგრძელებული იქნეს ერთი წლით, განთავისუფლებულ იქნას გლეხობა გასული წლის კონტრაქტაციის ანგარიშში კუთვნილ სიმინდისაგან, ხოლო გასულ წელს კონტრაქტაციის წესით მიღებული სათესლე მასალის აკრეფის ვადა გაგრძელებული იქნას მომავალი წლის მოსავლამდე.

საბჭოების წევრ-ქალთა ყრილობა

პირველი სხდომა

30 ოქტომბერს, საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. მ. ცხაკაიას მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ამხ. მ. ცხაკაიას მოხსენება

მე შევეცდები არ დავღალო თქვენი ყურადღება,—განაცხადა მომხსენებელმა,—და მოკლედ დავახასიათო ის მდგომარეობა, რომელიც ახასიათებს უკანასკნელ ხანას. დავიწყებ საბჭოთა კავშირიდან.

როგორც მოგეხსენებათ, სამოქალაქო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის მშრომელების წინაშე დაისვა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანები. კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში და ისეთ აგრარულ ქვეყანაში, როგორსაც ყოფ. რუსეთი წარმოადგენდა, სოციალისტურ აღმშენებლობას მრავალი დაბრკოლებანი ელობება წინ, მაგრამ პროლეტარიატის მტკიცე ნებისყოფას მიეწერება ის, რომ ჩვენ აღვადგინეთ სახალხო მეურნეობა ომის წინანდელ დროის დონემდე და ბევრს დარგში კიდევაც გადავაჭარბეთ აღნიშნულ დონეს. ჩვენ არ შეგვიძლია გავიყინოთ ერთ წერტილზე. ჩვენს ამოცანას შეადგენს დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ გვექნება საწარმოო საშუალებანი; ამიტომ ჩვენი ხელისუფლების მთავარი ყურადღება მიქცეულია მძიმე ინდუსტრიის განვითარებისაკენ. საბჭოთა კავშირის მშრომელებს ეს საკმაოდ კარგად აქვთ შეგნებული, და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ისინი იმგვარ ენტუზიაზმს იჩენენ სამეურნეო ფრონტზე, როგორსაც იჩენდა სამხედრო ფრონტზე.

გულუბრყვილობა იქნება ვიფიქროთ, თითქო კაპიტალისტური ქვეყნებისათვის სულ ერთია, თუ როგორ დავაყენებთ ჩვენს საქმეს. ისინი ყოველგვარ ღონეს მიმართავენ, რომ ხელი შეგვიშალონ სოციალისტურ აღმშენებლობაში. ისეთი სახელმწიფოებიც კი, რომლებსაც თავიანთ ქვეყნის შიგნით ვერ მოუწესრიგებიათ საქმე, დღეს ჩვენ გვიღრენენ. აიღეთ ჩინეთი, რომელმაც ყაჩაღურად ჩაიგდო ხელში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა; მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, იგი თეთრგვარდიელებთან ერთად, მაინც განაგრძობს ჩვენს სანაპირო რაზმებზე თავდასხმებს, მშრომელი მოსახლეობის აწიოკებას და საბჭოთა მოქალაქეების დევნას. აქ მოულოდნელი არაფერია, რადგან ჩინეთის იმპერიალისტები ამ ღონისძიებას იწყებენ შინაური უწესრიგობის დასამალავად და კაპიტალისტური სახელმწიფოების გულის მოსაგებათ.

ამჟამად არის ცნობები, რომ ჩინეთის ზოგიერთი გენერლები მოითხოვენ ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას. თუ ჩინეთის ხელისუფლება არ გამოიჩენს კეთილგონიერებას, ჩვენ საკმაო საშუალება მოგვეპოვება მის ჭკუაზე მოსაყვანად.

თქვენ ალბად გახსოვთ, რომ არჩევნების დროს ინგლისის „მუშათა“ პარტიამ ერთერთ მთავარ ლოზუნგად წამოაყენა დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა საბჭოთა კავშირთან. ეს შემთხვევითი როდია. „მუშათა“ პარტიამ ალღო აუღო რა მასების განწყობილებას, მიმართა ასეთ საარჩევნო ხერხს, მაგრამ შემდეგში იგი ყოველივე საშუალებას ხმარობდა ჩვენთან მოლაპარაკების გასაჭიანურებლად, მიუხედავად ამისა, ამომრჩეველთა გავლენით იგი იძულებულია გადასდგას უფრო სერიოზული ნაბიჯი დაპირების შესასრულებლად. ახლო მომავალი დაგვანახვებს, თუ რით დამთავრდება ჩვენი მოლაპარაკება.

რაც შეეხება საფრანგეთს, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში იქ განსაკუთრებით გაძლიერდა კომუნისტების დევნა. „დიდებული დემოკრატიული“ საფრანგეთი გაფაციცებით აწყობს ფაშისტურ რაზმებს მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის ჩასახშობად.

გერმანია შედარებით კეთილმეზობლურ განწყობილებაშია ჩვენთან, მაგრამ იქაც სწარმოებს რევოლიუციონერ მუშების დევნა. მიუხედავად ამისა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გერმანიის მშრომელები სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ბურჟუაზიას, რასაც მოწმობენ გაფიცვები, გრანდიოზული დემონსტრაციები, რომლებსაც აწყობენ წითელფრონტელთა კავშირის წევრები და ის რეზოლიუციები, რომლებიც მიიღეს გერმანიის მშრომელ ქალთა ყრილობაზე.

მე არ შევჩერდები თვითეულ სახელმწიფოზე ცალ-ცალკე, მაგრამ საერთოდ ავღნიშნავ, რომ, თუ ერთის მხრივ, კაპიტალისტური სახელმწიფოები ჩვენთან მტრულად არიან განწყობილნი, მეორეს მხრივ, მიუხედავად ყოველგვარი პაციფისტური პაქტებისა, მათ შორისაც არ არის კარგი განწყობილება. ამავე დროს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მსოფლიო პროლეტარიატი თანდათანობით ირაზმება და ემზადება ახალ რევოლიუციონურ ბრძოლებისათვის და საბჭოთა კავშირის დასაცავად.

ამხ. ცხაკაიას მოხსენებით დაიხურა ყრილობის პირველი სხდომა.

აღმოვფხვრათ ძველი ყოფა-ცხოვრების ფესვები

გუშინ დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. შიუკაშვილის ინფორმაციული მოხსენება ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის გამაუმჯობესებელი კომისიების მუშაობისა და ამოცანების შესახებ.

„ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის გამაუმჯობესებელ კომისიებს,—სთქვა ამხ. შიუკაშვილმა, უდიდესი მოვალეობა აწევს ქალთა უფლებრივი დაცვის, ეკონომიური და ყოფა-ცხოვრებითი მდგომარეობის გაუმჯობესების და კულტურული დონის ამაღლების საქმეში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენ მრავალი ნაკლი გვაქვს. ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის გამაუმჯობესებელი კომისიების მუშაობა ამჟამად უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ იგი სამუშაოზე აწყობს ქალებს, არავითარ სხვა მუშაობას ქალთა შორის ის არ აწარმოებს.

აქამდე გადაწყვეტილია ყველა სოლქო აღმასკომებთან ქალთა კომისიების დაარსება ფასიანი მომუშავეებით, გარდა ამისა, სასოფლო საბჭოებთან მოეწყობა ყოფა-ცხოვრების სექციები, ამასთან დაკავშირებით უნდა მოხდეს ქალთა კომისიების მუშაობის გარდაქმნაც; ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმასკომების პრეზიდიუმები სათანადოთ შეაფასებენ ამ კომისიების მუშაობას და გაუწევენ მათ ხელმძღვანელობას.

წარმოებებში ჩაბმულ ქალთა რიცხვი ჯერ კიდევ საკმაო არ არის. ეს ჩვენ წინაშე აყენებს ქალთა კვალიფიკაციის ამაღლების ამოცანას. ამ მხრივ შრომის კომისარიატის ორგანოებს ჯერ კიდევ არ გადაუდგამთ შესაფერი ნაბიჯი.

საზოგადოებრივ მუშაობაში ქალთა მონაწილეობა მეტს ეფექტს მოგვცემს მაშინ, როცა ქალები წერა-კითხვის მცოდნენი იქნებიან; დღემდე მოიპოვება კიდევ ადგილები, სადაც სკოლაში თითო-ოროლა ქალს შეხვდებით. სახ. განათლების ორგანოებმა უნდა გააფართოვონ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების ქსელი და ჩააბან მასში ქალები. ამ საქმეში განსახკომმა უნდა დაიხმაროს ქალთა კომისიები და საბჭოს წევრი ქალები.

ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ხელისშემშლელ პირობად უნდა ჩაითვალოს საბავშვო ბაღების, ბაგების და კონსულტაციების სიმცირე. განსაკუთრებით ეს საგრძნობია კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში.

მოუწესრიგებელი არ არის აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საქმე. მაგალითისათვის დავასახელოთ თუ გინდ ის ფაქტი, რომ მუშათა საბინაო მშენებლობის დროს არ ითვალისწინებენ საერთო სამზარეულოს აშენებას და ბაგებისათვის სპეციალური ბინის გამოყოფას, ამრიგად ქალი განუტვირთავი რჩება თავისი ყოველდღიური ფუსფუსისაგან სამზარეულოში, სამრეცხაოში და ბავშვების მოვლისაგან.

ის ფაქტი, რომ ქალთა საგრძნობმა ნაწილმა ჯერ კიდევ არ იცის თავისი უფლებები, გვეუბნება, რომ ქალთა კომისიებს ცოტა რამ გაუკეთებია ჩვენი კანონმდებლობის პოპულარიზაციისათვის, ამიტომ ხშირია შემთხვევა, როცა ქმრის მიერ მიტოვებული ბავშვიანი ქალი „ემორჩილება ბედს“.

რაც შეეხება ქალთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ თუმცა ბევრი რამ გაკეთებულა, მაგრამ ამით დაკმაყოფილება ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენ უნდა გავამრავლოთ ისეთი კოლექტივები, არტელები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქალთა უმუშევრობის შემცირებას.

საღამოს სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. შიუკაშვილის მოხსენების გარშემო, რის შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. ქაცარავას მოხსენება კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

პარტიაში

ღარიბთა დარაზმვა სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე [illegible] გამოსილი სოციალისტური შეტევის აუცილებელი პირობაა

გამოვამჟღავნოთ კულაკის კლასიური სახე

პარტიის ახალმა კურსმა სოფლად, რომელიც სოფლის საწარმოო პროცესების მაქსიმალურ გასაზოგადოებას გულისხმობს, ბუნებრივად გამოიწვია კლასიური ბრძოლის გამოცოცხლება, გააფრთებული შემოტევა კულაკობის მხრივ. კლასიური მტერი თავის აუცილებელ დაღუპვას ელის და კლასიური თვითშეგნება, კლასიური ინსტინქტი მას უკარნახებს არა მარტო თავდაცვას, არამედ შეტევასაც სოციალისტურ ღონისძიებათა წინააღმდეგ საკუთარ პოზიციების შესანარჩუნებლად.

კულაკის სიძლიერე არა მარტო მის სამეურნეო მდგომარეობაზეა დამოკიდებული, არამედ იმაზეც, თუ რამდენად სწორათ ტარდება სოფლად პარტიული ხაზი, რამდენად პარტიულ ორგანიზაციებს არ დაუკარგავთ კლასობრივი სახე, რამდენად სწორად ხელმძღვანელობენ ისინი ღარიბთა ჯგუფებს, თანდათანობით ანმტკიცებენ კავშირს საშუალო გლეხობასთან და საშუალო გლეხობის მეტ მასებს აბამენ სოციალისტურ აღმშენებლობაში.

პარტიამ, როგორც ვიცით, უარყო თავის დროზე ტროცკისტების მოთხოვნილება ღარიბთა დამოუკიდებელ, საშუალო გლეხებისაგან განცალკავებულ, მოწყვეტილ ორგანიზაციების შექმნის შესახებ. ტროცკისტული ლოზუნგი „ღარიბთა კავშირების“ დაარსებისა, პარტიამ მიიჩნია ისეთ ღონისძიებათ, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ ანმტკიცებს კავშირს ღარიბ და საშუალო გლეხობას შორის, არ ამაგრებს მუშურ-გლეხურ ბლოკს, არამედ ზრდის უთანხმოებას ამ ბლოკში და შესაძლებლობას აძლევს კულაკობას თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს საშუალო გლეხობის მასები.

ღარიბი გლეხობა გაბატონებულ მდგომარეობას იპყრობს საბჭოებში, კოოპერაციაში და საკუთარ ჯგუფების მეოხებით შესაძლებლად ხდის პარტიულ დირექტივების გატარებას სოფლად. ღარიბთა ჯგუფები არ არის არავითარ შემთხვევაში კარჩაკეტილი ორგანიზაციები, პირიქით მათი მეოხებით ხდება საშუალო გლეხობის მეტი დაახლოება სოფლის სხვადასხვა პოლიტიკურ, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საშუალო გლეხობის აქტიურად ჩაბმა სოფლის სოციალისტურ გარდაქმნის საქმეში.

საშუალო გლეხობის გვერდის ავლა არ შეიძლება სოფლის არც ერთ საზოგადოებრივ და სამეურნეო ორგანიზაციიდან. კოლექტიური მეურნეობანი, სასოფლო-სამეურნეო არტელები თუ სამანქანო ამხანაგობანი არსდება არა მარტო ღარიბი გლეხობის, არამედ საშუალო გლეხების აქტიური მონაწილეობითაც. საშუალო გლეხობის მონაწილეობის გარეშე არ შეიძლება მტკიცე იქნეს სოფლის არც ერთი ორგანიზაცია და ამიტომ საშუალო გლეხობის აქტიური მონაწილეობა სოფლის სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაში საწინდარია ჩვენი გამარჯვებისა კაპიტალისტურ ელემენტებზე.

კულაკის არ დანახვა, მასთან ბრძოლის შერბილება, სოფლად ყველასი მშრომელებათ გამოცხადება, არსებითად პირდაპირი დახმარების გაწევაა კლასიური მტერისათვის და ღარიბთა ჯგუფების მიერ თავისი ამოცანის შეუგნებლობა. კულაკის არდანახვის, კულაკური საფრთხის მიფუჩეჩების აშკარა ფაქტები მრავალია ჩვენში და ამასვე მოწმობს ქვემოთ მოყვანილი ცნობები თბილისის მაზრის სინამდვილიდან.

საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლას კულაკი დღეს აწარმოებს არა მარტო მალულად, არამედ აშკარად, კოლექტივების წინააღმდეგ გალაშქრებით, კოლექტივთა ყანების, მოსავლის გადაწვით და კოლექტივებში გაერთიანებულ ღარიბი გლეხობის მოსყიდვით. კულაკი არ აბარებს კოოპერაციას და სახელმწიფო ორგანოებს პურს და საშუალო გლეხობასაც არწმუნებს, რათა შექმნას ერთიანი ფრონტი მასთან და არ ენდოს საბჭოთა ორგანოების დაპირებებს. კულაკი სოფლად ყოველი ახალი წამოწყების წინააღმდეგ გამოდის, ის უარყოფს არ მარტო კოლექტივებს, ტრაქტორებს, არამედ ყოველი ახალი სკოლის აგებასაც კი, რადგან სკოლას განათლება მოაქვს და გათვითცნობიერებული მასები ღარიბი და საშუალო გლეხობისა კულაკს ძველი სოფლის დამრღვევად მიაჩნია, სოფლად განათლების გავრცელებაში და მასების გათვითცნობიერებაში კულაკი თავის დაღუპვას ხედავს.

კულაკობის მუშაობის გამომჟღავნება ამიტომ უნდა ხდებოდეს სწორედ ამ კონკრეტობის ხაზით, პარტიული ორგანიზაციები უნდა აქცევდნენ ყურადღებას ყველა ფაქტებს, სადაც კი ჩანს კულაკის მიერ თავისი კლასიური პოზიციების დაცვა და კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაც არა ზოგადათ, არამედ კონკრეტულად უნდა სწარმოებდეს. მაგრამ კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლა, კულაკობის ყოველ ფეხის ნაბიჯზე გამოაშკარავება შეუძლებელია, ვიმეორებთ, იმის გარეშე, თუ ღარიბთა ჯგუფები არ სდგანან თავის სიმაღლეზე, თუ საშუალო გლეხობა მთლიანად არ უჭერს მხარს სოფლად კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლას და იდეა კოლექტივიზაციისა არაა პოპულიარული მშრომელ გლეხობის ფართე მასებში.

პარტიული მუშაობის ძირითად ამოცანად რჩება მეტი გაცხოველება ღარიბთა ჯგუფებისა, მეტი აქტიობა სოფლის პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ ელემენტებისა საბჭოებში, კოოპერაციაში და საშუალო გლეხობის დარწმუნება სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების უპირატესობაში და კულაკის კლასიური ბუნების გამომჟღავნება.

ლ. მ—ძე.

გაშლილი ფრონტით კაპიტალიზმის ნაძირალების წინააღმდეგ

მედგარი სოციალისტური შეტევა კაპიტალიზმის ელემენტებზე სოფლად, ბუნებრივია, კულაკობისა და სოფლის სხვა წურბლების გააფთრებულ წინააღმდეგობას იწვევს. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება და კულაკობის კონტრშეტევის გაძლიერება განსაკუთრებით შესამჩნევია თბილისის ოლქში. აქ უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ფაქტებს, რომლებიც აშკარად მოწმობენ, რომ კულაკი იყენებს ყოველგვარ საშუალებას პარტიის ღონისძიებათა ჩასაშლელად. კულაკი იმდენად მოხერხებულია, რომ უმეტეს ნაწილად ერიდება აშკარად გამოსვლას. იგი ამჯობინებს ფარულად, შეუმჩნევლად აწარმოოს ბრძოლა თავისი ეკონომიური პოზიციების შენარჩუნებისათვის.

ამ ორი-სამი თვის განმავლობაში კულაკებმა ცეცხლს მისცეს მარტყოფის კოლმეურნეობის 2.500 ფუთი თივა, მოწამლეს მანგლისის კომუნის საქონელი, დაუწვეს სოფელ კასალოს ღარიბ გლეხობას 1.300 ფუთი ხორბალი, ცეცხლი წაუკიდეს პარტიის წევრის სახლს სოფ. ნაზარლოში. კულაკების აქტივობა მარტო ამგვარი ნაბიჯებით არ ამოიწურება. მათ აშკარა ტერორიც კი გამოიყენეს ღარიბი გლეხობის მიმართ. სოფ. კოხალარში (აღბულაღის რაიონი) კულაკებმა მხეცურად მოკლეს აქტიური ღარიბი გლეხი, რომელმაც გამოამჟღავნა მათ მიერ გადამალული დასაბეგრი ობიექტები, ამავე რაიონში კულაკურმა ელემენტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მიწათმოწყობას და სცემეს მიწათმომწყობს.

ამგვარი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლებოდა. ყველაფერი ეს საბოლოოდ ამსხვრევს იმ პოლიტიკური სიბრმავით დაავადებულ პირთა შეხედულებას, რომელთაც არ სურთ დაინახონ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება საბჭოთა სოფელში და რომლებიც გულუბრყვილოდ ოცნებობენ კულაკის სოციალიზმში შეზრდაზე.

კულაკების გაცხარებულ წინააღმდეგობას ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ ღარიბთა მასების შეკავშირება, ამ მასების საშუალებით უნდა ვაწარმოოთ გაშლილი სოციალისტური შეტევა კაპიტალიზმის ნაძირალების საბოლოოდ აღმოსაფხვრელად.

მაგრამ რა მდგომარეობაშია ღარიბთა დარაზმვის საქმე თბილისის ოლქში? რასაკვირველია, ამ მხრივ ბევრი რამ არის გაკეთებული. ღარიბები და მოჯამაგირეობა, რომლებსაც მტკიცე კავშირი აქვთ საშუალო გლეხობასთან, შეურიგებლად ებრძვიან სოფლის წურბლებს. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ და არ დავინახოთ ისიც, რომ ეს ფრონტი ზოგიერთ ადგილას გაწყვეტილია.

პარტორგანიზაციების ნაწილმა ჯერ კიდევ ვერ დააყენა საქმე ისე, რომ პარტიის ყველა ღონისძიებანი სოფლად ღარიბთა ორგანიზაციების მეშვეობით, მათი დახმარებით ტარდებოდეს. ჩვენ დღემდე ვერ მოვაწყვეთ ღარიბთა ჯგუფები ყველა არჩევით ორგანოებთან, სადაც კი გვაქვს ასეთები, ისინიც სუსტად მუშაობენ.

ღარიბთა შორის მუშაობის სისუსტის წყალობით კულაკი ხშირად თავისკენ იბირებს არა მარტო საშუალო გლეხობას, არამედ თვით ღარიბებსაც. **მანგლისის რაიონში,** სოფელ დიდ თონეთში ღარიბთა კრებაზე გაისმოდა ასეთი განცხადებები: „ჩვენ კულაკები არა გვყავს, ყველანი მშრომელები ვართ, ყველას უნდა ჰქონდეს ხმის უფლება“, ან და კიდევ: „კოლმეურნეობებმა ჩვენ მიწები წაგვართვეს“-ო. უღარიბესი გლეხობის ასეთი შეხედულება და განწყობილება გვეუბნება, რომ აქ ცუდათ არ მუშაობს კულაკური აგიტპროპი. მაგრამ საკითხავია: როგორ მუშაობს პარტიული უჯრედი? აქაური უჯრედის მუშაობის მეთოდი მეტად მარტივია: ის ღარიბ გლეხებს, რომლებიც ამგვარ აზრებს გამოსთქვამენ, კონტრ-რევოლიუციონერებად ნათლავს და სრულიად არ ცდილობს სისტემატიური მუშაობის გზით გამოიყვანოს ისინი კლასობრივი მტრის ტყვეობიდან. ღარიბმა გლეხობამ თვითონ განაცხადა: „მთელი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ პარტიის წევრებმა ვერ გამონახეს ჩვენთან საერთო ენა“-ო. კოლმეურნეობამ კი რა თანაგრძნობა უნდა ნახოს აქაურ გლეხებში, როდესაც მას თვალი სხვისი ნაშრომის მითვისებისაკენ უჭირავს. თონეთში ღარიბ გლეხებს ჰქონდათ ბაღი, რომელიც მიმდინარე წელსაც მათ დაამუშავეს, მაგრამ მოსავალი კოლმეურნეობამ მიითვისა. აი, ასეთ უხეშ დამახინჯებათა წყალობით ხშირად ყოველგვარ ავტორიტეტსა და ნდობას კარგავს ღარიბ გლეხობაში კოლექტივიზაციის იდეა.

მეორე მაგალითი: ალბულაღის რაიონის სოფლებში ღარიბ და საშუალო გლეხობის ნაწილმა გაილაშქრა მიწათმოწყობის წინააღმდეგ. სოფ. დალითხაჩენში შავსილების მეთაურობით შედგენილ იქნა კოლექტიური მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ მიწათმოწყობა სრულიად არ ყოფილიყო ჩატარებული. ამ მოთხოვნილებაზე ბევრმა ღარიბმა და საშუალო გლეხმაც მოაწერა ხელი. ამავე სოფელში გლეხობის საერთო კრება, რომელსაც უნდა აერჩია კომისია მიწების კატეგორიების განსასაზღვრელად, ჩაშლილ იქნა კულაკების მიერ.

აქ ჩამოთვლილი ღონისძიებებს ადგილობრივი ორგანიზაციები ღარიბ გლეხთა კრებებზე წინასწარ დაუმუშავებლად ატარებდნენ, რამაც გამოიწვია მათი ჩაშლა.

ყველა ეს ფაქტი მჭერმეტყველურად გვეუბნება, რომ ღარიბთა შორის მუშაობა მანგლისისა და ალბულაღის რაიონებში ორივე ფეხით მოიკოჭლებს.

გაშლილი სოციალისტური შეტევის ფრონტი ყველგან მტკიცე, ყველგან განუწყვეტელი უნდა იყოს. ამიტომაც საჭიროა ღარიბთა ორგანიზაციის საქმეს მეტი ენერგიით მოჰკიდონ ხელი სოფლის პარტიულ ორგანიზაციებმა. მათ უნდა დაიხსომონ, რომ მთავარია არა მარტო „საერთო ენის გამონახვა ღარიბებთან“, არამედ ყველა პროლეტარული და ნახევრად პროლეტარულ ელემენტების დარაზმვა, მათი დაკავშირება საშუალო გლეხობასთან და გაერთიანებული ძალით სისტემატიური იერიშების მიტანა კაპიტალიზმის ნაშთებზე სოფლად.

ა. გ—ძე.

ასე ესმით დიფერენციაცია

(ონის რაიონი, ქუთაისის ოლქი)

პარტია და ხელისუფლება ღებულობენ ყოველგვარ ღონისძიებას, რათა სოფლის მშრომელი გლეხკაცობა ეკონომიურად წელში გაიმართოს და შეიქმნეს მტკიცე დასაყრდენი სოფლად პარტიული პოლიტიკის გატარებისათვის. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში პარტიის ხაზის ცუდად გატარების გამო, ღარიბი გლეხობა ვერ გრძნობს ხელისუფლების ნამდვილ დახმარებას და გარიყული რჩება.

ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ცოცხალი მაგალითები ზემო რაჭის ცხოვრებიდან. ამ მაგალითებიდან ჩანს, თუ კლასიური ხაზის როგორ დამახინჯებამდე მიჰყავს ზოგიერთი ორგანიზაციები ღარიბთა შორის მუშაობის მივიწყებას.

აღნიშნულ რაიონში პარტიული აქტივი არ არის გარკვეული ღარიბთა შორის მუშაობაში, და რაც მთავარია, გლეხობის ფენებად დაყოფის საკითხში. აქედან გამომდინარეობს ღარიბთა შორის მუშაობის შეუფასებლობა. როგორც ჩანს ასეთი სახის გაურკვევლობიდან არ არიან დაზღვეული ოლქის ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკებიც.

ხსენებულ რაიონში გლეხთა ფენებად დანაწილების საქმე დიდ გაუგებრობას და მასთან საკმაო უკმაყოფილებასაც იწვევს. ხშირია შემთხვევა, როდესაც კულაკების სიაში მოქცეულია საშუალო გლეხობა, მეორე მხრივ საშუალო გლეხობას ხშირად ღარიბთა კატეგორიასაც აკუთვნებენ. როცა ადგილობრივი ამხანაგები ვერ გარკვეულან ფენებად დანაწილების საკითხებში, მათ მიუმართავთ ყოფილ სამაზრო აღმასკომისათვის, საიდანაც სორის თემის საბჭო შემდეგ „განმარტებას“ ღებულობს: „თქვენი ა. წ. 13 აპრილის № 120 მოწერილობაში აღნიშნულ საკითხების გამო გაცნობებთ, რომ გლეხობის ფენებად დაყოფის საკითხის შესახებ სათანადო განმარტებას მიიღებთ თემკომიდან. ცნობისათვის კი შეგვიძლია განგიმარტოთ, რომ საერთო წესის მიხედვით გლეხობა იყოფა პირველ რიგში სამ ფენად, შემდეგ კი თვითეული ფენა სამ კატეგორიად“. მაზრის აღმასკომის ამ „განმარტებიდან“ თავის თავად ცხადია, ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თემის ყველა მუშაკმა თავისი თავი ღარიბთა კატეგორიაში მოაქცია და ნამდვილი ღარიბები კი ყოველგვარ ყურადღების გარეშე დასტოვა. მაგალითად, სორის თემკომის მდივანმა ნესტორ კურვალიძემ თავისი თავი ღარიბთა კატეგორიაში ჩასწერა და სხვა შეღავათებთან ერთად საფონდო მიწაც მიიღო; მაშინ, როდესაც მას აქვს: ვენახი, რომელიც იძლევა 60 ფუთ ღვინოს, მოსდის სიმინდი და პური ას ფუთამდე, ყავს ერთი უღელი ხარი, ფურკარი, გაქირავებული აქვს ერთი ოთახი, რომელშიაც ღებულობს თვიურად ათ მანეთს. ყველა ამას ემატება მისი თვიური ხელფასი 60 მან. თავის - თავად ცხადია, რომ ყველა დამახასიათებელი ნიშნით ეს კაცი არის საშუალო გლეხი, მას კი თავი ღარიბად მოაქვს.

თემკომის მდივანი, რაკი თვისი თავი ღარიბებში ჩასწერა, სხვებსაც ხომ უარს ვერ ეტყოდა. ეს არის იმის მიზეზი, რომ სორის თემის გლეხობა კატეგორიებად დაყოფილია შემდეგნაირად: პირველი კატეგორიაშია — 333 კომლი, მეორეში — 130, მესამეში —49. საბჭოს შემადგენლობაში პირველი კატეგორიისა 34, მეორესი—8 და მესამეს—2. ადგილზე შემოწმებამ კი დაადასტურა, რომ საშუალო გლეხკაცობა აქაც ისე, როგორც ყველგან საბჭ. კავშირში, აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენს.

ანალოგიურ გარემოებას აქვს ადგილი ონში, უწერაში, გლოლაში და სხვ. ამგვარ დაბნეულ პოლიტიკის გამო, ნამდვილი ღარიბები ყურადღების გარეშეა მიტოვებული, მათზე თითქმის არავინ ზრუნავს.

თავაშვებული კულაკები ღარიბების წინააღმდეგ საკმაოდ აქტიურად ილაშქრებენ და ზოგჯერ ცემითაც კი უმასპინძლდებიან მათ. უწერის აღმასკომში აღმოჩენილ იქნა ასეთი საქმე: „26 მაისს, მე, აღმასკომის თავმჯდომარე მეტრეველმა, შევადგინე ეს ოქმი შემდეგზე: მცხოვრებ სოფ. ძეგლევში ვალიკო ბენდელიანმა [illegible] ამავე სოფ. მცხოვრებნი ელგუჯა ტოგონიძე, ბიჭია ბერიშვილი და ბესო ხიდეშელი, რომლებსაც მოუნდომებიათ ბენდელიანის ცემა და ეხლაც ემუქრებიან სასიკვდილოდ, იმიტომ, რომ ის, როგორც ღარიბი, ჩაწერილა კოლექტივში და მათგან ნამორთმეულ ადგილს ხნავდა“. აქ აშკარაა კულაკების მიერ ღარიბ გლეხზე შემოტევის ფაქტი, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს გააფთრებული კლასობრივი მტერი სასტიკად დაესაჯა — მისი საზოგადოებრივ საჩვენებელი გასამართლება მოეწყო, ეს საქმე მაგიდის ქვეშ შემოსდო და დღემდე უმოძრაოდ იმყოფება.

უწერის კოოპერატივიდან ღარიბი გლეხი ფართალს და სხვა დეფიციტიან საქონელს ვერ ღებულობს, რადგან ვისაც საქონელი უნდა, ფული წინასწარ უნდა შეიტანოს. ცხადია, ღარიბი გლეხობა ერთი - ორი თვის წინასწარ ფულის შეტანას ვერ შესძლებს და კოოპერატივი ფაქტიურად შეძლებულ ფენას ემსახურება.

ონის თემიდან გადასახლებული იყო ძველი აზნაური და მემამულე დავით იოსებისძე ჯაფარიძე, რომელსაც ღარიბი გლეხობა შიშის ქვეშ ყავდა დაყენებული. 27 წლის დასაწყისში მან რაღაც მახინაციებით მოახერხა უკან დაბრუნება და ისევ შეუდგა გლეხების უმოწყალო ყვლეფას. მისთვის ჩამორთმეული მიწები გადაცემული ჰქონდა ღარიბ გლეხებისაგან შემდგარ არტელს. ჯაფარიძის ჩამოსვლის შემდეგ მისი შიშით ექვსმა ღარიბმა გლეხმა (მათ შორისაა საბჭოს წევრი, ყოფ. წითელარმიელი ერასტი რთველაძე) ეს მიწა მიატოვა.

სორის თემში აზნაურ ქიშვარდი ჯაფარიძეს ღარიბი გლეხობა ტერორ ქვეშ ყავს დაყენებული. გლეხობა ერთხმად მოითხოვს ამ ყოფილი ადამიანის თემიდან გადასახლებას.

ქუთაისის საოლქო კომიტეტმა და ზემო რაჭის რაიონის პარტორგანიზაციამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ღარიბთა შორის მუშაობის გაძლიერებას.

ქ. ბარამიძე.

ღარიბები ირაზმებიან

(ხულოს მაზრა, აჭარისტანი)

ჩვენს მაზრაში მომხდარმა ამბებმა ა. წ. გაზაფხულზე ადგილობრივი ორგანოების წინაშე წამოჭრა საკითხი საბჭოების დაუყოვნებლივ გადარჩევის შესახებ. მაგრამ ისედაც უხერხემლო და დამფრთხალმა ძველმა ხელმძღვანელობამ ამ საქმეშიაც ვერ დაიცვა კლასობრივი ხაზი. საბჭოთა არჩევნები ჩატარდა, ასე ვსთქვათ, „აბსოლიუტური დემოკრატიის“ ლოზუნგით, რამაც საშუალება მისცა კულაკებს, აღალარებსა და ხოჯებს გაეყვანათ თავიანთი კაცები ხელისუფლების ორგანოებში.

არჩევნების შედეგი ასეთია: ღარიბები შეადგენენ საბჭოების წევრთა 30 პროცენტს, საშუალო გლეხები — 45 პროც., კულაკები, და ანტი - საბჭოთა ელემენტები კი 25 პროცენტს.

ამგვარი შემადგენლობის საბჭოები, ცხადია ღარიბთა დაცვით თავს არ შეიწუხებდნენ. პირიქით, ისინი გადაიქცნენ იარაღად კულაკების ხელში და ყოველ მხრივ სთელავდნენ ღარიბ გლეხების ინტერესებს.

ეს გარემოება პარტორგანიზაციას ავალებდა, სხვა ღონისძიებების გატარებასთან ერთად, გაეძლიერებია ღარიბთა შორის მუშაობა, შეეკავშირებია საბჭოს წევრი ღარიბები და დაეპირდაპირებია ისინი საბჭოების შემადგენლობის კულაკური ნაწილისთვის.

ღარიბთა შორის მუშაობა საერთოდ აჭარისტანის სოფლებში მიმდინარე წლამდე სრულიად არ სწარმოებდა. ძნელი იყო პირველი ნაბიჯის გადადგმა ამ მიმართულებით.

კულტურულად ჩამორჩენილი აჭარელი ღარიბი გლეხობა უაღრესად გამსჭვალულია რელიგიური ფანატიზმით და ამ ნიადაგზე ხოჯებისა და კულაკების განუსაზღვრელი გავლენის ქვეშ იმყოფება. მიუხედავად ამისა, კლასთა ბრძოლის საერთო გამწვავებამ აჭარისტანის სოფელშიაც ჰპოვა თავისი გამოხატულება. ჩადრი და სარწმუნოება უკვე ვეღარ თამაშობს ღარიბებისა და კულაკების ინტერესთა შემარიგებლის როლს.

სამაზრო კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ ალღო აუღო ამ გარემოებას და მთავარი ყურადღება ღარიბთა ჯგუფების მოწყობას მიაქცია: ამჟამად ყველა საბჭოსთან ჩამოყალიბებულია ღარიბთა ჯგუფი, რომელიც საბჭოს მუშაობას ღარიბთა ინტერესების დაცვის ხაზით მიმართავს.

ამას გარდა სოფლებში იწვევა ღარიბთა კრებები, სადაც ირჩევა სოფლის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხები. ჯგუფებისა და კრებების მუშაობის მოწესრიგებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ღარიბთა პოლიტიკური წონა და კლასობრივი თვითშეგნება.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოწვეულ იქნა ღარიბთა ჯგუფების სამაზრო კონფერენცია. ღარიბ გლეხების გამოსვლები ამ კონფერენციაზე ნათლად ამტკიცებს, რომ აჭარელი ფუხარა თანდათან თავისუფლდება საუკუნოებრივი ცრუმორწმუნეობისა და დაბერავებისაგან. კონფერენციის მუშაობა გვიჩვენებს, რომ კულაკის გარიყვის საქმე, თუმცა ნელის ტემპით, მაგრამ მაინც წინ მიდის. ეს კი დიდი მიღწევაა აჭარისტანის სოფლისთვის, სადაც კულაკი და მისი აგიტპროპი — ხოჯა, დღემდე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობენ.

ჭყანელი.

აგიტპროპმუშაკთა თბილისის საოლქო თათბირზე

ამხ. ადამიანის საბოლოო სიტყვის შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ჯაშის მოხსენება კულტურული მუშაობის შესახებ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში და კომუნებში.

დღემდე—აღნიშნავს ამხანაგი,— ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და პროფორგანიზაციების მიერ კულტურული მუშაობის გაჩაღებას კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში და კომუნებში. კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებულ მოსახლეობის კულტურული დონე საგრძნობლად დაბალია; კოლექტივის და კომუნების წევრთა უმრავლესობამ არ იცის წერა-კითხვა და სხვ. ცხადია, შემდეგისათვის ასეთი მდგომარეობის დატოვება დიდ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობები და კომუნები სოფლად უნდა გადაიქცეს კულტურული მუშაობის კერად, რისთვისაც საჭიროა სათანადო ორგანოების მთელი ყურადღება.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. სოხიანის მოხსენება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ და ამხ. ძაგანიას მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციის მე-12 წლისთავის ჩატარებაზე.

თათბირმა მიიღო რეზოლიუციები ყველა განხილულ საკითხზე, რის შემდეგაც იგი დაიხურა.

შაბათს, 2 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში
მოწვეულია

ფაბქარხადგილკომების საქალაქო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. მასიური პროფტეხნიკური განათლების გეგმა 1929 - 30 სასწავლო წლისათვის.
2. ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის დღესასწაულის ჩატარების გეგმა.

კავშირების კულტგანყოფილებათა გამგეების, კლუბების გამგეობათა თავმჯდომარეების და ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეების დასწრება სავალდებულოა.

საქ. პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაცია *)

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება, როგორც სხვა რესპუბლიკებში, ისე ჩვენშიაც, უმთავრეს მიზნად ისახავდა საქონლის ბრუნვის გაერთიანებას კოოპერაციაში. — ეს მდგომარეობა მოითხოვს საქართველოს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციისაგან, რომელიც უმთავრესად უნივერსალური გზით ვითარდებოდა, ორგანიზაციული მშენებლობის შეცვლას ისე, რომ მან შესძლოს სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესების შეკავშირება.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის ივნისის 27-ის დადგენილება სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის შესახებ გამოხატავს იმ ღრმა რევოლიუციონურ პროცესებს, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი სოფლის სოციალურ - ეკონომიურ ურთიერთობაში და შეაქვს მთელი რიგი ძირითადი ცვლილებებისა არა მარტო სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, არამედ მუშაობის მეთოდებსა და შინაარსში.

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის განვითარება, როგორც სხვა რესპუბლიკებში, ისე ჩვენშიაც, უმთავრეს მიზნად ისახავდა საქონლის ბრუნვის გაერთიანებას კოოპერაციაში, საწარმოო ხასიათის საქონლის მიწოდება-მომარაგებით და სოფლის მეურნეობის ნაწარმოების დამზადება - გასაღებით.—აღნიშნული მდგომარეობა რამოდენიმედ მისაღები იყო სოფლის მეურნეობის აღდგენის პერიოდში, მაგრამ ამჟამად სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ხანაში, როდესაც ჩვენ წინაშე სდგას სულ ახალი ამოცანები, სახ.-სამეურნეო კოოპერაციის ძველი გზით სიარული და ძველი მეთოდებით მუშაობა არ არის მისაღები.

ეს მდგომარეობა მოითხოვს საქართველოს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციისაგან, რომელიც უმთავრესად უნივერსალური გზით ვითარდებოდა, ორგანიზაციული მშენებლობის შეცვლას ისე, რომ მან შესძლოს სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესების შეკავშირება და საწარმოო პროცესების შეკავშირებიდან გადავიდეს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე — გადაიყვანოს სოფლის მეურნეობა სოციალისტურ საფუძველზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ამ მიმართულებით მუშაობას საქართველოში — ამ მჭიდროთ დასახლებულ სასოფლო - სამეურნეო ქვეყანაში წვრილ გლეხურ მეურნეობათა და მიწის მეტად მცირე მარაგით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ინტენსიფიკაცია ჩვენი ჩამორჩენილი მეურნეობის, რომელიც ვერ ახერხებს მეტად ხელშემწყობ ეკონომიურ და ბუნებრივ პირობების სავსებით გამოყენებას.

ამიტომ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ორგანიზაციულ მშენებლობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენში არსებული სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ძირითადი ქსელი, სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა, თავისი შინაარსით, უნივერსალური იყო და მისი მოქმედება მრავალ დარგს ეხებოდა ერთსა და იმავე დროს, რაც არ აძლევდა მას საშუალებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცია სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ სპეციალურ დარგისათვის. ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სახ.-სამ. კოოპერაციის კავშირშიც, სოფლის კავშირი ორმოცდა ათამდე სხვადასხვა სახის ოპერაციებს აწარმოებდა. ეს მდგომარეობა სრულიად ჩრდილავდა აგრო. საწარმოო მუშაობას, საწარმოო პროცესების შეკავშირებას და მთელი საქმიანობა უმთავრესად გასაღებითა და მომარაგებით ხასიათდებოდა.

საქართველოს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის გარდაქმნა და მომავალი მშენებლობა მიზნად უნდა ისახავდეს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და რეკონსტრუქციას. ამიტომ, საჭიროა:

ა) შეიქმნას სოფლად ისეთი ტიპის პირველადი საწარმოო განაერთი, რომელიც უზრუნველჰყოფს საწარმოო პროცესების განვითარებას და გლეხობის თავისუფალ საშუალებათა კოოპერაციაში მოზიდვას,წარმართოს საქმე ისე, რომ დაარსებული მარტივი წარმოებითი განაერთები თანდათან კოლმეურნეობის სახეს ღებულობდენ და ანხორციელებდენ სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ რეკონსტრუქციას.

ბ) დაარსდეს სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში სახ.-სამ. კოოპერაციის სპეციალური სისტემები, როგორც ძირითად განაერთებისა, ისე კავშირების შექმნით, რათა ამით გაძლიერდეს და გაღრმავდეს საწარმოო საქმიანობა.

გ) სოფლის მეურნეობის წარმოებითი აღორძინებისა და რეკონსტრუქციის სათანადო განვითარებისათვის გაძლიერდეს სახ.-სამ. საწარმოო აგრო-კულტურულ წამოწყებათა ქსელი, სახელდობრ: აგრო-პუნქტები, სატრაქტორო კოლონები და სადგურები, საგრილებელი პუნქტები, ტეხნო - დახმარება, პროდუქტების პირველადი გადამუშავების წამოწყებები და სხვა.

სას.-სამ. კოოპერაციის ძირითადი უჯრედები

საკითხი სახ. - სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაციისა მდგომარეობს ქვედა საფეხურის საწარმოო კოოპერატიულ შენაერთის მოწყობაში.

სახ. - სამეურნეო კოოპერაციის ქვედა საფეხურის უჯრედს უნდა წარმოადგენდეს სასოფლო საწარმოო ამხანაგობა, რომელიც იმოქმედებს სოფლის ან და რამოდენიმე მოსაზღვრე სოფლების მასშტაბით.

სასოფლო საწარმოო ამხ-ბა ეწყობა რაიონის, სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგის მიხედვით.

აღნიშნულმა ამხ-ბამ უნდა გააძლიეროს და გააღრმავოს ინდივიდუალურ მეურნეობათა საწარმოო პროცესების შეკავშირება, რაც უნდა იყოს შედეგი მათ გამგებლობაში გლეხურ მეურნეობათა რეკონსტრუქციის ძირითად საშუალებათა გადასვლისა (საწარმოო კრედიტი, მანქანებით და საწარმოო საშუალებებით მომარაგება, თესლით მომარაგება, საწარმოო წამოწყებები, აგრო - მუშაობა და სხვა *).

ამრიგად, სასოფლო საწარმოო ამხ-ბას ყოველგვარი საშუალება ეძლევა, რათა თავისი მუშაობით მომარაგება — გასაღების კოოპერატიულ შეკავშირებიდან გლეხობა თანდათან გადაიყვანოს კოლექტიურ მეურნეობის საფუძველზე. კოლექტიური მეურნეობა ვერ განვითარდება კოოპერატიული საფუძვლის გარეშე და ამავე დროს სახ.-სამ. კოოპერატიული მოძრაობა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ სახ.-სამ. კოოპერატიული ამხ-ბების კოლმეურნეობად გარდაქმნის გარეშე.

რუსეთში არსებული მეთესლეობის სპეციალური სახ.-სამ. კოოპერაციის ძირითადი ქსელის ორი მესამედი კოლექტიურ მეურნეობებისაგან შესდგება. ეს კოლმეურნეობანი ყველაზე უფრო დიდი და ძლიერი არიან. ამრიგად, უმთავრესი ამოცანა სასოფლო საწარმოო ამხ-ბების დაარსებისა მდგომარეობს მათ კოლმეურნეობებად გარდაქმნაში.

სასოფლო საწარმოო ამხ-ბების მშენებლობა საქართველოში ოთხი მთავარი ჯგუფის ხაზით განვითარდება:

ა) მემინდვრეობის სასოფლო საწარმოო ამხანაგობები, სადაც მთავარი ადგილი უჭირავს რაიონის ძირითად მეურნეობას (მებამბეობის, ან მეთამბაქოობის, პურეულობის კულტურას და სხვა).

ბ) მევენახეობის, ჩაის კულტურის, მებაღეობა მებოსტნეობის ამხანაგობები, სადაც მთავარი ადგილი უჭირავს ან მევენახეობას ან ჩაის კულტურას, ან მებაღეობას ან და მებოსტნეობას.

გ) მესაქონლეობის ამხ-ბები, სადაც ძირითად ადგილი უჭირავს მესაქონლეობას (მსხვილი მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა და სხვა).

დ) სამელიორაციო ამხ-ბები სარწყავი სისტემებით სამოქმედო რაიონებთან შეფარდებით.

სასოფლო - საწარმოო ამხ-ბა სამსახურს უწევს უმთავრესად რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგს და შედის სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის სპეციალურ სისტემაში, მაგრამ ამავე დროს სასოფლო ამხ-ბა დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევს სოფლის მეურნეობის სხვა დამხმარე დარგებსაც. მხოლოდ თუ მეურნეობის რომელიმე სხვა დარგი იმდენად განვითარებულია რაიონში, რომ საჭიროა და გლეხობაც მოითხოვს მეორე საწარმოო ამხანაგობის დაარსებას, — ეს შეიძლება იქნეს დაშვებული ამავე რაიონში. მაგალითისათვის ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ ქვემო მარხაანი, სადაც ძლიერად არის განვითარებული მემინდვრეობა (ხორბლეული) და მესაქონლეობა; აქ შეიძლება დაარსდეს მემინდვრეობის სასოფლო ამხ-ბა ცალკე და მესაქონლეობისა — ცალკე. სასოფლო საწარმოო ამხ-ბა იმოქმედებს წესდებისა და საპაიო გამოსაღებების საფუძვლებზე.

საპაიო გამოსაღები ამხ-ბაში იქნება დიფერენციალური: მოჯამაგირეთათვის — 5 მან., ღარიბ მეურნეობათათვის—10 მან., სახ.-სამეურნეო გადასახადით ნორმების მიხედვით დაბეგრილ მეურნეობათათვის — 25 მან. და დანარჩენ მეურნეობათათვის — 40 მან. საპაიო ნორმების გადიდება რაიონების მიხედვით შეიძლება, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს შეფარდება უცვლელად დარჩეს და მოჯამაგირეთათვის მტკიცე ნორმად 5 მანეთი იქნეს დაწესებული. ამავე დროს განსაკუთრებული შეღავათები უნდა დაწესდეს მოჯამაგირეებისა და ღარიბების შეკავშირებისათვის.

თანახმად შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, საპაიო თანხა სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მთლიანი სისტემისა განუყოფელია და იმ შემთხვევაში, თუ გლეხმა შეიტანა საპაიო ერთ რომელიმე სპეციალურ სასოფლო ამხ-ბაში, მას შეუძლია შეიტანოს მხოლოდ საწევრო გადასახადი მეორე ამხ-ბაში და მით ხდება სრულუფლებიანი წევრი ამ ამხ-ბისა. საწევრო გადასახადი განისაზღვრება შესატანი საპაიო თანხის 5 პროც.-ით, მაგალითად, თუ გლეხი იხდის საპაიოს 5 მანეთს, საწევრო გადასახადი უნდა შეიტანოს 25 კაპ., 10 მანეთის დროს — 50 კაპ. და სხვ.

ასეთი უნდა იყოს ძირითადი ქსელი სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციისა, ასეთია ის ახალი საფუძველი, რომელსაც ჩვენ მივიღებთ რეორგანიზაციის შედეგად.

სას.-საწარმოო ამხ-ბებისა და კოლმეურნეობების რაიონული კავშირები

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ქსელის რაციონალიზაციისა და მისი ხელმძღვანელობის საწარმოო შეკავშირებასთან დაახლოვების მიზნით საჭიროა რაიონებში დაარსდეს სოფლის მეურნეობის მთავარი დარგების მიხედვით რაიონული კავშირები (მემინდვრეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეთამბაქოეობის, მესაქონლეობის და სხვ.), რომელთა ირგვლივ შეკავშირებული იქნებიან რაიონში არსებული სასოფლო საწარმოო ამხ-ბები და კოლმეურნეობები. რაიონის კავშირები სამსახურს უწევენ სასოფლო ამხ-ბებსა და კოლმეურნეობებს პირველ ყოვლისა სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გადამუშავებისა და აგრეთვე მომარაგება - გასაღების, აგრი - კულტურულის, საორგანიზაციო, საინსტრუქტორო და სხვა ხაზით.

რაიონის კავშირები მოეწყობიან უმთავრესად ადმინისტრატიულ რაიონების ცენტრებში. იმ შემთხვევაში, თუ რაიონის ეკონომიკა შესაძლებლობას იძლევა და სოფლის მეურნეობის განვითარების ინტერესები ამას მოითხოვს, რაიონში შეიძლება დაარსდეს მეორე რაიონული კავშირი სოფლის მეურნეობის სხვა დარგში. რაიონული სპეციალური კავშირების მშენებლობას საფუძვლად უნდა დაედვას პირველ ყოვლისა რაიონის პროდუქციის გადამუშავება და ამ მიზნით უნდა გაძლიერდეს მშენებლობა სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გადასამუშავებლად და მის შესანახად მოეწყოს წამოწყებები (საკონსერვო და სხვა ქარხნები, ხილის საშრობები, წისქვილები, სარძეები, საწყობები, ფარდულები და სხვა) და აგრო-საწარმოო წამოწყებები (სატრაქტორო რაზმები, სამანქანო - სატრაქტორო სადგურები, სარემონტო სახელოსნოები, საჯიშეები, სარკვევი და გასაქირავებელი პუნქტები, სათესლე პუნქტები, სანერგეები და სხვა).

ჩვენი სოფლის მეურნეობას რაიონებში უმთავრესად შემდეგი ძირითადი მიმართულებები ახასიათებს:

1. მეღვინეობა, სადაც დამხმარე ხასიათს ატარებს მემინდვრეობა და წვრილი მესაქონლეობა;
2. მებოსტნეობა — მებაღეობა ან მებაღეობა - მებოსტნეობა — მევენახეობის დამხმარე ხასიათის კულტურითა და ქალაქ ახლო მდებარე მერძეობის მეურნეობით;
3. მარცვლეულობის მეურნეობა (სიმინდი) დამხმარე ხასიათის მებაღეობით და წვრილი მესაქონლეობით;
4. ხმარეწველი ტეხნიკური კულტურები, (თამბაქო, ბამბა) დამხმარე მარცვლეულობისა და მებაღეობის მეურნეობებით;
5. მემინდვრეობა, სადაც ზედმეტ სასაქონლო პურეულს ამზადებენ.
6. ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობა, უმთავრესად განვითარებული მეცხვარეობით, და დამხმარე მარცვლეულობის და ზოგიერთ შემთხვევაში მებოსტნეობით;
7. მარცვლეულობისა და შუა ზონის მესაქონლეობის მეურნეობა;
8. მთიან ადგილების მესაქონლეობა, სადაც მთავარი ადგილი უჭირავს ან მეცხვარეობას ან მსხვილფეხა საქონელს;

როგორც სასოფლო საწარმოო ამხ-ბებისა, ისე რაიონული კავშირების მშენებლობა უნდა ემსახურებოდეს რაიონების აღნიშნულ მეურნეობათა ძირითადად ხაზებს და ამასთან შეფარდებით რაიონებში დაარსებული უნდა იქნას შემდეგი სახის სპეციალური ამხ-ბები და კავშირები: მარცვლეულობის, მეთესლეობის, მევენახეობის, ჩაის კულტურისა და მებაღეობა - მებოსტნეობის, მეთამბაქოობის, მებამბეობის, მესაქონლეობის, მეაბრეშუმეობის, მეფრინველეობის და სხვა.

სასოფლო ამხ-ბების და რაიონის კავშირების დაარსებასთან ერთად სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხ-ბანი ან სავსებით ან ნაწილობრივ უნდა იქნენ გადახალისებული. საკრედიტო ამხ-ბები დარჩებიან მხოლოდ ადმინისტრატიულ ცენტრებში, რაიონული საკრედიტო ამხ-ბების სახით, და თავის საქმიანობას შემოფარგლავენ მხოლოდ საკრედიტო — საბანკო მუშაობით. ამავე დროს სასოფლო - ამხანაგობებში გაერთიანებულ გლეხებს სესხს მიაწვდიან მხოლოდ სასოფლო ამხ-ბების საშუალებით.

ამრიგად რაიონის ცენტრის გარეშე არსებული საკრედიტო ამხ-ბანი გადაკეთდებიან სასოფლო ამხ-ბებათ.

ასეთი უნდა იყოს რაიონული კავშირების მშენებლობა მეორე საფეხურის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციისა.

რესპუბლიკანური კავშირების მშენებლობა

ჩვენი სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში, და სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში სოფლის მეურნეობის სპეციალურ დარგებს უკვე აქვთ მოპოვებული დიდი ხვედრითი წონა.

საქართველოში სპეციალურ კავშირების მშენებლობის დროს ერთ გარემოებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა: ოლქების ეკონომიური შესაძლებლობანი არ იძლევა სპეციალურ საოლქო კავშირების დაარსების საშუალებას, რის გამო სპეციალური კავშირების მშენებლობა მარტო რესპუბლიკის მასშტაბით უნდა სწარმოებდეს. კავშირების ქსელი უნდა გამოხატავდეს ქსელში ჩატარებულ სპეციალიზაციას, ამიტომ საქართველოში დაარსდება შემდეგი კავშირები:

1. მერძეობა - მესაქონლეობის კავშირი. საქართველოს პირობებში მერძეობის და მესაქონლეობის კავშირების დამოუკიდებელი არსებობა არ არის მიზანშეწონილი; რაიონის იგივეობა, მცირე ტერიტორია, საერთო ინტერესები და სხვა მოითხოვს მათ ერთად არსებობას;

1. მერძეობა - მესაქონლეობის კავშირი. (მასთან იქნება დაკავშირებული აგრეთვე ჩაის კულტურა და მეფუტკრეობა);

3. მევენახეობა - მეღვინეობის კავშირი — „საქართველოს ღვინო“.

4. მეფრინველეობის კავშირი. მეფრინველეობის სპეციალური კავშირის დაარსებას ამთავითვე დიდი მნიშვნელობა აქვს. უმთავრესი მუშაობა უნდა იყოს მიმართული აგრო-საწარმოო განხრით.

ამ საქმიანობის რომელიმე კავშირისათვის გადაცემა უარყოფითად იმოქმედებდა ამ მეტად დიდი დარგის სათანადო განვითარებაზე.

5. მეაბრეშუმეობის კავშირი იმ პირობით, თუ სახ. - სამ. კოოპერაციას გადაეცემა აბრეშუმის პარკის პირველადი დამუშავება, გრენაჟი და აგრი-კულტურული საქმიანობა.

6. მემინდვრეობის კულტურების კავშირი, (თამბაქო, ბამბა, კენაფი, შაქრის ჭარხალი და პურეული) აპარატის სექციებად მოწყობით იმ მიზნით, რომ მომავალში ამ დარგების განვითარების შემდეგ გამოიყოს სპეციალური კავშირები.

7. სპეციალურ კავშირებს გარდა იქნება აგრეთვე კოლმეურნეობათა ცენტრი, რომელიც შედის წევრად სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის საერთო სისტემაში.

სპეციალური კავშირების მშენებლობა თანდათანობით სწარმოებს: წინასწარ დაარსებულ უნდა იქნენ სპეციალურ ამხ-ბათა ქსელი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოეწყოს კავშირები.

აღნიშნული კავშირების მოწყობის მიზნით „სოფლის კავშირის“ აპარატში ტარდება რეორგანიზაცია: ეწყობა სექციები კავშირების მიხედვით, რომლებიც თავის მუშაობას აწარმოებენ თავიანთ დარგებში, ყველა მიმართულებით, სახელდობრ: მომარაგების, დამზადება - გასაღების, აგრო - საწარმოო და სხვა.

ამრიგად, „სოფლის კავშირში“ უკვე ჩამოყალიბებულია კავშირის ჩონჩხი და ქსელის ჩამოყალიბებასთან ერთად კავშირებიც გამოიყოფა თანდათანობით; 5—6 თვის განმავლობაში. ეს მუშაობა დასრულდება. სოფლის კავშირთან ამავე დროს მოწყობილია ორი განყოფილება — საორგანიზაციო - საინსტრუქტორო და საგეგმო - ეკონომიური, რომლებიც წარმოადგენენ მომავალი კავშირთა-კავშირის აპარატს. ამრიგად, სოფლის კავშირიდან სექციებით სპეციალური კავშირების სახით გამოყოფის შემდეგ სოფლის კავშირი გადახალისდება საქართველოს სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის საერთო იდეურ ორგანიზაციულ - პოლიტიკურ ცენტრად კავშირთ - კავშირის სახელწოდებით.

ოლქებში პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებული მუშაობისა და სათანადო კავშირებისათვის სახ. - სამეურნეო კოოპერაციის იდეურ - ორგანიზაციული მუშაობა ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ აღნიშნულ ორგანოებს ჰქონდეთ კოოპერაციის საქმიანობის გაცნობის და მასზე სათანადო გავლენის მოხდენის საშუალება. ამ მიზნით, სპეციალურ კავშირებს თავისი ხაზით ოლქებზე მიმაგრებული უნდა ჰყავდეთ თავისი ინსტრუქტორები. ამავე დროს თვითეულ ოლქში იმუშავებს თითო უფროსი ინსტრუქტორი, კავშირთ - კავშირის ხაზით, რომელიც ანხორციელებს იდეურ - ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას, სპეციალურ კავშირების ინსტრუქტორებზე და კავშირი აქვს ოლქკომთან, ოლქაღმასკომთან და სხვა ადგილობრივ ორგანოებთან.

ასეთი იქნება სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის სტრუქტურა საქართველოში რეორგანიზაციის შემდეგ.

მხოლოდ ამგვარად მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია შესძლებს განვითარებას და ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას. მხოლოდ ამ გზით შესძლებს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია სოფლის ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნას. ყველას უნდა გვახსოვდეს ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი, რომ „საზოგადოთ კოოპერაციისა და განსაკუთრებით სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის უდიდეს ეკონომიურ მნიშვნელობასთან ერთად, კოოპერაცია წარმოადგენს გლეხობის მასიური ეკონომიური გაერთიანებისა, მისი თვითმოქმედებისა და ინიციატივის გაძლიერების, სამეურნეო და კულტურულ - პოლიტიკური აღზრდისა და მისი სოციალისტური მშენებლობის კალაპოტში ჩაყენების საუკეთესო ფორმას“. *). და სწორედ სახ. - სამ. კოოპერაციის რეორგანიზაციას უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება მთელმა ჩვენმა პარტიულმა და საბჭოთა საზოგადოებრიობამ და სოფლის კავშირთან ერთად ჩაატაროს ეს მუშაობა, რათა მივიღოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის — ძლიერი ორგანიზატორი — სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მაგარი და მტკიცე სისტემა.

„სოფლის კავშირი“-ს გამგეობა

---

*) წინადადებას ვაძლევთ ამხანაგებს გამოსთქვან თავიანთი აზრი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაციის პრაქტიკული საკითხების შესახებ. რედ.

*) ცეკას დადგენილება 27 ივნისისა.

*) მე-15 პარტყრილობის რეზოლიუციიდან ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო.

საბჭოთა აპარატის წმენდა

წმენდა გააჯანსაღებს საბჭოთა აპარატის მუშაობას

დაუზოგავათ გავაძევოთ აპარატიდან ბიუროკრატი, ზარმაცი და გადაგვარებული ელემენტები

გაწმენდილთა მაგიერ აპარატში წამოვაყენოთ მუშათა ახალი კადრები

დღეს იწყება აპარატის წმენდა თელას-ში

წმენდის ჩამტარებელ რესპ. კომისიაში

30 ოქტომბ. შესდგა საბჭოთა აპარატის გამწმენდ რესპუბლიკანურ კომისიის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა მოხსენება მოსამზადებელ მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ადგილებზე.

აპარატის გამწმენდ ცენტრალურმა კომისიამ მოსამზადებელ მუშაობის გამოსარკვევად ადგილებზე მიავლინა თავისი წარმომადგენლები. ცენტრალურ კომისიის წარმომადგენლები გაგზავნილი იყვნენ კახეთში, ქუთაისის ოლქში, გორის ოლქში, აჭარისტანში და სხვ. ადგილებში,

გამოირკვა, რომ მოსამზადებელი მუშაობა ადგილებზე ძალზე სუსტად მიმდინარეობს, რის გამო წმენდის დაწყება პირველ ნოემბერს მოუხერხებელი იქნება.

კომისიამ აუცილებლად სცნო საბჭოთა აპარატის წმენდის დაწყება ადგილებზე გადადებული იქნეს 15 ნოემბრამდე.

ამასთანავე კომისიამ საჭიროდ სცნო ეთხოვოს საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ს მიამაგროს ადგილებზე 10—15 პასუხისმგებელი ამხანაგი წმენდისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

კომისიამ მოისმინა აგრეთვე ამხ. რამიშვილის მოხსენება მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ მიწსახკომში.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, მოსამზადებელი მუშაობა მიწსახკომში ვერ მიმდინარეობს საჭირო ტემპით. წმენდის საკითხები არ შუქდება კედლის გაზეთებში. გამოკიდებულია საჩივართა ყუთები, მაგრამ მასალები ცოტა შემოდის. დამხმარე კომისიამ აქამდე სათანადოდ ვერ გაშალა მუშაობა. ამაში ნაწილობრივ ბრალი მიუძღვის ადგილობრივ პარტიულ და პროფორგანოებს, რომლებიც აქტიურ დახმარებას არ უწევენ წმენდის ხელისშემწყობ კომისიას. დამაკმაყოფილებლად მუშაობს მსუბუქი კავალერია.

დასასრულ, კომისიამ დაადგინა ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის წმენდა დაიწყოს პირველ იანვრიდან.

ბიუროკრატები მიწსახკომის აპარატში

ახალქალაქის მაზრაში ყოფნის დროს ამხ. მიხა ცხაკაიას და ს. თოდრიას სოფელ ხერთვისის გლეხობამ გადასცა თხოვნა, რომელშიც აღნუსხული იყო სოფლის საჭიროებანი.

თხოვნა, რა თქმა უნდა, ცაკის აპარატში მოხვდა, მაგრამ აქედან, დაიწყო მისი მოგზაურობა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის დაწესებულებებში და სამი თვის შემდეგ დაუბრუნდა ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს. არ ვიცით, მიაღწია თუ არა ამ თხოვნის ნამდვილმა შინაარსმა ამხ. მიხა ცხაკაიამდე? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. თხოვნა შეეხებოდა თურქი მოსახლეობისათვის 7 წლედის გახსნას, ხიდის აგებას, მედიკამენტების მიწოდებას და სხვა, რის დაკმაყოფილებაც არ შეეძლო მარტო მიწადმოქმედების კომისარიატს. როგორც სჩანს, თხოვნის შინაარსი ამხ. მიხა ცხაკაიას ჩვეულებრივი წესით გადასცეს, ამან გამოიწვია მისი მიწსახკომში გადაგზავნა, იქაურმა ბიუროკრატებმა კი თხოვნა დააბრუნეს ახალქალაქის სამაზრო აღმასკომში შემდეგი წარწერით:

„ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს. ამასთანავე ერთად გეგზავნებათ საქართველოს ცაკის მოწერილობა სოფელ ხერთვისის მოქალაქეთა განცხადების დართვით—სოფელ ხერთვისის მომავალი რაიონის ცენტრად დამტკიცების შესახებ“ და სხვ.

მაგრამ გლეხები თავიანთ განცხადებაში სოფელ ხერთვისის მომავალი რაიონის ცენტრად დამტკიცების გარდა ლაპარაკობდნენ მთელ რიგ სხვა საკითხებზე: მდ. არდაგანის და თაფარავან-ჩაის ნაპირების გამაგრებაზე, რადგან ეს მდინარეები გაზაფხულის წყალდიდობის დროს ანადგურებენ ნაპირებზე გაშენებულ ძვირფას მცენარეებს, რომლებიც ხსენებული სოფლის ერთად ერთი საარსებო წყაროს შეადგენენ, ტყის საკითხის გადაწყვეტაზე, რაც სოფლისათვის სერიოზულ საზრუნავ საგანს შეადგენს, აგროპუნქტის დაარსებაზე ბაღების წამლობისა და აგრონომიული დახმარების მიწოდების მიზნით, ახალციხის მაზრასთან შეერთებული ხერთვისელთა ძველი სათიბების დაბრუნებაზე. აღნიშნული საკითხები არა ერთხელ იყო აღძრული მიწსახკომის წინაშე არა მარტო ხერთვისის, არამედ სხვა სოფლების მიერაც, მაგრამ მიწსახკომის აპარატში მოკალათებული ბიუროკრატების წყალობით, მუდამ უშედეგოდ რჩებოდა. რა თქმა უნდა, ზემოდ დასახელებულ განცხადებაში არის მთელი რიგი კითხვები, რომლებიც შეიძლება გადაწყდეს გლეხობის აქტივობით და ადგილობრივი ხელისუფლების მეცადინეობით, მაგრამ მასში მოიპოვება ისეთი კითხვები, რომლებიც არ ითმენენ ბიუროკრატიულ მიდგომას, რადგან ამგვარ მიდგომას, შეუძლია სახელი გაუტეხოს ჩვენს ხელისუფლებას გლეხობის თვალში და ხელი შეუშალოს სოფლის ღარიბი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მოსთხოვს სათანადო დაწესებულებებს, რათა მათ შეძლების ფარგლებში დააკმაყოფილონ სოფელ ხერთვისის მოქალაქეთა მოთხოვნები.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია პასუხს აგებინებს იმ თავაშვებულ ბიუროკრატებს, რომლებიც ჯერ კიდევ მოიპოვებიან საბჭოთა აპარატში. დადგა დრო, როდესაც საბჭოთა აპარატის გამწმენდავმა კომისიებმა შესაფერი ადგილი უნდა უჩვენონ მათ.

ვ. დარახჩევი.

გამფლანგველი ინვალიდთა კოოპ. საზ-ბაში

დათიკო კოპალიანი ცნობილი რეციდივისტია. ის ერთხელ კომისრად ყოფნის დროს თანამშრომლებთან შეთანხმებით ფლანგავდა რაიონის თანხებს, რისთვისაც მას წელიწადნახევარი ქონდა მისჯილი. სამი-ოთხი თვეც კაცის უმიზეზოდ დაჭრისათვის იჯდა ციხეში. აღსანიშნავია, რომ კოპალიანი გამსახლში ისე გრძნობდა თავს, როგორც თავის სახლში: გამსახლში თითქმის არც ერთი ღამე არ გაუთევია, მუდამ სახლში იყო, კახურით ყელს ისველებდა და ხანდახან ცოლსაც უთაქებდა. დადის ხმები, რომ კოპალიანს რიყეში სასტუმროც აქვს. აი ეს კოპალიანი ამჟამად ინვალიდთა საზოგადოებას მოევლინა აღბულაღის რაიონში, სადაც წითელ სასადილოს გამგედ გამოჭიმულა.

არ ვიცი რამდენად დასაშვებია ინვალიდთა საზოგადოების თანხების ასეთ არა საიმედო კაცის ხელში დატოვება.

ცირა.

მუშათა ბრიგადა შრომის კომისარიატში

საქ. შრომის კომისარიატზე მიმაგრებულია მუშათა ბრიგადა 40 კაცის შემადგენლობით. მუშებს ეძლევა სამოსწავლო ნივთები, წიგნები და ტრამვაის უფასო აბონემენტები. რომ მსმენელებს ხელი არ შეეშალოს მეცადინეობაში, ისინი განტვირთულნი არიან მრავალი სახის დატვირთვისაგან. ბრიგადის წევრებს უკითხავენ ლექციებს შრომის კანონმდებლობაზე, კოლექტივიზაციაზე, დამზღვევ სალაროს მუშაობაზე და სხვ. ლექციებთან დაკავშირებით მუშები გადიან პრაქტიკულ მუშაობასაც: ესწრებიან შრომის ბირჟაში უმუშევართა წმენდას, ბირჟის კომიტეტის სხდომებს, ეცნობიან სექციების მუშაობის გეგმებს. შრომის კომისარიატის თანამშრომლები ლექციებთან ერთად გულდასმით გვიხსნიან და გვაძლევენ ახსნა-განმარტებას ყოველივე საკითხზე. მეორე თვეა მიმდინარეობს მეცადინეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მსმენელი არ დადის კურსებზე, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციონ კავშირებმა, რომლებმაც ისინი დააწინაურეს.

მუშა ს. ხიდისთაველი.

ყოფილი მამასახლისი--პენსიონერი

ვის არ ახსოვს 1906-7 წ.წ. ეგზეკუცია გორ. მაზ. სოფ. წით.-ქალაქში, ახალციხეში და გარიყულაში, რომელიც შედეგად მოყვა თავად გიგო თარხნიშვილის უგზო-უკვლოდ დაკარგვას. გარდა იმ მატერიალურ ზარალისა, რომელიც შთანთქა სამი წლის განუწყვეტელმა ეგზეკუციამ, მრავალმა გლეხმა ჩაყარა ძვლები შორეულ ციმბირის მიდამოებში და საკატორღო ციხეებში. გამოიფიტა სოფლები ხანგრძლივი და უაზრო ხარჯების გაღებით. სამი წლის შემდეგ, როგორც იყო ეგზეკუცია მოიხსნა, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის დანიშნულ იქნა მთავრობის მამასახლისად ვინმე ჩიქვაიძე და შემდეგ კი ვაშაკიძე 15 ყაზახით. (ეს უკანასკნელი დახვრეტილ იქნა 1927 წელს). მთავრობის მამასახლისის დანიშვნასთან ერთად უნდა დაენიშნათ თანაშემწედ ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც მთავრობის მამასახლისს გააცნობდა მაშინდელ მთავრობისათვის საეჭვო პირებს. ამასთანავე თანაშემწე უნდა ყოფილიყო მეტად სასტიკი და უხეში პიროვნება, ასეთი თანამდებობის შესრულება სიამოვნებით იკისრა სოსო ხუციევმა, რომელიც თვით გიორგი თარხნიშვილის (გენერალი) დახმარებით იქნა დანიშნული. სოსო ხუციევი შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. ხუციევი მთავრობის მამასახლისზე ბევრად უფრო სასტიკი აღმოჩნდა. ის უმოწყალოდ სცემდა გლეხებს.

მთავრობის მამასახლისის მოხსნის შემდეგ სოსო ხუციევმა ჩამოიკიდა მეორე მენდალიც, ე. ი. ერთი თავისი და მეორე წასული მამასახლისის. ხუციევი ცნობილია, როგორც ძველი ჯაშუში, მექრთამე და ყოვლად უპატიოსნო ადამიანი. ასეთივეა დღესაც. დღეს ხუციევი მოგვევლინა რკინის გზის სალაროს პენსიონერად, ის ვიღაცის დახმარებით მოეწყო რკინის გზაზე და ერთი წლის მუშაობის შემდეგ გადაირიცხა პენსიაზე. ღებულობს 43 მან. და თუ არ ვცდები რკინის გზის უფასო ბილეთსაც, რითაც ეწევა სპეკულიაციას. აღსანიშნავია ისიც, რომ სოსო ხუციევს ჯერაც არა აქვს ჩამორთმეული ხმის უფლება, საჭიროა ხუციევი წარსდგეს პროლეტარულ სასამართლოს წინაშე და დაუყოვნებლივ ჩამოერთვას პენსია.

დაგვიანებული.

მოქეიფე კოოპერატორი

(ს. წავკისი, კოჯრის თემი)

ვის არ ახსოვს კოჯრის „ეპო“, რომელიც 8.000 მან. გაფლანგვის შემდეგ გაუქმებულ იქნა და გადაკეთდა ს. წავკისის სამომხმარებლო კოოპერატივად. კოოპერატივი ძლივს მომაგრდა და გახსნა რამდენიმე განყოფილება, მაგრამ გამგეობაში თავი იჩინა თაღლითობამ და უყაირათობამ და მიმდინარე წლის მაისში რევიზიამ გამგეობის თავმჯდომარე ქორილიშვილს და მოანგარიშე ტაბატაძეს აღმოუჩინა მითვისებული ნისია 500—600 მანეთამდე, რაც ეცნობა ცეკავშირს. ეჭვი არ არის, რომ უფრო მკაცრი რევიზია მეტს აღმოაჩენდა. აღნიშნული 600 მან. დასაფარავად არავითარი ზომები არ არის მიღებული და დღესაც გრძელდება ყოველდღიური ლოთობა და ქეიფი აღნიშნულ ვაჟბატონების სახლში. ქორილიშვილი როდესაც გალეშილი გამოვა სოფელში, დაუწყებს ბავშვებს დასიებული თითებით სილის გარტყმას; თუ რომელიმე უდანაშაულო ბავშვის დედა გაბედავს შვილის დაცვას, ქორილიშვილი არც დედისათვის დაიშურებს სილას.

ქორილიშვილს განუწყვეტელ ქეიფის გამო ვერას დროს ვერ ნახავთ საზოგადო საქმიანობაში, ვინაიდან იგი ან მთვრალია ან კიდევ სძინავს.

იყო შემთხვევა, როდესაც იგი გალეშილი მოდიოდა ეტლით კახეთიდან, და მან დაკარგა საზოგადოების ფულით სავსე პორტფელი, რომელიც იპოვეს და მიუტანეს.

ნაცვლად იმისა, რომ მან შეჯიბრებაში გამოიწვიოს რომელიმე კოოპერატივი, ის ღვინის სმის შეჯიბრებაში იწვევს თავის მოანგარიშეს, ამ ნიადაგზე კოოპერატივს სრულიად დაკარგული აქვს ნდობა, ვინაიდან ლანძღვა-გინების გამო ქალები გაურბიან მაღაზიაში შესვლას.

ქორილიშვილს კავშირი აქვს კერძო ვაჭრებთან (სოლოლაკის მიკიტნებთან) და თუ რევიზიის დროს ფული მიაკლდება, მიმართავს მიკიტნებს და ისინიც ხელს უმართავენ, როგორც მათ მუშტარს.

ყოველივე ამის გამო ადგილობრივი გლეხობა დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამს, საჭიროა ამ საქმეს დროზე მიექცეს ყურადღება, რომ კოჯრის „ეპო“-ს ბედი არ ეწიოს წავკისის კოოპერატივსაც.

ტოკი.

დამკვრელი ბრიგადების ყრილობისათვის

6 ნოემბერს გაიხსნება დამკვრელ ბრიგადების სრ. საქ. ყრილობა

დამკვრელი ბრიგადები მთელ რიგ საწარმოებში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული

26 კომ. სახ. ქარხნის ბრიგადებმა გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი

როდის გაიხსნება ყრილობა

დამკვრელი ბრიგადების სრ. საქართველოს ყრილობა გაიხსნება 6 ნოემბერს საღამოს 6 საათზე. 7 ნოემბერს ყრილობის დელეგატები თბილისის მუშა-მოსამსახურეებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ დემონსტრაციაში.

ყრილობას დაესწრება 250 დელეგატი. დელეგატებისათვის მოეწყობა ექსკურსია ზაჰესში და თბილ. მაუდის ფაბრიკაში. ყრილობის დელეგატები, დამკვრელი ბრიგადების წევრები გადაღებული იქნებიან კინო-ლენტზე. ყრილობაზე ჩამოვლენ მეზობელ რესპუბლიკების წარმომადგენლებიც.

ის წარმოებები, სადაც გამოყოფილი არ არის დამკვრელი ბრიგადები, ყრილობაზე წარმოდგენილი იქნებიან სათათბირო ხმით.

დამკვრელი ბრიგადების სრ. საქართველოს ყრილობა აირჩევს დელეგატებს ბრიგადების საკავშირო ყრილობისათვის, რომელიც გაიხსნება დეკემბერში.

დელეგატების არჩევა ყრილობისათვის

მთელ რიგ წარმოებებთან ჩამოყალიბებულია დამკვრელი ბრიგადები, რომელთა მუშაობამ მასების დიდი ყურადღება მიიპყრო. ძველი მუშებიდან ზოგიერთები უნდობლობის თვალით უყურებდნენ დამკვრელი ბრიგადების ჩამოყალიბებას პირველ ხანებში, მაგრამ მათი ასეთი შეხედულებანი დღეს უკვე გაბათილებულია. დღეს ყველა აღიარებს დამკვრელი ბრიგადების მიღწევებს; მაგრამ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დღემდე დამკვრელი ბრიგადების ხელმძღვანელობის საკითხი არ არის მოგვარებული. ზოგიერთ წარმოებაში ქარხკომმა არ იცის, თუ რას აკეთებს დამკვრელი ბრიგადა, ზოგან კი თვით კომკავშირისათვის არის უცნობი დამკვრელი ბრიგადების საქმიანობა წარმოებაში.

ამჟამად უკვე მიმდინარეობს დელეგატების არჩევა დამკვრელი ბრიგადების სრ. საქართველოს ყრილობისათვის; მაგრამ ამ არჩევნებსაც აშკარად ეტყობა ხელმძღვანელობის სისუსტე. ზოგიერთ წარმოებაში მოწვეული იქნა თვით დამკვრელი ბრიგადების თათბირი, რომელზედაც მოხდა დელეგატების არჩევა, ზოგან კი დელეგატების არჩევნები ტარდება საწარმოო თათბირებზე. მთელ რიგ წარმოებებში უკვე ჩატარდა დელეგატების არჩევნები. ბრიგადები ემზადებიან ყრილობისათვის; 26 კომუნარის ქარხნის დამკვრელმა ბრიგადებმა შეადგინეს დიაგრამები თავიანთი მიღწევების შესახებ; დელეგატების არჩევნები ჩატარდა თამბაქოს ქარხანა „პროლეტარში“; ტრამვაელთა სახელოსნოებში და სხვ.

ბრიგადების ჩამოყალიბება სუსტად მიმდინარეობს

ამჟამად თბილისში სულ არსებობს 55 დამკვრელი ბრიგადა. ყველაზე მეტი ბრიგადები ჰყავთ რკინის გზელებს—36, გემოკვების მუშაკებს 9 და სხვ. ბრიგადების აღრიცხვის საქმე ვერ არის კარგათ დაყენებული, ზოგიერთი ბრიგადების შესახებ არ არის არავითარი ცნობები.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბრიგადების რიცხვი მცირეა, მთელ რიგ კავშირების ხაზით სრულებით არ არის გამოყოფილი დამკვრელი ბრიგადები, რაც აღნიშნული კავშირების სისუსტის და უყურადღებობის ბრალია.

დამკვრელი ბრიგადებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის. ბრიგადები თავისი სანიმუშო მუშაობით მაგალითს აძლევენ დანარჩენ მუშებს და ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას და შრომის დისციპლინის განმტკიცებას. ეს აქამდე ვერ შეიგნეს ზოგიერთ წარმოებების და კავშირების ხელმძღვანელებმა, რომლებიც არ ცდილობენ დაჩქარებით ჩამოაყალიბონ დამკვრელი ბრიგადები.

ასეთია მშენებელ მუშათა კავშირი, რომელსაც არ ყავს არც ერთი დამკვრელი ბრიგადა. ისეთი უდიდესი მნიშვნელობის მშენებლობაზე, როგორიც არის რიონჰესი, კასპის ცემენტის ქარხანა, ქსანის ქარხანა, ნატახტარის წყალსადენის სამუშაოები, თბილისის აგურის ქარხანა და სხვ. სრულებით არ არის გამოყოფილი დამკვრელი ბრიგადები.

არის კიდევ მთელი რიგი წარმოებები, რომლებსაც არ ჰყავთ დამკვრელი ბრიგადები. ზოგან ბრიგადები გამოყოფილი იყო, მაგრამ სუსტი ხელმძღვანელობის გამო მათ არავითარი გაუკეთებიათ.

ყრილობა მოისმენს ბრიგადების წარმომადგენელთა მოხსენებებს ჩატარებული მუშაობის შესახებ და შეიმუშავებს ღონისძიებებს მათი საქმიანობის გასაცხოველებლად. ყრილობაზე გამოაშკარავდება, თუ სად უფრო სუსტად მიმდინარეობს მუშაობა და მიღებული იქნება ზომები ყველა დეფექტების გამოსასწორებლად.

დამკვრელ ბრიგადების თათბირი

(26 კომუნარის სახ ქარხანა)

26 კომუნარის სახ. ქარხანაში შესდგა ამავე ქარხნის მუშათა დამკვრელი ბრიგადების გაფართოებული თათბირი. მუშათა დამკვრელი ბრიგადების ამოცანებზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. მარტიროსიანი.

მომხსენებელი შეეხო სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმას და აღნიშნა ის უდიდესი როლი, რომელიც შეუძლიან შეასრულოს დამკვრელმა ბრიგადებმა წარმოების მუშაობის გაუმჯობესებისა და განმტკიცების საქმეში. დასასრულს მომხსენებელმა მოუწოდა დამსწრეთ, რომ მათ მოურიდებლათ გამოამჟღავნონ ყველა ის დეფექტები, რომელიც დღემდე თან სდევს დამკვრელი ბრიგადების მუშაობას და ამით უზრუნველყონ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება.

მოხსენების ირგვლივ გამართულ აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ თათბირმა მიიღო შესაფერი რეზოლუცია; შემდეგ მოსმენილი იქნა დამკვრელი ბრიგადების მოხსენებები ადგილებიდან.

საწოლების საამქროს დამკვრელი ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. ახვლედიანი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც საამქროში ჩამოყალიბდა დამკვრელი ბრიგადა შესამჩნევათ შემცირებული იქნა დაწუნებული საქონლის რაოდენობა და აგრეთვე გაუმჯობესებული იქნა ნაწარმის ხარისხი, დამკვრელი ბრიგადის მუშაობამ მოზრდილი მუშების დიდი ყურადღება მიიპყრო.

საზეინკლო საამქროს დამკვრელი ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. კახანოვი, აღნიშნავს, რომ დამკვრელი ბრიგადების ჩამოყალიბების დროს, ზოგიერთმა მუშებმა ლაპარაკი დაიწყეს იმის შესახებ, რომ ახალგაზრდები ვერ გაუმკლავდებიან სამუშაოს ისე, როგორც ამას გამოცდილი მუშები. სინამდვილემ სულ სხვა დაგვანახვა. დამკვრელმა ბრიგადამ შეასრულა ასეთი სამუშაო სამაგალითოთ, რომელსაც ისინი სრულიად არ მოელოდნენ.

მოსმენილი იქნა სალითონო და სამონტაჟო ბრიგადების წარმომადგენელთა მოხსენება. მათი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საამქროებში დამკვრელ ბრიგადებს მეტად გაუდიდებია შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესებულია პროდუქციის ხარისხი და აგრეთვე სავსებით აღკვეთილა სამუშაო დღეების უმიზეზოთ გაცდენის და დაგვიანების შემთხვევები.

ქარხნელი.

საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ

(არსენალის მექანიკური - საბარგულო - საალმშენებლო ქარხანა)

28 ოქტომბერს, არსენალის მექანიკურ-საბარგულო - საალმშენებლო ქარხანაში შესდგა ამავე ქარხნის მუშა - მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება პროფსაბჭოს წარმომადგენელთა თანდასწრებით. კრებას 150-მდე კაცი დაესწრო. 1928 — 29 სამეურნეო წლის საწარმოო გეგმის შესრულების შედეგებზე მოსმენილ იქნა ქარხნის დირექტორის ამხ. ბურჯანაძის მოხსენება.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ არსენალის მექანიკური - საბარგულო - საალმშენებლო ქარხანა აერთიანებს 226 კვალიფიციურ მუშას და 28 მოსამსახურეს; 1927 — 28 სამეურნეო წელში მუშა - მოსამსახურეთა ხელფასისათვის გაიცა 37 ათასი მანეთი, ნამუშევარ კაც - საათების რაოდენობა უდრიდა 55.330-ს; საშუალო ხელფასი შეადგენდა 3 მან. და 53 კაპ., 1928 — 29 სამეურნეო წელში მუშა - მოსამსახურეთა ხელფასზე დაიხარჯა 22 ათასი მანეთი, ნამუშევარ კაც-საათების რაოდენობა უდრიდა 61.611 საათს; საშუალო ხელფასი შეადგენდა 4 მან. და 02 კაპ., ე. ი. წინა სამეურნეო წელთან შედარებით სამუშაო ხელფასი გადიდდა 15 პროცენტით. თვითღირებულების შემცირება ძნელია გამოსარკვევია, რადგანაც ქარხანა სტანდარტულ პროდუქციას არ უშვებს; თუმცა ზოგიერთი ობიექტთაც აშკარა ხდება თვითღირებულების შემცირება. ასე მაგ., ქვემეხის მორგებს წინეთ ლენინგრადიდან ვიწერდით და დაახლოებით თითო მორგი ჯდებოდა 31 მანეთი; დღეს უკვე ამ მორგებს ადგილობრივ აკეთებენ და თითო ცალი გვიჯდება 29 მანეთი; მომავლისათვის განზრახულია მორგების თვითღირებულების 23 მანეთამდე შემცირება; მეორე ობიექტი არის ფინლიანდიური საწოლები, რომლის თვითღირებულება 7—9 პროცენტით შემცირდა. თვითღირებულების შემცირება მოხდა უმთავრესად მასალის ეკონომიის გაწევით. შრომის ნაყოფიერება შედარებით წარსულ წელთან გაიზარდა და აგრეთვე შესამჩნევად განმტკიცდა შრომის დისციპლინაც. ამჟამად ერთი კაცის მიერ დამუშავებული პროდუქცია დღეში შეადგენს 11 მანეთს ღირებულებით. დაახლოებით წინა წელთან შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 20 პროცენტით. 1928 — 29 სამეურნეო წლის საწარმოო პროგრამა 12 პროცენტით გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. ამირჯანოვის თანამოხსენება სოც. შეჯიბრების ხელშეკრულების შემოწმების შედეგების შესახებ. ამხ. ამირჯანოვმაც ხაზი გაუსვა უმთავრესად იმ მნიშვნელოვან მიღწევებს, რომელიც აღმოჩნდა ქარხნის სოც. შეჯიბრების ხელშეკრულების შემოწმების შემდეგ. მან მოუწოდა მუშებს, რომ მომავლისათვის უფრო გააძლიერონ სოც. შეჯიბრება.

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. ბაღდასაროვმა, დოლუზაშვილმა, უსოვმა, თოფუზოვმა, ფერიაშვილმა და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ კამათი უმთავრესად გადაიქცა ახალი შეჯიბრების გასაშლელად. ასე მაგ., სადურგლო საამქრომ სოც-შეჯიბრებაში გამოიწვია საზარბაზნო საამქრო, სახარატო საამქრომ — საზეინკლო, საზარბაზნომ — სამჭედლო, სადურგლო საამქროს ახალგაზრდა მუშა ჩერნიკოვმა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გამოიწვია საზარბაზნო საამქროს მუშა დოლუზაშვილი. დასასრულ, გამოცხადებული იქნა დაჯილდოებული საამქროების და ინდ. შეჯიბრებაში გამარჯვებულ მუშების გვარები.

ხ.

შემმოწმებელ ბრიგადების მუშაობა

ამ.-კავკ. რკინის გზებზე სოც. შეჯიბრების შედეგების შემმოწმებელ ბრიგადების მუშაობა ნაწილობრივ უკვე დამთავრდა.

რკინის გზებზე მუშა - მოსამსახურეები ფართოდ ჩაებნენ სოც. შეჯიბრების შედეგების შემოწმებაში. ზოგიერთ უბნებზე შემოწმებაში ჩაბმულ მუშების რიცხვი სამასს აღემატებოდა. დიდი იყო აქტიობა მუშათა შორის. ზოგან მუშაობა კიდევ გრძელდება.

შემმოწმებელმა ბრიგადამ გზის სამმართველოს საგეგმო - საკონტროლო განყოფილებაში, შრომის მომწესრიგებელ საგზაო ბიუროში და იურიდიულ განყოფილებაში უკვე მოახდინა სოც. შეჯიბრების შემოწმება.

საგეგმო - საკონტროლო განყოფილებაში ბრიგადამ გასინჯა საქმის მდგომარეობა ხუთწლიანი გეგმის დამუშავების მხრივ ა.-კ. და შუა - აზიის რკ. გზების შორის დადებულ სამეურნეო - პოლიტიკური ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით.

ცნობილ იქნა, რომ გეგმის დამუშავება ნელის ტემპით მიმდინარეობს და ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ გზის დანარჩენ განყოფილებები არ გზავნიან საჭირო ცნობებს თავის დროზე და ამასთანავე ცენტრი კიდევ აგზავნის დამატებით მუხლებს ხუთწლიან გეგმაში შესატანად. ეს აფერხებს გეგმის საბოლოოდ შედგენას.

შრომის მომწესრიგებელ საგზაო ბიუროში; გამოირკვა, რომ თანამშრომლების მიერ არ ყოფილა დადებული ხელშეკრულება ვისმესთან, რაც აიხსნება ბიუროს გამგეს ყოველის შეჯიბრების შესახებ დირექტივის გაუგებლობით. თანამშრომლები მხოლოდ ეხლა იმუშავებენ ხელშეკრულების პროექტს და ემზადებიან გზის სამმართველოს რომელიმე განყოფილებასთან ხელშეკრულების დადებისათვის.

იურიდიულ განყოფილებას დადებული აქვს ხელშეკრულება შუა - აზიის რკ. გზასთან. ხელშეკრულების პირველი და მე-2 მუხლები შეუსრულებელია, რადგან იქ გათვალისწინებული მუშაობა ეხება ეკონომიურ განყოფილებას და შრომის მომწესრიგებელ საგზაო ბიუროს.

აღსრულებითი პროცესების შესრულების მხრივ მდგომარეობა ასეთია: ა.-წ. 1 ოქტომბრისათვის ირიცხებოდა 1,285 აღსრულებითი საქმე, აქედან შესრულებულია მხოლოდ 407 საქმე.

ფუნქციები იურისკონსულტსა და განყოფილების საკანცელარიო შემადგენლობის შორის მტკიცედ არის განსაზღვრული.

რაც შეეხება განყოფილების მუშაობას და იურისკონსულტის დატვირთვას, 1 ოქტომბრისათვის საწარმოო საქმეების საერთო რიცხვი უდრიდა 3.252-ს. თითოეულ იურისკონსულტზე საშუალოდ მოდის 808 საქმე. შესრულებულია სულ 1135 საქმე, ანუ თითოეულ იურისკონსულტზე მოდის 187 შესრულებული საქმე.

საქმეებიდან ირკვევა, რომ იურიდიულ განყოფილებაში საპროცესო ვადების გაშვებას ადგილი არ ჰქონია.

ა.-კ. რკ. გზების იურიდიულ განყოფილებას ფორმალურად არ მიუღია ჩრდ.-კავკ. რკ. გზების იურიდიული განყოფილების გამოწვევა, მაგრამ ბრიგადამ გამოარკვია, რომ ჩრდ.-კავკ. რკ. გზების პროგრამა ა.-კ. რკ. გზ. იურიდიულ განყოფილების მიერ სრულდება და ამის გამო ეხლა სწარმოებს გამოწვევის გაფორმება.

ოქტომბრის დღეებისათვის

ოქტომბრის დღეები სკოლებში

განათლების სახ. კომისარიატმა შეიმუშავა სკოლებში ოქტომბრის დღესასწაულების ჩატარების გეგმა, რომლის მიხედვით განათლების სახ. კომისარიატის ყველა ორგანიზაციებს და ყველა საფეხურის სკოლებს ევალება ეხლავე შეუდგნენ სამზადისს დღესასწაულებისათვის და სკოლებში ჩაატარონ შემდეგი სახის მუშაობა:

მოსწავლეთა შორის გაშუქდეს ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობის საკითხები, შეფასდეს მშენებლობის მიღწევები და დამუშავდეს სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის ძირითადი საკითხები.

ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, სკოლები, მასწავლებლებისა და უფროსი ჯგუფების მოსწავლეთა მონაწილეობით, სათანადო შინაარსის მოხსენებებს და საუბრებს მართავენ კლუბებში, წითელ კუთხეებში, სახალხო სახლებში, სამკითხველოებში.

სოციალისტური მშენებლობის წარმატებისა და ახალი თაობის სოციალისტურად აღზრდის თვალსაზრისით შეფასდეს სკოლის მიღწევები პედაგოგიურს და საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მუშაობაში და დასახული იქნეს მორიგი ამოცანები აკადემიური წარმატების, შრომის დისციპლინის ზრდის, აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების, საზოგადოებრივ - პოლიტიკური და კულტურული მუშაობის გაფართოების დარგში. (განსაკუთრებით წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და კოლმეურნეობებში—კულტურული მუშაობის წარმოებისათვის), აგრეთვე ღარიბებს მოსწავლეთათვის აკადემიური და ნივთიერი დახმარების მოწესრიგება და მოსახლეობაში და მოსწავლე ახალგაზრდობაში ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის ფართოდ გავრცელება. სასურველია ეს საკითხები სკოლებმა სოციალისტური შეჯიბრების საგნად აირჩიონ და ხელშეკრულების დადებაც ოქტომბრის საზეიმო სხდომებს შეუფარდონ.

სკოლებში მომქმედ ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციების მიღწევების შეფასება და შემდეგში მუშაობის გაუმჯობესებისა და გაძლიერების გეგმის დასახვა.

ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაციების სკოლებში მომქმედ უჯრედების მუშაობის შეფასება, მათი გაძლიერების პრაქტიკული საკითხების დასმა და მოსწავლეთა ფართო მასების ჩაბმა ამ მუშაობაში.

სკოლების მხრივ აქტიური მონაწილეობა, სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებით, მასიური ზეიმის შინაარსიანად და მხატვრულად მოწყობა - ჩატარების საქმეში.

კედლის გაზეთების და სასკოლო ჟურნალების საგანგებო ნომრების გამოშვება, სოციალისტურ მშენებლობაში მიღებულ მიღწევათა გამომსახველი დიაგრამების დამზადება, მოწოდებათა და პლაკატების შედგენა სკოლასა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსართავად.

ზეიმის დღეს სკოლების საერთო წესით მონაწილეობა დემონსტრაციებში და სათანადო შინაარსის საღამოს მოწყობა, მუშების, ღარიბებისა გლეხობის, წითელი ჯარის, საბჭოთა, საზოგადოებრივ - პოლიტიკური და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოწვევით; საღამოს პროგრამაში შევა: მოხსენებები ზეიმთან დაკავშირებით, დეკლამაცია, წარმოდგენა, ცოცხალი სურათები, ორკესტრი და გუნდი, პიონერების გამოსვლა, ცოცხალი გაზეთი, სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადება. საღამოს შინაარსი სხვადასხვა იქნება სკოლის საფეხურის მიხედვით.

სასურველია ტერიტორიალურად ახლოს მდებარე რამდენიმე სკოლის შეერთება ზეიმის უკეთ ჩასატარებლად.

საშეფო საზოგადოების მონაწილეობა დღესასწაულში

თბილისის საშეფო საზოგადოების მიერ შედგენილ გეგმის მიხედვით ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის დღესასწაულში მონაწილეობის მთავარ მომენტს უნდა შეადგენდეს:

ა) მუშაობის გაძლიერება კოლმეურნეობების მნიშვნელობის საკითხთა დარგში, კოლექტივიზაციისა და მოსავლის დღეებში მიღებული შედეგების განმტკიცება.

ბ) საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხის გარშემო.

გ) საშეფო მასების მობილიზაცია წერა-კით. უცოდინარობის საკითხების ირგვლივ (თვითშემოწმების მდგომარეობა).

დ) სოფლის კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტების გამოაშკარავება და ბრძოლა მათ წინააღმდეგ. საშეფო სოფლების გლეხობის ღარიბ-საშუალო ფენებთან ერთად.

მუშაობა ქალაქში

1. საკითხი ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარების შესახებ დამუშავებულ იქნას სარაიონო საბჭოს აქტივის პლენუმებზე და ფართო თათბირებზე, პარტიულ, კომკავშირულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან წინასწარი შეთანხმებით.
2. თბილისის საბჭომ მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოძრავი კოლონა, სარაიონო საბჭოებმა საშეფო სოფლებიდან 3 ნოემბრისათვის უნდა წარმოადგინონ სასოფლო-სამეურნეო ექსპონატები.
3. თბილისის საბჭომ მოაწყოს წითელი ნიშნების გამოშვება ქალაქისა და სოფლის კავშირის ემბლემით; ნიშნები მიეძღვნება ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავს.
4. საქართველოს პროფსაბჭოს წინაშე დაისვას საკითხი საშეფო სოფლებში ქვედა პროფორგანიზაციების მონაწილეობისა და დახმარების შესახებ.
5. მოხდეს შეთანხმება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებასთან საშეფო სოფლებში დრამატიული და მომღერალთა წრეების, მოძრავი კინოების, ფოტოწრეებისა და სხვ. გაგზავნის შესახებ.
6. საშეფო ორგანიზაციებმა მიიღონ უშუალო აქტიური მონაწილეობა სპეციალური კედლის გაზეთების გამოშვებაში; ამ გაზეთებში გაშუქებულ იქნას საშეფო საკითხები.
7. სარაიონო საბჭოებმა უნდა შეიმუშაონ ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის ჩატარების კალენდარული გეგმა.
8. სარაიონო საბჭოებმა 12 ნოემბრამდე ჯამი უნდა გაუკეთონ მასალას ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის დღესასწაულის ჩატარების შესახებ, და ეს მასალა თბილისის საბჭოს წარუდგინონ.

მუშაობა სოფლად

1. ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავისათვის უჯრედებმა უნდა ჩაატარონ მასიური გამგზავრება საშეფო სოფლებში საწარმოო კავშირის ძირითადი ლოზუნგის რეალური განხორციელებისათვის; უჯრედებმა უნდა მოაწყონ სარემონტო ბრიგადები, რომლებიც 7—8 ნოემბრისათვის გაიგზავნებიან საშეფო სოფლებში გლეხობის ღარიბ-საშუალო ფენებისათვის დახმარების აღმოსაჩენათ.
2. საშეფო სოფლებში გამგზავრების დროს უჯრედებმა უნდა გამოჰყონ თითო მომზადებული ამხანაგი, რომელიც ჩაატარებს ახსნა-განმარტებით მუშაობას პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების, ინდუსტრიალიზაციის, სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის, სოფლის მეურნეობის განვითარების გზების და სხვათა შესახებ.
3. სოფლად გამგზავრების დღეებში მოეწყოს შეჯიბრება სროლაში და ტანვარჯიშობაში. ჯილდოების დარიგებით, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ამოცანათა ახსნა-განმარტებით და ამ საკითხის თავდაცვა-ავიაქიმთან დაკავშირებით.
4. იმ საშეფო უჯრედებმა, რომლებმაც კოლექტივიზაციისა და მოსავლის დღეს ახლად მოაწყეს კოლმეურნეობები, ოქტომბრის დღესასწაულისათვის უნდა ორგანიზაციულად ჩამოაყალიბონ და განამტკიცონ ეს მეურნეობები.
5. სარაიონო საბჭოებმა, არა უგვიანეს 27 ოქტომბრისა, უნდა წარმოადგინონ კონკრეტული ღონისძიებანი ახალ კოლმეურნეობათა მოწყობის შესახებ, მათი შესაძლებელი რაოდენობის აღნიშვნით.
6. ოქტომბრის დღესასწაულის დღეებს შეეფარდოს უჯრედების მიერ დასახულ იმ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც მათ ვერ განახორციელეს კოლექტივიზაციისა და მოსავლის დღეს (სკოლების, ლიკ-პუნქტების, სამკითხველოების და კლუბების გახსნა, კოლმეურნეობებისა და რადიო-დადგმულობათა მოწყობა და სხვ.).

რა ხდება ადგილებზე

თანხის გადადება საავადმყოფოს საჭიროებისათვის

ქუთაისი, 31 ოქტომბერი. ტიფით დაავადებულთათვის საწოლთა რიცხვის გასადიდებლად ქუთაისის ქალაქის საავადმყოფოს ბიუჯეტს გარეშე 1.222 მანეთი მიეცა. (ადს).

დახმარება მოუსავლიანობისაგან დაზარალებულებს

ქუთაისი, 31 ოქტომბერი. ქუთაისის ოლქის აღმასკომთან, რაიაღმასკომთან და სოფლის საბჭოებთან შესდგა მოუსავლიანობისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომისიები. კომისიებში სამ - სამი კაცი შედის. კომისიებს დაევალათ წარადგინონ ცნობები დაზარალებულთა შესახებ და გამოარკვიონ საწყობებისა და ტომრების საკითხი. დახმარება გაეწევა აგრეთვე ინვალიდებს და ქვრივ-ობლებს. (ადს).

ბრძოლა პელაგრასთან

ქუთაისი, 31 ოქტომბერი. ქუთაისის საოლქო აღმასკომმა გამოჰყო პელაგრის ეპიდემიასთან მებრძოლი კომიტეტი. ამ საქმისათვის 1.000 მანეთი გადაიდო. პელაგრის მდგომარეობის გამოსაკვლევად ოლქში იგზავნება სპეციალური ექსპედიცია. (ადს).

მინდვრის თაგვი

გურჯაანი, 31 ოქტომბერი. რაიონებიდან იტყობინებიან, რომ გაჩნდა მინდვრის თაგვი. ნათესი საფრთხეშია. (ადს).

ლტოლვა კოლექტივებში

გურჯაანი, 31 ოქტომბერი. უკანასკნელ თვენახევარში კახეთის ოლქში მოეწყო 39 ახალი კოლმეურნეობა. თვითეულ კოლმეურნეობაში გაერთიანებულია საშუალოდ 40—50 კომლი. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

გურჯაანი, 31 ოქტომბერი. 20 ოქტომბრისათვის სესხი გლეხობაში განაღდებულ იქნა 75 პროცენტით. ყველაზე წინ დგანან სოფლები გურჯაანი და ლაგოდეხი და ქალაქი სიღნაღი.

მუშათა და მოსამსახურეთა სექტორში განაღდებამ დავალების 120 პროცენტს მიაღწია. (ადს).

გაწვევა წითელ - არმიაში

გურჯაანი, 31 ოქტომბერი. წითელ არმიაში გაწვევამ წელს მთელ ოლქში ბრწყინვალედ ჩაიარა. შესაკრებ პუნქტებზე გამოცხადდა 99—100 პროც. იყო შემთხვევები, როდესაც წითელ არმიაში მიღება ითხოვეს კულაკების შვილებმა.

ახალწვეულთა შეკრება დანიშნულია 7—9 ნოემბრისათვის, ცვალებადელთა შეკრება —11 ნოემბრისთვის. (ადს).

რკინის გზებზე

ლოთები და დაუდევარი ხალხი მოვაშოროთ რკინის გზას

ამ დღეებში ნავთლუღის სადგურზე მანევრების დროს დაიმტვრა ორი ორთქლმავალი.

მიზეზი?—სრული დაუდევრობა, როგორც ორთქლმავლის გუნდების, ისე სადგურის მსახურებზე მორიგე ამხანაგების მხრივ. ასეთი დაუდევრობის წყალობით გამოგვაკლდა ორი ორთქლმავალი. ეს დიდი ზიანია, დიდი ზარალია. ნავთლუღის სადგურის და აქ მუშაობის პირობები მეტად რთულია, თავისებურია. აქ საჭიროა მეტი ყურადღებით მუშაობა და მაშინ ასეთი შემთხვევა არ მოხდება. მომავალში მაინც გავითვალისწინოთ ეს.

მეორე შემთხვევა მოხდა თითქმის იმავე დღეს. ხაშურიდან თბილისისაკენ მოდის სახალხო მატარებელი. მგზავრები არხეინად მასლაათობენ, ზოგ ვაგონში ქეიფიც არის გამართული. იმღება „კავშირი“ ვაგონსა და ორთქლმავალს შორის. ღვინო და საჭმელი გადადის ორთქლმავალზე. იქაც იმართება ქეიფი. მემანქანე ითვრება და ავიწყდება თავისი მოვალეობა.

სადგურ ქსანში მატარებელი სდგას კარგა დიდ ხანს. მემანქანეს აღარ აქვს მისი წაყვანის თავი. თანაშემწეც მას ბანს აძლევს. ორთქლმავალი თითქმის ცივდება, ამ ამბავს წააწყდება თბილისის დეპოს უფროსი თანაშემწე ამხ. ნიკო ჩხაიძე. მას მოყავს სახალხო მატარებელი თბილისამდე.

სახალხო მატარებლის შეუგნებელი მემანქანე, რა თქმა უნდა, გადაყენებულია. ის ამ დღეებში სახალხოდ იქნება გასამართლებული, მაგრამ საქმე ამით არ უნდა გათავდეს. ბოლო უნდა მოეღოს რკინის გზებზე ამ უწესოებას, ბოლო უნდა მოეღოს ლოთობას.

სასტიკად უნდა დაისაჯონ ლოთობაში შემჩნეული ამხანაგები. სამწუხაროდ, ჩვენი ადმინისტრაცია ხშირად ხელს აფარებს ასეთ პირებს. ამის წინად ლოთობისათვის დაითხოვეს მემანქანე კორნეევი, მას დაუნიშნეს კარგა დიდი პენსია. ეს არ აკმარეს. დღეს კორნეევი პენსიასაც ღებულობს და სამსახურშიაც მიუღიათ მთავარ სახელოსნოში. ამგვარ მოვლენებს ბოლო უნდა მოეღოს, თორემ, როცა საქმე გაფუჭდება გვიან იქნება.

ს. დოლიძე.

რკინის გზელების მომარაგება სურსათ-სანოვაგით

„ზაკტპო“ 1 ნოემბრიდან იწყებს თავის წევრებზე კარტოფილის, ხახვის და კომბოსტოს დარიგებას. თითო წევრზე გაიცემა 5—10 ფუთი კარტოფილი სხვადასხვა დროის განმავლობაში, კილო 10 კაპეიკად; ხახვი გაიცემა 3 ფუთამდე 13 კაპეიკად კილო და კომბოსტო — 5 ფუთამდე 8 კაპ. კილო.

ის წევრები, რომელთაც შეტანილი აქვთ მიზნობრივი ავანსები, პროდუქტებს მიიღებენ რიგს გარეშე.

კარტოფილი გაიცემა შემდეგ მაღაზიებიდან: № 173 (შერემეტევის ქ.), № 44 (ცეტკინის ქ.), № 46 (ლოტკის გორა), № 42 (ავლაბარი), № 8 (საბჭოთა ქ.), № 3 (ლენინის რაიონი) და № 48 (პლეხანოვის პრ.). ამის გარდა კარტოფილის გაცემა იწარმოებს პირდაპირ ვაგონებიდან. მაგალითად ნავთლუღში გაიცემა 1 ვაგონი, სტალინის სახ. ქარხანაში 2 ვაგონი, 1 ვაგონი ბორჯომის ჩიხიდან და 1 ვაგონი — სამხედრო ბაქანიდან.

ხახვი და კომბოსტო გაიცემა მხოლოდ „ზაკტპო“-ს სავაჭრო წერტილებიდან.

სად. არგვეთი

სამტრედია - ზესტაფონის უბანზე მატარებლების გატარებითი უნარიანობის გასაძლიერებლად ზესტაფონი - სვირის შორის აშენდა ახალი სადგური არგვეთი, რომელიც გაიხსნა გუშინ.

უბედური შემთხვევა

სადგ. ფოთში სამანევრო ორთქმავალის ქვეშ მოჰყვა მოქ. ჯ. ციცკარავა, რომელსაც ორთქლმავალმა გადასჭრა მარცხენა ფეხი და მოგლიჯა მარჯვენა ფეხის თითები.

ადგილების დანაწილება მატარებლებში

აქამდე მატარებლებში ადგილები მგზავრთა შორის დანაწილებული არ ყოფილა. ერთად სხდებოდნენ ვაგონებში ბავშვები, ქალები, თუთუნის მწეველები და არ მწეველები.

ასეთი გარემოება დიდ უკმაყოფილებას იწვევდა მგზავრებში და ხშირად ჰქონდა ადგილი საჩივრებს.

ეხლა ეს მდგომარეობა გამოსწორებულია. გზის გამგეობის მიერ გაცემულია განკარგულება, რათა თითოეულ ცალკე მატარებლებში გამოყოფილ იქნეს ადგილები ცალ-ცალკე თუთუნის მწეველთათვის, არა მწეველთათვის, ქალებისათვის და ბავშვებისათვის.

ქრონიკა

საკავშირო აღწერა

განზრახულია დეკემბრიდან ჩატარებული იქნეს მოსახლეობის საკავშირო აღწერა. ამიერ-კავკასიაში აღწერის ჩასატარებლად უკვე დაწყებულია მოსამზადებელი მუშაობა.

აგროდახმარების გაძლიერება

„საქართველოს ღვინო“ აფართოებს მუშაობას აგროდახმარების დარგში. ყოველ კოოპერატიულ ამხანაგობასთან მიმაგრებული იქნება თითო სპეციალისტი, რომელიც უშუალოდ იმუშავებს გლეხებში. ახლო მომავალში ადგილებზე გაიგზავნება მევენახეობა-მეღვინეობის ათი სპეციალისტი. მათ ევალებათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მევენახე გლეხების კოლექტიურად და კოოპერატიულად შეკავშირებას.

მუშათა ბრიგადების გაგზავნა სოფლად

დღეს, 1 ნოემბერს, საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭო დასავლეთ საქართველოში მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად გზავნის 5 მუშათა სარემონტო ბრიგადას. ბრიგადებში შედის: 15 კვალიფიციური მუშა, 5 აგრონომი და 5 ექიმი.

თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის მოწყობილობები გამოგზავნილია

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მიღებულ ცნობებით, თბილისის აბრეშუმის ფაბრიკისათვის გერმანიაში შეკვეთილი მანქანები და მოწყობილობები სექტემბრის შუა რიცხვებში გამოგზავნილია ჰამბურგიდან. მანქანებს თბილისში მიიღებენ ერთ თვეში. მიღებული მანქანების დადგმა და მათი გამოცდა დამთავრდება მომავალი გაზაფხულისათვის.

ხორბლეულის საწყობები

ვინაიდან უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა ორგანიზაციების ტვირთბრუნვა დიდად გაიზარდა და აღარ მოიპოვება ისეთი დიდი საწყობები, სადაც შესაძლოა ხორბლეულის შენახვა, ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა „სოიუზხლებ“-ს შეუდგეს ახალი საწყობების აგებას თბილისში, ერევანში და ბაქოში. გარდა ამისა ასეთივე წინადადება მიეცა შაქრის ტრესტს, საბჭ. სავაჭრო ფლოტს, საზ. „ტარკ“-ს და სხ. რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს დაევალათ წინადადება მისცენ აღმასკომებს გამოჰყონ მიწის ნაკვეთები საწყობების ასაგებათ. საწყობები აგებული უნდა იქნას 1929—30 წელში.

თბილისის აღმასკომში

◆ **ავლაბრის თეატრი.** დღეს მოხდება ავლაბრის მუშათა თეატრის საძირკველის ჩაყრა.

◆ **„ხის ნაწარმი“.** ადგილობრივი მრეწველობა შეუდგა ქარხანა „ხის ნაწარმი“-ს გაფართოებას.

„წერა-კითხვა“-ს საზოგადოებაში

◆ **„წერა-კითხვა“-ს კვირეული.** ნოემბრის პირველ რიცხვებში, საქართველოში ჩატარებული იქნება ამ საზ-ბა „წერა-კითხვა“-ს კვირეული. მოსამზადებელი მუშაობა კვირეულის ჩასატარებლად უკვე დაიწყო.

◆ **სალიკვიდაციო სკოლების გახსნა.** მიმდინარე სამოსწავლო წელში „წერა-კითხვა“-ს საზოგადოება მთელ საქართველოში თავის ხარჯზე გახსნის 700 სალიკვიდაციო სკოლას. სკოლების გახსნა უკვე დაწყებულია. გარდა ამისა, „წერა-კითხვა“-ს წევრები უფასოდ შეასწავლიან 8—9 ათას უცოდინარს წერა-კითხვას.

◆ **სოციალისტ. შეჯიბრება წერა-კითხვის უც-ის ლიკვიდაციაზე.** ქუთაისის „წერა-კითხვა“-ს საოლქო საზოგადოებამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია „წერა-კითხვა“-ს თბილისის საოლქო საზოგადოება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საუკეთესოდ გატარებაზე.

სხვადასხვა

◆ **საბიბლიოთეკო ლაშქრობა** გადაიდო 15 ნოემბრისათვის.

◆ **ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს** სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტში, ა.-წ. 4-დან 6 ნოემბრამდე იწარმოებს 1929—30 სამოსწ. წელში ახლად მიღებულ სტუდენტთა საერთო რეგისტრაცია.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

ოპერის სეზონის გახსნა

დღეს იხსნება სეზონი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. დადგმული იქნება მელ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერი“. ოპერის მთავარი პარტიები განაწილებულია შემდეგნაირად: თამარ მეფე—ვ. ოვჩარენკო, ცირა—ო. ნინუა-ცაგურიასი, გოჩა—დამს. არტისტი სანდრო ინაშვილი, ნიკო—ნ. ქუმსიაშვილი, გიორგი მეფე—ვ. შარაშიძე, ხუმარა—დ. ბადრიძე.

ოპერა მიდის განახლებული დადგმით—რეჟისორი ა. წუწუნავა, დირიჟორი სახ. არტისტი—ი. ფალიაშვილი, ბალეტმეისტერი ს. სერგეევი.

ხაშურის თეატრი

ხაშურში შესდგა მუდმივი დრამატიული წრე, რომლის ხელმძღვანელად მიწვეულია იუზა ზარდალიშვილი. წრემ უკვე დადგა რამდენიმე წარმოდგენა. შემოღებულია აბონემენტების სისტემა.

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ქართა ქალაქი“.

◆ **ოლღა მაისურიანის იუბილე.** სომხურმა დრამამ გადასწყვიტა მსახიობ ქალს ოლღა მაისურიანს, მისი სცენაზე 35 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად, ახლო ხანში გაუმართოს იუბილე.

შემთხვევები

უბედური შემთხვევა

გუშინ მცირეწლოვანმა კოლია პეტროსის ძე არუთინოვმა ტრამვაის ხაზზე (დავითაშვილის ქ. სახლი № 5 პირდაპირ) დასდო დინამიტის კაპსული. როცა ვაგონმა გადაუარა დინამიტს, იგი გასკდა და მძიმედ დაშავდა არუთინოვი, რომელიც გადაგზავნეს საავადმყოფოში.

ცოლის დაჭრა

პავლე სტეფანეს ძე სოლოლოვმა (მცხ. ფოსტის ქ. № 1) ჩხუბის დროს დანით დასჭრა თავისი ცოლი — მარიამ ნიკოლოზის ასული ბაღიაშვილი. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

დაპატიმრება

დაპატიმრებულია ბეგლარ კიმოთეს ძე მასხულია, ვასილ ალექსანდრეს ძე რიეკოვი (უბინაო), სიმონ ადამის ძე ივანოვი, კუზმა ივანეს ძე მირონიკი, ნიკოლოზ მიხეილის ძე კაპუსტინი და ალექსი იაკობის ძე ხულაშვილი, რომელთაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ვისია ნივთები?

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი - რეციდივისტი ალექსანდრე ვასიაგინი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი პალტოები, ტანისამოსი და სხვადასხვა ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს.ს. მილიციაში, ოთახი № 7, პ. სანიშვილთან.

მოკვლის განზრახვა

სად. ნავთლუღში მამედ ზეინალოვმა (მცხ. კომუნალური ქ. № 27) მოკვლის მიზნით დასჭრა ჩენკიურ ასლანოვი (მცხ. ანჯაში) იგი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

ქურდობა

გაქურდეს ვარ. ქავთარაძის ბინა (1-ლი სამილიციო უბანი); წაიღეს 400 მანეთის ნივთები. — სამკერვალო სახელოსნოდან (კვირაცხოველის ქ. 1) მოიპარეს 350 მანეთის ტანისამოსი. — გაქურდეს პოლიტკატორღელთა საზოგადოების საკანცელარიო მაღაზია (ლენინის ქ. 3); წაიღეს ფულად 300 მანეთი და სხვადასხვა ნივთები.

ბიბლიოგრაფია

სანდრო შანშიაშვილი

„ამბოკარი“.—„შრომა“-ს გამოცემა, 1929 წ.

სანდრო შანშიაშვილი ჩვენში თანამგზავრ მწერალთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს, თუმცა მისი თანამგზავრობა დღემდე არაა ყოველმხრივ მტკიცე; არ შეიძლება ითქვას, რომ ის თავისუფალია გორების ნაშთებისაგან, და ამიტომ, მის ნაწარმოებთ ხშირად არ ახასიათებს ახალი ცხოვრების ფაქტებში ღრმად ჩაწვდენა, ახალი ცხოვრების მშენებლობის სათანადო შეფასება. სიმბოლიზმი და რომანტიზმში ჩრდილავენ ამ მწერლის ზოგ დადებით წამოწყებებს.

„ამბოკარი“ შანშიაშვილის თანამგზავრულ ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ. ის სოფლის ცხოვრების ფონზეა გაშლილი და ეხება თებერვლის რევოლიუციის წინა ხანის ურთიერთობას ჩვენი სოფლის სინამდვილეში. ავტორი მიზნად ისახავს დაგვიხატოს სოციალურ ძალთა განწყობილება, მათი ურთიერთ დამოკიდებულება, მშრომელი გლეხობის გაძვალტყავებული მდგომარეობა და მეფისა და ბოგოლების თავგასულობა. თემა თუმცა მრავალჯერაა გადაღეჭილი, მრავალ ლიტერატურულ ფაქტებით თანამგზავრულად გაშუქებულია, მაგრამ ის მაინც არ კარგავს თავის მნიშვნელობას, რადგან მეტად მდიდარია. რევოლიუციის წინა პერიოდის სოციალური ურთიერთობანი, და მისი მხატვრულ ფორმებში აღწერა თანამგზავრ მწერლის მიერ აუცილებლად სასარგებლოა მოზარდ თაობისათვის.

როგორც მოთხრობის პირველ ნაწილიდან სჩანს, ავტორი ახასიათებს ქიზიყის სოფლის ცხოვრებას, სადაც, მისი თქმით, ყველაზე მეტი ნაშთებია ძველი სამეურნეო ფორმებისა, და სადაც მშრომელი გლეხობა ნაკლებ შეგნებულია ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში. თემური მიწათმფლობელობა საქართველოს ამ კუთხეში დიდხანს ბატონობდა და მიწათმფლობელობის ამ ფორმის დაშლა იქ შედარებით დაგვიანებით დაიწყო. ავტორი საჭიროდ სცნობს თემური მიწათმფლობელობის რღვევის პროცესის დახასიათებას, ვიდრე შეხებოდეს იმ ურთიერთობას, რომელიც კაპიტალიზმის შემოჭრამ გამოიწვია ქიზიყის სოფელში. აქ ავტორი უშვებს შეცდომას და იზიარებს „ტიპიათა მოტრფიალეების“ უტოპიურ შეხედულებებს თემის მნიშვნელობაზე. თემი მას სოფლის მშრომელი გლეხობის თანაცხოვრების მისაღებ ფორმად გამოყავს. რომ ავტორი იცნობდეს იმ დავას, რომელიც როგორც რუსეთში, ისე საქართველოში სწარმოებდა მარქსისტებსა და ნაროდნიკებს შორის თემის სოციალური მნიშვნელობის შესახებ, მაშინ ის თემური მიწათმფლობელობის შეფასებაში არ დაუშვებდა ასეთ შეცდომას და თანამედროვე ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში არ დაიწყებდა თემის იდეალიზაციას.

მაგრამ ავტორი მალე სტოვებს რატომღაც თემურ ურთიერთობათა არეს, და მოთხრობის პერსონაჟები სულ სხვა ფონზე გვევლინებიან. ეს ფონია რევოლიუციის წინა ხანის სოფელი; თავისი კლასიური წინააღმდეგობებით, მამასახლისით, სოფლის წურბელებით და მეფის რეჟიმის ყოველგვარი უსამართლობით. აქაც ავტორი იჩენს კლასთა ბრძოლის ნაკლებ ცოდნას, რის გამო, მოწინააღმდეგე სოციალურ ბანაკთა დახასიათება ვერ არის დამარწმუნებელი, რადგან ძალთა შეჯახება სოფლად ავტორის გადმოცემაში სტიქიურია პირველ ხანებში, ხოლო შემდეგ თითქოს ორგანიზაციულ სახეს იღებს. ომის დროს კლასიური წინააღმდეგობანი სოფლად სწრაფად ვითარდება, ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები აღვივებენ მშრომელ ხალხში რევოლიუციონურ განწყობილებას და ანვითარებენ კლასობრივ თვითშეგნებას. გაისმის ტახტის დამხობაზე ლაპარაკი, სოფელს ევლინებიან ახალგაზრდა აგიტატორები, რომლებიც დიდის ენტუზიაზმით, მომავლის რწმენით. ამბოკარიც ახალგაზრდათა ამ ჯგუფს ეკუთვნის, ის არსებული წყობილების მოსისხლე მტერია, ამბოხების მქადაგებელი და დაუცხრომელი პროტესტანტი. ამბოკარი ხალხის უკმაყოფილების სათავეში უდგება და მას განსაზღვრულ კალაპოტში აქცევს.

ავტორი აღვწერს, თუ თანდათანობით როგორ ღრმავდება მოწინააღმდეგე ბანაკთა შუღლი სოფლად, როგორ გაიზარდა რევოლიუციონური მოძრაობა. თვით ჩვენ წყნარ სოფლებშიაც კი, როგორი ხალისით და გამარჯვების იმედით ჩაებნენ მშრომელი გლეხობის საუკეთესო ელემენტები. არალეგალური მუშაობაში და სხვა. მაგრამ მთელ ამ უზარმაზარ საქმეში სჩანან პიროვნებანი, თავდადებულნი, გულმხურვალეები დაჩაგრული ხალხისა და არ სჩანს ძალა, რომელიც რევოლიუციონურ მოძრაობას წინ უძღვის, რომელიც მას მიმართულებას აძლევს, არ სჩანს პარტია, რევოლიუციონურ მებრძოლთა ორგანიზაცია, როგორც ავანგარდი ძველი წყობილების წინააღმდეგ მებრძოლ ძალებისა. ამის გარეშე, კი ამბოკარის ირგვლივ შექმნილი მთელი ამბავი ნაკლებ დამაჯერებელია, კუდშეკვეცილია, დიდი ტილო სუსტი ფენებით გაკეთებულა.

სამაგიეროდ ნაწარმოები მდიდარია ხალხის ცხოვრებიდან ამოღებული ცოცხალი სურათებით, იქ მოცემულია, რევოლიუციის წინა ხანის სოფლის უკვდავი ტიპები. აიღეთ სასამართლოში ხალხის შეკრება სადაო საკითხის გამო, ხალხის ჯგუფებად დაყოფა: ღარიბთა და მდიდართა პირისპირ შეხვედრა, ჯერ სიტყვიერი დავა, ხოლო შემდეგ ხელჩართულ ბრძოლაზე გადასვლა. კარგათაა დასურათებული ძველი სოფლის ცნობილი ტიპი „სოფლის სეკრეტარი“. ის სოფლის მმართველობის მთავარი ფიგურაა, მისი მეოხებით კეთდება საქმეები; ნამდვილი მექრთამეა, სადაც სურს, იქით გამოაბამს კოთხის ყურს. მუდამ მსუნაგი, ცალი თვალი დუქნისკენ რომ აქვს და ღვინის სუნს შორიდან ყნოსავს. არა ნაკლებ საინტერესოა ძველი სოფლის თავკაცის მეორე ვარიანტი. ხელში ჭრელი ხელსახოცი, თავზე კიკინოზი ქუდი, ტანზე გაქონილი პალტო რომ აცვია. ქალაქში ნათრევი კაცია. ბევრი გაკოტრება უნახავს, ბევრჯერ წაქცეულა, მაგრამ ყოველთვის ფეხზე წამომდგარა, დარდიმანდი, უფროს - უმცროსობის მცოდნე. უმცროსი არ მოსწონს, არაფრად არ აგდებს, უფროსი კი მისთვის ყველაფერია, მას ფეხქვეშ ეგება, მისი მეოხებით საჭიროების დროს საქმეს გააკეთებს. ბოქაულმა სუფრაზე რა გინდ სისულელე არ სთქვას, მაინც „ბრავოს“ მიაძახებს. სულ თავის ჯიბეზე და დახლზე ფიქრობს, მჭიდრო კავშირშია ბოგოლებთან, შინაური კაცია სოფლის ბატონებთან. მაგრამ არ არის ბეცი, რაღაცის ეშინია, ახსოვს პირველი (1905 წ.) რევოლიუციის გაკვეთილები, რა უნდა ჰქნას, თუ ახალთაობის ხალხმა გაიმარჯვა. ამიტომ ცდილობს მასთან დაახლოებას, კავშირს აბამს ახალთაობის კაცებთან, თავის ბიჭს ეფერება, „ვა, ახალთაობის დროს შეიძლება დიდი კაცი იქნეს და გამომადგესო“. მაგრამ ოინები არ გაუდის, ახლოს არ იკარებენ, სხვა წრის წარმომადგენლად მიაჩნიათ, რომელსაც ორი ფეხის ნაბიჯზე ვერ ენდობიან. ამ ტიპის დახასიათებაში არის აუცილებლად ზოგი რამ ყალბი, გადაჭარბებული, მაგრამ საერთოდ ავტორს აუცილებლად საინტერესო ხაზები აქვს მოცემული ძველი სოფლის ბატონ-პატრონთა დასახასიათებლად.

მოთხრობის ყურადღების ცენტრშია სოფლის მამასახლისი ზურაბ თეკაული, ძმის მკვლელი, ქალებს შეჩვეული, მოხერხებული კარიერისტი, დიპლომატი და მლიქვნელი პიროვნება. მას გვერდს უმშვენებს სოფლის ბოგოლების, „საიმედო კაცების“ ჯგუფი — ალადი, ნარიდ, ბახუტა და სხვები. თებერვლის რევოლიუციის წინ ბოგოლები თავდასხმას აწყობენ ახალგაზრდა პროპაგანდისტ ამბოკარზე და მას კლავენ. ამ საქმის მეთაურია მამასახლისი ზურაბი, ამბოკარი ზურაბის „ნაბუშარი“ აღმოჩნდება. ეს გარემოება ზურაბზე მძიმედ იმოქმედებს, ზურაბი ჭკუიდან შეიშლება; ამ დროს რევოლიუციაც მოუსწრებს, ზურაბის სახლს სწვავენ, თვითონ ზურაბი კი შვილის საფლავის ქვაზე თავს ახლის და კვდება. ასე მთავრდება მოთხრობა.

რასაკვირველია, ეს ავტორის მიერ წამოწყებული დიდი ამბავის სუსტი დასრულებაა, ზურაბის „გაადამიანება“ კი გულუბრყვილობაა, რადგან სრულებით ვერ არის დამაჯერებელი მამასახლისის, ბოგოლის, კლასიურ წრიდან მოწყვეტა და სინდისის ქენჯნის ნიადაგზე ჭკუიდან შეშლა. აკი ზურაბმა ძმა მოკლა და მას წარბიც არ შეუხრია. როგორ მოხდა, რომ ამბოკარის „ნაბუშარის“ მოკვლამ ასე ერთბაშად გარდაქმნა გაიძვერა, სისხლის მსმელი და გარყვნილი მამასახლისი. გარდა ამისა, ავტორმა უნდა იცოდეს, რომ რევოლიუცია სახლების დაწვით არ შემოსულა ჩვენში, რომ არ შეიძლება „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის“ ასეთი უხეში გაგება.

ყოველივე ამის მიუხედავად, „ამბოკარი“ ხალისით იკითხება, ამ რევოლიუციონური მოთხრობის ძირითადი ღირსება მაინც არ იკარგება.

ზ. ხ—ი.

დებულება სასოფლო საბჭოების შესახებ

თ ა ვ ი V. *)

სასოფლო საბჭოს სექციები და კომისიები

76. სექციისათვის დაკისრებული საქმის განსახორციელებლად სექცია:

ა) მოისმენს მოხსენებებსა და ანგარიშებს სასოფლო საბჭოს და მის ქვემდებარე დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაობის სათანადო დარგის შესახებ; მოახდენს, საბჭოს მინდობილობით, იმ დაწესებულებათა და საწარმოთა მდგომარეობის გამოკვლევას, რომელთაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც მომსახურეობას უწევენ გლეხობას; გამოიტანს მოსმენილი მოხსენებებისა და ანგარიშების თაობაზე, აგრეთვე მის მიერ წარმოებული გამოკვლევის შესახებ თავის დასკვნებს და შეიმუშავებს პრაქტიკულ წინადადებებს;

ბ) გაანაწილებს, სასოფლო საბჭოს მინდობილობით, თავის წევრთა შორის ზედამხედველობას სასოფლო საბჭოს გამგებლობაში მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთა მოქმედებისათვის;

გ) მიიღებს მონაწილეობას სასოფლო საბჭოს მუშაობის გეგმის შედგენაში და თვალყურს ადევნებს ამ გეგმის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

დ) განიხილავს წინასწარ ყველა იმ საკითხს, მოხსენებას, ანგარიშს და პროექტს, რაც სასოფლო საბჭომ უნდა წარუდგინოს ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებს დასამტკიცებლად;

ე) გაუწევს ბრძოლას ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურებას, მექრთამეობას, ხულიგნობას, გაფლანგვას და უპაირათობას; ამასთანავე, საჭირო ღონისძიებებს იგი განახორციელებს სასოფლო საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მეშვეობით.

77. სექციის მიერ შემუშავებული ყველა ღონისძიება და მიღებული გადაწყვეტილება განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება სასოფლო საბჭოს; დამტკიცების შემდეგ ამ ღონისძიებებსა და გადაწყვეტილებებს განახორციელებს სასოფლო საბჭო.

78. სექციას უფლება არა აქვს უშუალოდ ჩაერიოს სასოფლო საბჭოს ან სხვა სასოფლო დაწესებულებებისა და ორგანიზაციის მუშაობაში;

79. სექცია შეიმუშავებს თავისი მოქმედების გეგმას და დაადგენს თავისი სხდომების ვადებსა და მუშაობის წესს.

სექციას სხდომისათვის მოიწვევს სექციის თავმჯდომარე ან სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

80. სექციის სხდომას შეიძლება დაესწროს სათათბირო ხმით სექციის არაწევრიც, ხოლო იმ პირთა გამოკლებით, რომელთაც საარჩევნო უფლება აქვთ ჩამორთმეული.

81. სექციის ყოველი სხდომისათვის შედგენილ უნდა იქნეს სათანადო ოქმი, რომელშიაც აღინიშნება სექციის ყველა დადგენილება;

ოქმს ხელს მოაწერენ სექციის თავმჯდომარე და მდივანი;

შენიშვნა: თავისი მუშაობისათვის სექციას შეუძლია გამოიყენოს სასოფლო საბჭოს ტეხნიკური აპარატი.

82. უკეთუ სექციის მიერ განსახილველ საკითხს კავშირი აქვს სხვა სექციების მუშაობასთან, სასოფლო საბჭო, ერთ - ერთი სექციის თავმჯდომარის შუამდგომლობით, მოიწვევს აღნიშნულ სექციათა გაერთიანებულ სხდომას.

83. თვითეული სექცია მოვალეა თავისი მუშაობის ანგარიში წარუდგინოს სასოფლო საბჭოს ან მის პრეზიდიუმს.

84. ცალკე საკითხების შესამუშავებლად და სხვადასხვა მინდობილობის შესასრულებლად, სასოფლო საბჭოს შეუძლია მოაწყოს მუდმივი ან დროებითი კომისიები, რომელთა შედგენილობა და გამგებლობის ფარგალი განისაზღვრება სათანადო კანონით ან სასოფლო საბჭოს დადგენილებით.

თ ა ვ ი VI.

მოქალაქეთა საერთო კრებები

85. სოფლის ცხოვრების საკითხების ან ისეთი საკითხების განსახილველად, რომელთაც საერთო მნიშვნელობა აქვთ მთელი სახელმწიფოსათვის, ოლქისათვის, რაიონისათვის ან სოფლისათვის, აგრეთვე სასოფლო საბჭოს და მისი წევრების ანგარიშების მოსასმენად მათი მუშაობის თაობაზე, სასოფლო საბჭო, ან მისი მინდობილობით სასოფლო საბჭოს რწმუნებული, ან და სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმი მოიწვევენ ხოლმე, საჭიროებისდამიხედვით, მოქალაქეთა საერთო კრებებს (ამომრჩეველთა კრებებს).

86. მოქალაქეთა საერთო კრებები გაიმართება ცალკე სოფლებში, ხოლო, უკეთუ სოფელი დიდია, სოფლის ცალკე რაიონებში.

იმ საერთო საკითხების განსახილველად, რაც რამდენსამე სოფელს შეეხება, შეიძლება მოწვეულ იქნეს ყველა ამ სოფლის მცხოვრებთა გაერთიანებული საერთო კრება.

87. უკეთუ მოქალაქეთა საერთო კრებამ უნდა განიხილოს საბჭოს დეპუტატების გაწვევის საკითხი ან უნდა მოისმინოს სასოფლო საბჭოს თუ საბჭოს წევრების საანგარიშო მოხსენებები, — საერთო კრება მოიწვევა სათანადო საარჩევნო უბნის ამომრჩეველთაგან.

88. მოქალაქეთა საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს აგრეთვე ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებთა საერთო რიცხვის ერთი მეხუთედის მოთხოვნით, რომელთაც საერთო კრებაზე დასწრების უფლება აქვთ. საერთო კრების მოწვევის მსურველნი მოვალენი არიან აღნიშნონ ის საკითხები, რომელთა განხილვას საერთო კრებაზე მათ საჭიროდ მიაჩნიათ. ამის გარდა, მოქალაქეთა საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს სასოფლო საბჭოს სარევიზიო კომისიის მოთხოვნით.

89. საერთო კრებას შეუძლიან დაესწროს ყველა ის მოქალაქე, რომელსაც საარჩევნო უფლება აქვს.

90. სასოფლო საბჭო წინასწარ განიხილავს იმ საკითხებს, რაც უნდა წარედგინოს საერთო კრებას, დანიშნავს მომხსენებელს თვითეული საკითხისათვის და შეადგენს სათანადო დადგენილების პროექტს.

91. მოქალაქეთა საერთო კრების დღის წესრიგი და აგრეთვე კრების მოწვევის დრო და ადგილი ეცნობებათ მოქალაქეთ, როგორც სიტყვიერი განცხადებით, ისე სათანადო შეტყობინების თვალსაჩინო ადგილას გამოფენით, არა უგვიანეს სამი დღისა საერთო კრებამდე.

შენიშვნა: დაუყოვნებლივ შემთხვევაში მოქალაქეთა საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს სათანადო ორგანოს მიერ ამა მუხლში აღნიშნული იმ პირობების შეუსრულებლადაც, რაც ეხება დღის წესრიგის წინასწარ გამოქვეყნებას და კრების მოწვევის დროისა და ადგილის გამოცხადების ვადას.

92. მოქალაქეთა საერთო კრებას შეუძლია შესცვალოს ან შეავსოს სასოფლო საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული კრების დღის წესრიგი.

საერთო კრების თვითეულ წევრს უფლება აქვს შეიტანოს კრების განსახილველად, სასოფლო საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ წარდგენილი დადგენილების პროექტის გარდა, აგრეთვე სხვა პროექტი დადგენილებისა.

93. მოქალაქეთა საერთო კრებაზე უნდა აღინუსხოს ყველა დამსწრე პირი. საერთო კრება კანონიერია, უკეთუ მას დაესწრო იმ მოქალაქეთა საერთო რიცხვის ერთი მეოთხედი მაინც, რომელთაც საარჩევნო უფლება აქვთ.

შენიშვნა: ამ მუხლის მეორე ნაწილი არა ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც უწყებული საკითხების განსახილველად კანონით დაწესებულია რომელიმე სხვა ნორმა საერთო კრების შედგენილობისა.

94. მოქალაქეთა საერთო კრებას გახსნის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან სასოფლო საბჭოს რწმუნებული. საერთო კრების გახსნისას კრება აირჩევს დამსწრეთაგან კრების პრეზიდიუმსა და მდივანს.

95. საერთო კრებაზე შედგენილ უნდა იქნეს ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერენ კრების თავმჯდომარე, პრეზიდიუმის წევრები და მდივანი.

96. მოქალაქეთა საერთო კრებაზე საკითხები გადასწყდება ხმის უმეტესობით, ამასთანავე ხმის მიცემა ახდილად სწარმოებს.

97. საერთო კრების იმ წევრს, რომელიც თანახმა არ არის საერთო კრების მიერ მიღებული დადგენილებისა, შეუძლია დაურთოს კრების ოქმს ან შეიტანოს ცალკე სასოფლო საბჭოში თავისი განსაკუთრებული აზრი — იმ მიზეზის აღნიშვნით, თუ რატომ მიაჩნია მას მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილება არასწორ დადგენილებად.

98. მოქალაქეთა საერთო კრების ოქმი გადაეცემა სასოფლო საბჭოს, რომელიც ასრულებს საერთო კრების დადგენილებებს.

99. უკეთუ სასოფლო საბჭოს საერთო კრების დადგენილება მიაჩნია უკანონო ან მიზანშეუწონელ დადგენილებად, იგი წარუდგენს ამ დადგენილებას სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც გადასწყვეტს საერთო კრების დადგენილების ასრულების საკითხს.

შენიშვნა: მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილება დეპუტატების უკან გაწვევის შესახებ შეიძლება შეჩერებული და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად წარდგენილ იქნეს, ამ მუხლით გათვალისწინებული წესისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს დადგენილება გამოტანილია კანონის დარღვევით.

100. სასოფლო საბჭოს მიერ მოქალაქეთა საერთო კრების დადგენილებათა ასრულებისათვის მიღებულ ღონისძიებებს იგი აცნობებს მოქალაქეთა უახლოეს საერთო კრებას.

თ ა ვ ი VII.

სასოფლო საბჭოს წევრთა უფლება-მოვალეობა

101. სასოფლო საბჭოს წევრი, როგორც სოფლის მშრომელი მასების წარმომადგენელი, მოვალეა მონაწილეობა მიიღოს საბჭოს და მისი სექციების მუშაობაში, ყოველგზით ისწრაფოდეს სასოფლო საბჭოსათვის დაკისრებული მიზნების განხორციელებას და განუწყვეტელი კავშირი იქონიოს ამომრჩევლებთან და სოფლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

102. სასოფლო საბჭოს წევრი მოვალეა დაესწროს როგორც საბჭოს პლენუმისა, ისე იმ სექციებისა და კომისიების ყველა სხდომას, რომლებშიაც იგია ჩარიცხული და შეასრულოს ყოველი მათი მინდობილობა.

შენიშვნა: უკეთუ საბჭოს წევრს არ შეუძლია დაესწროს სხდომას ან შეასრულოს მინდობილობა, იგი მოვალეა ეს დროზე აცნობოს საბჭოს პრეზიდიუმს და სექციის თუ კომისიის თავმჯდომარეს.

103. სასოფლო საბჭოს თვითეულ წევრს უფლება აქვს განაცხადოს განსაკუთრებული აზრი სასოფლო საბჭოს თვითეული დადგენილების გამო და მოითხოვოს ამ განსაკუთრებული აზრის შეტანა საბჭოს სხდომის ოქმში.

104. საბჭოს წევრი მონაწილეობას იღებს, შეძლებისდაგვარად, იმ სოფლის ან რაიონის მოქალაქეთა და იმ საწარმოს თუ დაწესებულების მუშა - მოსამსახურეთა ყველა საერთო კრებაში, სადაც იგი არჩეულია დეპუტატად.

105. ამომრჩეველთა საზოგადოებრივი თვითმოქმედების წარმატებისათვის — სასოფლო საბჭოს წევრს დაეკისრება: ა) წარუდგინოს ამომრჩევლებს განსახილველად ყველა ის მორიგი საკითხი, რაც უნდა განიხილოს საბჭომ, სექციამ და კომისიამ:

ბ) აუხსნას მათ საბჭოს გადაწყვეტილებანი და განუმარტოს ამ გადაწყვეტილებათა ასრულების წესი;

გ) მიიღოს საჩივრები და პრეტენზიები და გადასცეს კუთვნილებისამებრ.

106. სასოფლო საბჭოს წევრს საბჭოს სახელით გამოსვლა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი საამისოდ უფლებამოსილია საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ წერილობით; ხოლო სექციის სახელით გამოსვლა შეუძლია, უკეთუ იგი საამისოდ უფლებამოსილ იქნება სექციის ან მისი თავმჯდომარის მიერ.

107. გამოკვლევის წარმოების დროს ან სასოფლო საბჭოს სხვა მინდობილობის შესრულების დროს, სასოფლო საბჭოს წევრს უფლება არა აქვს ჩაერიოს მის მიერ გამოსაკვლევი დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის ოპერატიულ მოქმედებაში და უფლება არა აქვს გასცეს რაიმე განკარგულება არც თავისი სახელით, არც სასოფლო საბჭოს სახელით. თავისი გამოკვლევის შედეგს სასოფლო საბჭოს წევრი შეატყობინებს სასოფლო საბჭოს ან მის პრეზიდიუმს.

108. სასოფლო საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მინდობილობით სახელმწიფო დაწესებულებისა თუ საწარმოს გამოკვლევის დროს — სასოფლო საბჭოს წევრს უფლება აქვს დაესწროს აღნიშნული დაწესებულებისა თუ საწარმოს მუშაობას და მოითხოვოს, კანონით დადგენილ ფარგლებში და წესით, მისთვის საჭირო ცნობებისა და განმარტების წარდგენა, საიდუმლო ხასიათის ცნობების გარდა.

109. ის საწარმო და დაწესებულება, რომლის სამსახურშიაც საბჭოს წევრია, აგრეთვე ის კერძო პირი, რომელთანაც საბჭოს წევრი დაქირავებით მუშაობს, მოვალეა გაანთავისუფლოს იგი მუშაობისაგან იმ დროს განმავლობაში, რაც საჭიროა მისთვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებისათვის.

110. სასოფლო საბჭოს წევრი ასრულებს თავის მოვალეობას საბჭოს, მისი სექციებისა და კომისიებისათვის უსასყიდლოდ.

უკეთუ მუშა - საბჭოს წევრს ან მოსამსახურე — საბჭოს წევრს სადეპუტატო მოვალეობათა შესრულება მოუხდება სამსახურის დროს, — იმ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, სადაც იგი მსახურობს, აგრეთვე იმ კერძო პირს, რომელთანაც იგი მუშაობს, უფლება არა აქვს დაუჭიროს საბჭოს წევრს სამუშაო ხელფასი და ამ დროისათვის უნდა გაუსწორდეს მას მისი საშუალო ხელფასის ვარაუდით.

111. სასოფლო საბჭოს წევრის დაპატიმრება არ შეიძლება, თუ ეს წინასწარ არ ეცნობა სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმს ან თავმჯდომარეს. განსაკუთრებულ შემთხვევაში საბჭოს წევრი შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, ხოლო ეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმს ან თავმჯდომარეს, თანაც იმ განმარტებით, თუ რა მიზეზით მოხდა საბჭოს წევრის დაუყოვნებლივი დაპატიმრება.

112. უკეთუ საბჭოს წევრი, არა პატივსადები მიზეზით, სამჯერ არ დაესწრო სასოფლო საბჭოს სხდომას, აგრეთვე უკეთუ მან გამოიჩინა უმოქმედობა ან უმუყაითობა საბჭოს წევრის მოვალეობის შესრულების დროს, გადამეტა მისთვის მინიჭებული ძალა-უფლება, ან ბოროტად გამოიყენა იგი, უხეშად მოექცა მოსახლეობას ან ჩაიდინა ისეთი საქციელი, რაც არ შეეფერება საბჭოს წევრს, —სასოფლო საბჭოს შეუძლია თავისი დადგენილებით გამოუტანოს საბჭოს ასეთ წევრს გაფრთხილება ან საყვედური და გამოაცხადოს ეს დადგენილება ამომრჩეველთა საერთო კრებაზე ან პრესაში.

113. უკეთუ სასოფლო საბჭოს წევრის რომელსამე მოქმედებას, რაც წინა მუხლშია აღნიშნული, მოჰყვა ისეთი შედეგი, რომლის გამოც აღნიშნული ქმედობა დევნილ უნდა იქნეს სისხლის სამართლის წესით, სასოფლო საბჭოს წევრი მიიცემა პასუხისგებაში კანონით დადგენილი წესისამებრ.

114. სასოფლო საბჭოს წევრთა კანდიდატს, გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს მაშინ, როდესაც იგი იწვევა საბჭოს წევრის მაგიერობას, რიგობითი წესით — ამა დებულების მე-8 მუხლის შენიშვნის თანახმად.

კანდიდატზე ვრცელდება ყველა ის უფლება - მოვალეობა, რაც დადგენილია სასოფლო საბჭოს წევრისათვის.

თ ა ვ ი VIII.

სასოფლო საბჭოებისა და დეპუტატების ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე

115. სასოფლო საბჭო მოვალეა რეგულიარულად, სამჯერ მაინც ერთი წლის განმავლობაში ჩააბაროს ამომრჩეველთ თავისი მოქმედებისა და მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების ანგარიში — სპეციალურად საამისოდ მოწვეულ კრებაზე.

სასოფლო საბჭოს ყოველი წევრი მოვალეა იმავე ვადაზე და იმავე წესით წარუდგინოს თავის ამომრჩევლებს ანგარიში მის მიერ საბჭოში წარმოებული მუშაობის შესახებ.

116. საანგარიშო მოხსენებას განიხილავს ამომრჩეველთა კრება და გამოიტანს დადგენილებას, რომელშიაც გამოთქმული იქნება სასოფლო საბჭოს მოქმედებისა და საბჭოს ცალკე წევრთა მუშაობის შეფასება.

ამომრჩეველთა კრების დადგენილებაში შეიძლება აღინიშნოს:

ა) საბჭოს მუშაობის ნაკლოვანებანი;

ბ) საბჭოს წევრთა მუშაობის ნაკლოვანებანი;

გ) გადაწყვეტილება დეპუტატების უკან გაწვევის შესახებ;

117. ამომრჩეველთა კრების ოქმში, სხვა ცნობათა შორის, აღინიშნება აგრეთვე უწყებული საარჩევნო ერთეულის ამომრჩეველთა რიცხვი, კრების მონაწილეთა რიცხვი, მოხსენების მოკლე შინაარსი, მოხსენების გამო შეტანილი წინადადებანი და მიღებული დადგენილებანი, ამ დადგენილებათა მომხრეების და მოწინააღმდეგეების რიცხვის აღნიშვნით.

118. გადაწყვეტილება დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ კანონიერია, უკეთუ დადგენილება მიღებულ იქნა იმ უბნის ამომრჩევლების კრებაში მონაწილეთა ხმის მარტივი უმეტესობით, სადაც დეპუტატი იყო არჩეული, და უკეთუ, ამასთანავე, კრებაში მონაწილეობას იღებდა იმ ამომრჩეველთა რიცხვის არა ნაკლებ 35 პროც.-ისა, რომელთაც ეს უბანი აერთიანებს.

119. გადაწყვეტილება დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ საბოლოოა და არ განისაჩივრება იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის დარღვევით.

120. საანგარიშო კრების მოწვევის დამოუკიდებლად, სასოფლო საბჭოს წევრი გამოიყენებს თავის ამომრჩეველთა ყოველ კრებას, რათა მოაწოდოს მათ ინფორმაცია საბჭოს მუშაობის შესახებ, წარუდგინოს განსახილველად ის უაღრესი მნიშვნელობის საკითხები, რაც საბჭოს, სექციებისა და კომისიების წინაშე სდგას და მიიღოს ამომრჩეველთა შენიშვნები მუშაობის ნაკლოვანებათა და სასურველ გაუმჯობესებათა შესახებ.

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი" № 248, 249, 250, 251, 252.

პარტიული კალენდარი

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან დაარსდა ისტორიული მატერიალიზმის (ფილოსოფიური ციკლი) ლენინიზმის, ხუთწლიანი გეგმის, ქართული ლიტერატურის ისტორიის და ლიტერატურის მარქსისტული თეორიის წრე. წრეებში მეცადინეობა დაიწყება 10 ნოემბერს. პროლეტარულ და კომკავშირელ მწერლებს ევალება ჩაეწერონ წრებში, ჩაწერა სწარმოებს ხელოვნების სასახლეში ყოველ დღე ამხ. ს. წვერავასთან.

—:—

1 ნოემბერს, საღამოს ექვს საათზე გრძელდება განათლების მუშაკთა კავშირის უჯრედის წმენდა (განათლების მუშაკთა სახლში). კომისიის შემადგენლობა: თავმჯდომარე ვოლსკი, წევრები: შახსუვაროვი და როსტიაშვილი, მდივანი ქურასპედიანი.

დღეს, 1 ნოემბერს, დილის ათ საათზე, ცენტრალურ კომიტეტში, ამხ. სვანიძის კაბინეტში დანიშნულია თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: სვანიძე, კიკნაძე, გვაზავა, ბედია, ცხვედაშვილი, კიტია სტეპანოვი, მამულოვი, შოგირაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. მეორე უჯრედის კრება შესდგება დღეს, საღამოს რვა საათზე, დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა აუცილებელია ყოველ მიზეზ გარეშე.

—:—

სახ. უნ. სამკ. ფაკულ. კომუჯრედის ბიურო აცხადებს ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ დღეს, 1 ნოემბერს, საღამოს სრულ ხუთ საათზე მოწვეულია სტუდ. აქტიურის კრება, რომელზედაც ყველა კომკავშირელთა და პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა, კრებაზე დასწრება შეუძლია უპარტიო სტუდენტებსაც.

სახ. უნ. პედ. ფაკ. ა. ლ. კ. კ. ორივე უჯრედების გაერთიანებული დახურული კრება შესდგება დღეს, პირველ ნოემბერს ნაშუადღევის სრულ ოთხ საათზე. დასწრება ა. ლ. კ. კ. წევრებისათვის და კანდიდატებისათვის სავალდებულოა დაუგვიანებლივ. კრება შესდგება 58 აუდიტორიაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ შაბათს, ორ ნოემბერს, საღამოს ექვს საათიდან გრძელდება სოც. ეკონომიური ფაკულტეტის და სამკურნალო ფაკულტეტის კომპარტიის წევრთა წმენდა.

—:—

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტ. ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, პირველ ნოემბერს, დღის 12 საათზე მოწვეულია პარტბიურო კოლექტივის სხდომა ცალკე ბიუროებთან ერთად.

ს. ს. პ. ი. სამთო-ქიმ-ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის ღია კრება ა. ლ. კ. კ. უჯრედთან ერთად შესდგება დღეს, პირველ ნოემბერს, საღამოს ექვს საათზე, დასწრება პარტ. და ა. ლ. კ. კ. წევრ-კანდიდატებისათვის სავალდებულოა.

—:—

თბ. სახ. უ-ტის ა. ლ. კ. კ.-ის ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა დღეს, პირველ ნოემბერს, დღის სრულ 12 საათზე გამოცხადდენ ყოველ მიზეზს გარეშე ბიურო-კოლექტივში.

გრიგოლაშვილი ლიზა, მეგრელიშვილი ოქროპირი, მუშკუდიანი კაპიტონ, დონაძე რუბენ, დონაძე ათანასე, რუსაძე მიხეილი; ბულეიშვილი იასონ; კუპრაძე ნიკოლოზ, ტრაპაიძე სამსონ, ნიორაძე გრიგოლ, ბუჩუკური ალექსი; სალუქვაძე ევგენია, დეისაძე ალექსი, სიხარულიძე ერენტრაუტი.

—:—

1 ნოემბერს საღამოს შვიდ საათზე შესდგება ს. ს.პ. ი. ყველა ფაკულტეტების კომუჯრედის ღია კრება, კ. პ. წევრ კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია სთხოვს იმ ამხანაგებს, რომლებიც ჩაეწერენ სასცენარო წრეში დღესვე (ნოემბრის 1-ს) გამოცხადდენ ხელოვნების სასახლეში ამხ. ს. წვერავასთან.

აუტანელ მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ანეტა და ნოე, ძმები: გიორგი, დიმიტრი, ბებია ფორმა მგელაძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 3 ნოემბერს, 3 საათზე, სოფ. ბახვში, საკუთარ სახლში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ეკონომიური ფაკულტ. მე-3 კურსის სტუდენტის უდროოდ გარდაცვლილის

გრიშა ნოეს-ძე მგელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 3690

სამუდამოთ გულდათუთქულნი დეიდები: ლიზა, ქმარი მოსე, შვილები: დიმიტრი, ილია, ალექსანდრე გორდელაძეები, კატუშა, ქმარი ქალამბრე ბარამიძენი შვილით, აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 3 ნოემბერს, 3 საათზე სოფ. ბახვში საკუთარ სახლში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მე-3 კურსის სტუდენტის უეცრად გარდაცვალებულის

გრიშა ნოეს-ძე მგელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 3689

გულდამწვარი ბებია საშა, ბიძები: დიომიდე, კალენიკე, ქრისტეფორე და ფილიპე, ბიცოლები მარუსია, მათიკო შარაძეები შვილებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ სოფ. ბახვში კვირას, 3 ნოემბერს, 3 საათზე, საკუთარ სახლში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ეკონომიურ ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტ

გრიშა ნოეს-ძე მგელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 3688

გულდათუთქულნი: მამიდა ლიზა, ბიძა ნიკოლოზი, მამიდაშვილები: ბესარიონ, მილოსი, სერაპიონ და დათიკო სურგულაძეები თავისი მეუღლეებით, ბიძა ნესტორ ბიცოლა გინატრე და ბიძაშვილი ვანო ბაქრაძე მეუღლით და შვილით იუწყებიან, რომ სოფ. ბახვში კვირას, 3 ნოემბერს, 3 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ეკონომიურ ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტ

გრიშა ნოეს-ძე მგელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 3691

სამუდამოთ გულმოკლულნი დაი ვენერა, სიძე ალიოშა მახარაძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ სოფ. ბახვში, კვირას, 3 ნოემბერს, 3 საათზე, საკუთარ სახლში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ეკონომიური ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტ უეცრად გარდაცვლილის

გრიშა ნოეს-ძე მგელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 3687

გულდათუთქულნი მშობლები: უშანგი და მელანია, ძმები: ექიმი ალექსანდრე ოჯახით და სერგო, და ლეონინე, ბიძა თეოფანე ოჯახით, ბიძაშვილი და სიძე ქსენია და ანტონ შენგელიები იუწყებიან, რომ შაბათს, 2 ნოემბერს 1 საათზე, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

დუშა (დომნიკა) გუნიას

ხსოვნის აღსანიშნავათ ს. ზანათში სენაკის მაზრა. 4018

ღრმად დამწუხრებულნი: დედა—ფოტინე; ძმები: კოსტა და ვლადიმერი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ

ნადია ნიკოლოზის ასული გაგუას

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე შაბათს, 2 ნოემბერს, 5 საათზე. 4015

თავზარდაცემული მშობლები: ანიკო ბასილიძე და ალექსი სადომოვი, ძმები: ვახტანგ და ბორის სადომაშვილები, ბიძა ვანო ბასილიძე მეუღლე თინათინით და შვილით რუსუდანით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სტუდენტი

ერეკლე სადომაშვილი (სადომოვი)

გამოსვენება შაბათს, ნოემბრის 2-ს, 3 ნახ. საათზე, ბინიდან მალაკნების ქუჩა, № 46. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 4004

დამწუხრებული ამხანაგები: მიხეილ ფხაკაძე, საშა კობახიძე, შალვა მაისაშვილი, შურა კვიჟინაძე, გიორგი ფხალაძე, გიორგი ქურდოვანიძე, ვახტანგ მაღალაშვილი და ალექსი თარხნიშვილი აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ

ირაკლი სადომაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს, 2 ნოემბერს, საკუთარ ბინიდან მალაკნის ქ. № 46, 3 ნახ. საათზე. 4019

დამწუხრებული დაი რიფსიმე, დისწულები ვერა, დარია, ავთანდილ, სიმონ, ნესტორ, არონ, სერგო, ლეონტი, ელისე და ილია ჟღენტები იუწყებიან, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

რაჟდენ თომას-ძე ხუნდაძე

გამოსვენება საკუთარ ბინიდან ვაჟაფშაველას ქუჩა, № 20, ქალ. ქუთაისში, 3 ნოემბერს. ნ. 3241

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

დღეს, 1 ნოემბერს
1-ლი აბონემენტის პირველი წარმოდგენა.
სეზონის გახსნა
თამარ ცბიერი ოპერა 4 მოქმედებად. მუსიკა მ. ი. ბალანჩივაძისა.
ა. რ. წუწუნავას განახლებული დადგმა. დირიჟ. სახ. არტისტი ი. პ. ფალიაშვილი.
მხატვარი შევარდნაძე. ცეკვა ს. ნ. სერგეევის დადგმით.
შაბათს—2 და ორშაბათს—4 ნოემბერს აბონემენტის გარეშე მ. პ. მაკსაკოვას და პ. კ. პეჩკოვსკის მონაწილეობით **კარმენ**
კარმენ—მ. პ. მაკსაკოვა დონ-ხოზე—პ. კ. პეჩკოვსკი
მიკაელა—მ. მ. ბლანკმანი ესკამილიო—ი. მ. გორელოვი.
დადგმა დამს. არტისტ. ნ. ნ. ბოგოლიუბოვის.
დირიჟორი—დამს. არტისტი ა. ვ. პავლოვ-არბენინი.
მხატვარი კ. ი. იოანოვი. ცეკვა ს. ნ. სერგეევის დადგმით.
კვირას, 3 ნოემბერს, მე-3 აბონემენტის პირველი წარმოდგენა **ევგენი ონეგინი**
ტატიანა—მ. ვ. ბარატოვა ევგ. ონეგინი—დამს. არტისტი სანდრო ინაშვილი.
ოლღა—ი. ა. პრეის ლენსკი ს. ი. ლემეშევი. გრემინი—ე. ლ. სუხოდოლსკი.
დადგმა დამს. არტისტ. ნ. ნ. ბოგოლიუბოვის. დირიჟორი ვ. პ. ულრიხი.
მხატვარი კ. ი. იოანოვი. ცეკვა ს. ნ. სერგეევის დადგმით. დასაწყისი საღ. სრულ 8 საათზე.
ყველა სააბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია საერთო წესით გასასყიდად. მთლიანად ფასგადახდილი ტალონებით ბილეთები იყიდება რიგს გარეშე დღის 2 საათ.

ოპერისა და ბალეტის სახ. აკ. თეატრი

თეატრის ადმინისტრაცია ხელმეორედ სთხოვს იმ პირებს, რომლებსაც აქვთ ქვემოთ მოყვანილი ნომრების აბონემენტები, გამოცხადდნენ დღეს თავიანთი აბონემენტებით:

I აბონ. №№ 300. 301. 302. 303. 701. 593. 658. 210. 3. 78. 79. 396. 780. 308. 309. 58. 422. 579. 578. 577.
II აბონ №№ 285. 408. 409. 410. 411. 482. 483. 495. 266. 543. 544. 637. 638. 639. 640. 685. 686. 750. 751. 752. 753. 743. 744. 833. 844. 852. 853.
III აბონ. №№ 933. 932. 806. 860. 777. 553. 609. 608. 607. 606. 556. 555. 468. 467. 466. 354. 928. 927. 845. 894. 605. 807. 801. 800. 729. 728. 700.
IV აბონ. №№ 663. 662. 601. 600. 51. 321. 244. 243. 385. 38[illegible].
VI აბონ. №№ 362. 363. 364. 365. 417. 594. 818. 819. 413. 414. 850. 851. 852. 853. 597. 598. 306. 307. 721. 722. 745. 746. 378. 404. 835. 801. 800. 361.
ნ. 3248

საქართ. სახელმწიფო გამომცემლობა
დაიბეჭდილია და იყიდება
ყველგან სახელგამის მაღაზიებში
შემდეგი ლიტერატურა
ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ

1.	ვ. ლენინი—ოქტომბრისაკენ	10 კ.
2.	„ —ოქტომბერი	05 კ.
3.	„ —მზადება ოქტომბრისათვის	20 კ.
4.	„ —შეინარჩუნებენ თუ ვერა ბოლშ. ხელისუფ.	15 კ.
5.	„ —ოქტომბრის შეფასება	05 კ.
6.	... სტალინი—ოქტომბერი, მსოფლიო რევოლიუც. ჩირალდანი	15 კ.
7.	ალუფი—პროფკავშირების მონაწილეობა ოქტ. რევ.	35 კ.
8.	ოქტომბრელი—პროლეტ. მწერლებ. კრებული ოქტომბ.	35 კ.
9.	ვ. ლუარსამიძე—ოქტომბ. დიდი რევოლიუცია.	50 კ.
10.	ოქტომ. დღეები (კრებ. სკოლებსა და პიონ. ქალ. ოქტ. დღ. ჩატ.	60 კ.
11.	გ. ტაბიძე—ჯონ-რიდი (პოემა)	1. მ.
12.	ს. ეული—ათი წელი პოემა	10 კ.
13.	წითელი ოქტომბერი (კრებული)	50 კ.

იბეჭდება და გამოვა ნოემბრის პირველ რიცხვებისათვის

მ. ლაცისი—ოქტომბრის 12 წლის თავი
2. ვ. ლენინი—ოქტომბრის რევოლიუცია
3. ვ. ი. ლენინის სიტყვები ოქტომბრის რევოლიუციის შესახ.
4. მ. პოკროვსკი—ოქტომბრის რევოლიუცია და ანტანტა
5. დ. გვაზავა—ოქტომბრის 12 წელი.
6. ვართანიანი—ოქტომბერი და ეროვნული საკითხი (სომხ. ენაზე).
7. მასალები ომხსენებელთათვის ოქტომბრის 12 წლის თავზე.

წიგნების თავის დროზე მისაღებად საჭიროა დაკვეთებით ეხლავე მიმართოთ სახელგამის მაღაზიებს.
დაკვეთები მიიღება ფოსტითაც. დაკვეთასთან ერთად გამოიგზავნოს ბე.
ნ. 1845

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929—1930
ნ. 3239

პარასკევს, 1 ნოემბერს, სერია ა, მე-3 აბონემენტის I წარმოდგენა
ვ. კირშონი **ქართა ქალაქი**
3 ნაწ. და 15 სურ. თარგ. ს. შანშიაშვილის და ალ. ბოკერიასი.
დადგმა ალ. ახმეტელის. მხატვარი—ირ. გამრეკელი.
მუსიკა—გოკიელის. დირიჟორი—გრ. კილაძე.
რეჟ. თანაშემწე—ია ქანთარია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
თეატრის დირექტორი, სამხატ. ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
დარჩენილი ბილეთები კავშირის წევრთათვის 40 პროც. დაკლებით (საჭიროა წარმოდგენა კავშირის წიგნაკის) სტუდენტებისათვის 50 კაპ.

აპოლო პრემიერა
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
დიდებით მოვაჭრენი
ანა სტენის, ა. სუდაკევიჩის, პოლის მონაწილეობით

სოლეი
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.

მინიონი ოსი ოსვალდ საუკეთესო კომედიაში
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
ეს ჩემი საქმროა

პალასი საზღვარგარეთის ახალი ნაწარმოები
1 ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.
შავი ციკლონი

არფასტო მეორე კვირა
1 ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
ზეროს ვაჟი
დუგლას ფერბენკსის მონაწ.

დარბაზი კარმენ ბონი კომედიაში
1 ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.
ნამდვილი მამაკაცი
პროგრამის გარეშე: ცნობილი მომღერალი ქალის მარ-კნაბეს გასტროლები.

მალე განთქმული ფილმი ინჟენერი ელაგინი. 0—1

ამ დღეებში
კინო-არფასტოში
განსაკუთრებული ფილმი
თანამედროვე ცხოვრებიდან
ინჟენერი ელაგინი
მთავარ როლებში დამსახურებული არტისტი ნ. ფ. მონახოვი, ზ. მიასნიკოვა, ფ. ნიკიტინი.
ნ. 3244

კინო-მინიონი
ოსი ოსვალდი ახალ კომედიაში
ეს ჩემი საქმროა
დასაწყისი I სეანსის—5-50, II—7-20, III—9, IV—10-40
შესვლა მხოლოდ სეანსის დასაწყისში
პირველ სეანსზე ადგილები ღირს 30 კაპ.
ნ. 3244

მათემატიკის მასწავლებელი
ივ. მაჩაიძე
ამზადებს გერმანულში, რუსულსა და მათემატიკაში
(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ., სიმწიფ. მოწმ. უმაღლ. სასწავ მე-9 და მე-10 ჯგუფ. შესასვლელად და ყველა საგნებში 7-წლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ. (ინდუსტ. ქიმ. და ფარმაც.), ვასწორებ სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს. შესავალი პლეხანოვის პრ. № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5.
9—12 საათ. 4—6 საათ.
8—4 3583

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
დაბრუნდა.
რუსთაველის გამზირი № 122

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—64.

პარასკევს, 1 ნოემბერს, ბრწყინვალე წარმოდგენა
სამ დიდ განყოფილებათ
განახლებული პროგრამა
ხუმარა ჟორჟის და მისი ვირის პირველი დებიუტი
იტალიელ ქსილოფონისტ ქალის ფერონის პირველი დებიუტი.
კორადოს ტრიოს და სხვა საუკეთესო არტისტების დებიუტების გაგრძელება.
წარმოდგენის დასაწყისი 8 ნახ. საათზე.
კვირას, 3 ნოემბერს, დიდი წარმოდგენა დღისით
დღის წარმოდგენის დასაწყისი დღის 2 საათზე.
დირექცია.
ნ. 3345 3—1

სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატ. არტელების „არტელების" წმენდა მალე დაიწყება

საქ. სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დადგენილებით საქართველოში არსებულ ყველა ინვალიდების კოოპერატიულ ნადების გასაწმენდათ შემდგარია **ცენტრალური კომისია.** აღნიშნული კომისია ინვალიდთა კოოპერატიული ნადების წმენდას შეუდგება მიმდინარე წლის 10 ნოემბრიდან ველიამინოვის ქ. № 12. წმენდა იწარმოებს 6 საათიდან 10 საათამდე. ინვალიდთა კოოპერატიულ არტელის „გლარჯა"-ს კულტ-კუთხეში. გამ,მენდი კომისია სთხოვს ყველა მოქალაქეს, ვისაც აქვს ინვალიდთა არტელებში მომუშავე მუშაკთა საწინააღმდეგო განცხადება, წერილობით წარმოუდგინოს გამწმენდ კომისიის პასუხისმგებელ მდივანს ამხ. ფილიპე გაგოშიძეს.

ველიამინოვის ქ. № 12 არტელ „გლარჯა"-ში. ნ. 3246

სრ. საქ. სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამზღვევ სალაროს გამგეობა

აცხადებს

სალაროს წევრთა, დაწესებულებათა და დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 25 X-დან 15 ნოემბრამდე სალაროს გამგეობა და მისი განყოფილებები თბილისის ოლქში, კახეთის ოლქში, გორის ოლქში, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქუთაისის ოლქში, ოზურგეთის მაზრაში, სენაკის მაზრაში, ზუგდიდის მაზრაში, ფოთის რაიონში, აფხაზეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკაში და აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აწარმოებენ

ძველი წიგნაკების გამოცვლას ახალზე

აღნიშნულ რიცხვის შემდეგ ძველი წიგნაკები კარგავენ ძალას. სალაროს ის წევრები, რომლებიც არ შეიძენენ ახალ წიგნაკებს ნაჩვენებ ვადაზე რაიმე საპატიო მიზეზების გარეშე, გ ირიცხებიან მექანიკურათ სალაროს წევრთა რიგებიდან.

გამგეობა.

ნ. 3298 2—2

სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბი

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის ცენტრალურ კაბინეტთან ერთად მართავს

საღამოს შემდეგ თემაზე:

1. ამხ. თათულოვის მოხსენება,
2. პროლეტარულ მწერალთა გამოსვლა,
3. კონცერტი.

კლუბის წევრთათვის შესვლა თავისუფალია, აგრეთვე დაესწრებიან განსაკუთრებით მოწვეულნი.

დასაწყისი 7 საათსა და 30 წუთზე. ნ. 3242

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
სპეციალურათ ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას (სქესობრივი ნევრასტენია) ფსიქოტერაპია
მიღება დილით 9 ნახ. 11 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე
ა.-ა- ფედერაციის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 22,
25—

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სას) ტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს., პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.
25 - 8

ექიმი
ი. დ. ბეჟთაბეგოვი
დაბრუნდა.
სიფილისი, კანის და შარდ-სასქესო ავადმყოფობა.
ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, დიათერმია, გალვანიზაცია, იონიზაცია, ფარადისაცია, სტატიური ელექტრონია, დარსონვალი, კვარცის ლამპა (ულტრა იისფერი სხივები).
ჯორჯაძის ქ. № 5. 13—11

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
იღებს ავადმყოფებს კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზის) № 33.
სიფილისი, კანის და ვენერიული (სუსუნ-ტით გამოწვეული გართულებები). დილის 7 საათიდან 8 ნახ. საათამდე. დღით ქალები და ბავშვები 3—5 საათამდის, მამაკაცები 5—8 საათამდის. 25—1

ექიმი
დავით ლაზარეს-ძე თევზაძე
დაბრუნდა და განაახლა ავად. მიღება
სპეციალობა: ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა — ხმის და მეტყველების მოშლილობათა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
მიღება: საღამოს 5—7 საათ გარდა კვირა დღეებისა.
ჰონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) — სოლოლაკში.
ტელ. 25—73. 25—14

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
იღებს: დილ. 8—9 საათ. საღ. 6—8 საათ. ნაშუად. 4—5 ს. მხოლოდ ქალ. ბს.
მისამართი: კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდიმთავრის) ქუჩ. ქალაქის მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.
25-4

კბილის ექიმი
ი. ბ. ხარებავა-ბაქრაძე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმობა, პლომბები, ყოველი ფორმის ხელოვნური კბილები.
სნეულ კბილების ამოღება უმტკივნეულოდ. კლარა ცეტკინის (ყ. ელისაბედის) ქუჩა, № 117.
25—7

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა და ღებულობს ქალთა ავადმყოფებს დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ორლის).
3219 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ.—12—67 25—1

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს საღ 6—7 ს. კლარა ცეტკინის ქ. (ყ. ელისაბედის) № 47.
ტელ. № 590. 25—1

ექიმი
იონა გაბიჩვაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული, კანის და საშარდე-სასქესო ორგანოების სნეულებანი, ქალის გონორეა.
მიღება 8 საათიდან 10-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე. პლეხანოვის პრ. 65.
25—4

ქვემო ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

- — რძის წიგნაკი № 7213—ვასილ ივანეს-ძე ზაალიშვილის სახელზე. 4016
- — პასპორტი მისაკ მანუკოვის-ძე მელიქიანცის სახელზე. 4014
- — უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი № 248—ნიკოლოზ გიორგის-ძე ბოლაშვილის სახელზე. 4013
- — მეტრიკული ამონაწერი № 38—ვანო წიკინაძის სახელზე. 4012
- — პურის წიგნაკი იონა ანტონის-ძე კანდელაკის სახელზე. 4010
- — ინვალიდობის მოწმობა დავით ანდრიას-ძე ჯოჯუაძის სახელზე.
- — მმ ჩის მიერ გაცემული მოწმობა აკაკი ნანეიშვილის გარდაცვალების შესახებ. 4008
- — სამხედრო აღრიცხვის ბილეთი იორამ გერასიმეს-ძე მგელაძის სახ. 4007
- — პირადობის მოწმობა № 16—ევა მიხეილის ასული იგითხანოვის სახელზე. 4009
- — მუშკოოპის წიგნაკი № 34171 ანა ბესარიონის ასული ჩიქოვანის სახელზე. 4005
- — კავშირის წიგნაკი № 332 არტემ ომიაძეს სახელზე. 4003
- — კოლას 7 წლედ. დამთავრების მოწმობა № 52 იროდი გერასიმეს-ძე ბურიას სახელზე. 4017
- — სენაკის „ზაკტპოს" წიგნაკი № 40607 ეტეხი ქანთარიას სახელზე. 4017
- — სენაკის სამომხ. საზ-ბის მიერ გაცემული საწევრო წიგნაკი № 1645 იოსებ ალექსანდრეს-ძე კუპრეიშვილის სახელზე. 4017
- — ჰოლას 7 წლედ. დამთავრების ატესტატი № 22 ერმინე არსენის-ძე ებ ართის სახელზე. 4017
- — თბილისის სახ ლმწიფო უნივერსიტეტის მატრიკული № 404/5339 ხანა ჯახაშიას სახელზე.

ტირაჟი—41.851

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, ყამის ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904